

მანია ახალაძე

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის ექსპერტი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის
ბანმარტეზები
სამოქალაქო სამართალში**

მთავარი რედაქტორი

მარინა კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი

ნინო ქიქიბური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,

ფილოლოგიის დოქტორი

ტიქნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2022

ISBN 978-9941-8-4978-7

წინათქმა

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებებს სამოქალაქო სამართალში, რომელიც საინტერესოა და მნიშვნელოვანი როგორც მოქმედი მოსამართლეებისათვის, ისე იურისტთა ფართო წრისათვის. როგორც ცნობილია, საკასაციო დონეზე გადაწყვეტილებათა გადასინჯვა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერთიანი სასამართლო პოლიტიკისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებზე. აქედან გამომდინარე, მკითხველი შეძლებს გაეცნოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებებს სხვადასხვა თემატიკის მიხედვით.

ნაშრომში ძირითადად, მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებები, 2021-2022 წლის I ნახევარში განხილულ სამოქალაქო საქმეებზე მიღებული განჩინებების/გადაწყვეტილებების მიხედვით.

შესავალი	8
1. ზოგადი ნაწილი	
1.1. სსკ-ის მე-8 მუხლი	10
1.2. სსკ-ის 56.2.-ე მუხლი	12
1.3. სსკ-ის 72-ე მუხლი	13
1.4. იძულებით დადებული გარიგება	14
1.5. ხანდაზმულობა	16
1.5.1. ხანდაზმულობა მოთხოვნის დათმობისას	21
1.5.2. ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლისას	22
1.5.3. 140-ე მუხლი	23
2. სანივთო სამართალი	
2.1. 162-ე მუხლი	24
2.2. 163-ე მუხლი	25
2.3. 170-172 -ე მუხლები	26
2.4. 179-ე მუხლი	32
2.5. 180-ე მუხლი	32
2.6. 185-ე მუხლი	34
2.7. 199-ე მუხლი	36
2.8. 203-ე მუხლი	37
2.9. 206-ე მუხლი	38
2.10. სერვიტუტი	42
2.11. გირავენობა	42
2.12. იპოთეკა	44
2.13. სსკ-ის 286. III მუხლი	45
2.14. 291.1.-ე მუხლი	48
3. ვალდებულებითი სამართალი	
3.1. ზოგადი ნაწილი	
3.1.1. 316-ე მუხლი	50
3.1.2. 360-ე მუხლი	50
3.1.3. 365-ე მუხლი	52
3.1.4. 371-ე მუხლი	55
3.1.5. 383-ე მუხლი	58
3.1.6. 389-ე მუხლი	59
3.1.7. 398-ე მუხლი	61
3.1.8. 403-ე მუხლი	64
3.1.9. 405-ე, 352-ე მუხლები	65

3.1.10. 408-ე, 411-ე მუხლები	66
3.1.10.1. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების არამართლზომიერი შეწყვეტისას	68
3.1.10.2. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი	70
3.1.10.3. მორალური ზიანის ანაზღაურება	71
3.1.11. პირგასამტეხლო	72
3.1.12. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება	76
3.1.13. 429-ე მუხლი	78
3.1.14. 442-ე მუხლი	79
3.1.15. სსკ-ის 454-ე მუხლი	80
3.2. კერძო ნაწილი	
3.2.1. ნასყიდობა	81
3.2.2. ჩუქება	87
3.2.3. იჯარა	87
3.2.4. სესხი	90
3.2.4.1. 623-ე მუხლი	90
3.2.4.2. 626-ე მუხლი	92
3.2.5. ნარდობა	92
3.2.6. დავალება	95
3.2.6.1. 709-ე მუხლი	95
3.2.7. დაზღვევა	97
3.2.7.1. სსკ-ის 829-ე მუხლი	97
3.2.7.2. 832-ე მუხლი	104
3.2.7.3. ქირავნობა	105
3.2.8. საბანკო კრედიტი	105
3.2.8.1. 873-ე მუხლი	105
3.2.8.2. საპროცენტო სარგებელი	107
3.2.9. თავდებობის ხელშეკრულებისა და სოლიდარული ვალდებულების ურთიერთმიმართება	108
3.3. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	
3.3.1. საზიარო საკუთრება	111
3.3.2. უსაფუძვლო გამდიდრება 127	113
3.3.2.1. 982-ე, 163-ე მუხლები	113
3.3.2.2. 990-ე მუხლი	114
3.3.3. დელიქტი 130	115
3.3.3.1. 992-ე მუხლი	115
3.3.3.2. 999-ე მუხლი	116

3.3.3.3. სამედიცინო დელიქტები:.....	119
3.3.3.4. მტკიცების ტვირთი დელიქტურ ვალდებულებებში	125
3.3.3.5. დასაქმებულის სასარგებლოდ სარჩოს გადახდა	125
4. საოჯახო სამართალი	
4.1. სსკ-ის 1158-ე მუხლი	127
4.2. სსკ-ის 1160-ე მუხლი	128
4.3. ალიმენტი	129
4.4. 1163-ე მუხლი	131
4.5. 1240-ე მუხლი	131
5. მემკვიდრეობის სამართალი	
5.1. სსკ-ის 1381-ე მუხლი	134
5.2. სსკ-ის 1484-ე მუხლი	134
5.3. 1488-ე მუხლი	135
6. სამენარჩეო სამართალი	
6.1. დერივატიული სარჩელი	137
6.2. პარტნიორის გარიცხვა	137
6.3. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა	140
6.4. დირექტორის პასუხისმგებლობა, ფიდუციური ვალდებულება, ზიანის ანაზღაურება, დერივატიული სარჩელი	143
6.5. პარტნიორის უფლება ინფორმაციაზე	148
6.6. გამჭოლი პასუხისმგებლობა	151
6.7. დივიდენდი	152
6.8. წილზე უფლების მიტოვება	153
7. შრომის სამართალი	
7.1. მტკიცების ტვირთი შრომითსამართლებრივ დავებში	161
8. რეაბილიტაცია	
8.1. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“	167
8.2. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“	168
სამართლებრივი დასკვნა	
იძულებით დადებული გარიგება	171
ხანდაზმულობა	171
170-172-ე მუხლები	172
185-ე მუხლი	173
სერვიტუტი	174
180-ე მუხლი	174
206-ე მუხლი	174
იპოთეკა	175

360-ე მუხლი	176
ნასყიდობა	176
იჯარა	177
სესხი	177
ნარდობა	178
დავალების ხელშეკრულება	178
დაზღვევა	178
სსკ-ის 829-ე მუხლი	178
832-ე მუხლი	179
საბანკო კრედიტი	179
საპროცენტო სარგებელი	179
საზიარო საკუთრება	179
უსაფუძვლო გამდიდრება	180
სსკ-ის 982-ე მუხლი	180
დელიქტი	180
სამედიცინო დელიქტი	181
საოჯახო სამართალი	182
1158-ე მუხლი	182
ალიმენტი	182
1160-ე მუხლი	183
1240-ე მუხლი	183
სამეწარმეო სამართალი	184
შრომის სამართალი	187

შესავალი

„საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-14.1. მუხლით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. ამავდროულად მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გადანყვეტილებათა საკასაციო გადასინჯვა ძლიერ გავლენას ახდენს ადგილებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე და **ერთიანი სასამართლო პოლიტიკისა და პრაქტიკის ფორმირების (ჩამოყალიბების) უმნიშვნელოვანესი მეთოდია.**¹

სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის შეტანის წინამძღვრები და მითითებულია საჩივრის დასაშვებობის ზოგიერთ პირობაზე. აღნიშნული ნორმის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ (იგულისხმება გარდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავებისა, რომელიც ისედაც დასაშვებია) დავებზე დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. საკასაციო სასამართლოს აქვს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის – „სამართლის შექმნის“ უფლებამოსილება. საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისათვის ნიშნავს, რომ იგი ასევე, მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის საქმეს მნიშვნელობა ექნება და კასაცია დასაშვებია იქნება, როდესაც საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი განსხვავებების დანერგვა ან შემდგომში მათი არსებობა.²

საკასაციო საჩივრის დაშვება შესაძლებელია 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როცა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. კასაციის დასაშვებობის ეს წინაპირობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას

¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 685.

² იქვე, გვ. 691.

სამართლის წყაროს მნიშვნელობა აქვს. **უზენაესი სასამართლოს დანიშნულება ერთგვაროვანი (ერთიანი) სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა და დაცვაა. ეს კი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას, სამართლის ნორმების ერთიან გაგებას და შეფარდებას (გამოყენებას).**³

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანი იყო, დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი და ცნობადი გაეხადა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, ბოლო წლების საკასაციო სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივ ნორმათა განმარტებები. ნაშრომში მოცემულია არა მარტო ე.წ. მნიშვნელოვანი განმარტებები, არამედ ისეთი განმარტებებიც, რომლებზეც არსებობდა სასამართლო პრაქტიკა, მაგრამ კვლევამ აჩვენა სამართლებრივი სურათი, რომ აღნიშნულ საკითხებზე პრაქტიკა დღესაც სტაბილურია და არ შეცვლილა.

კვლევაში ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია, იმავე ნორმასთან/ნორმებთან დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს წინა გამოცემებში არსებული სასამართლო პრაქტიკის თაობაზე.

ნაშრომში სამართლის ნორმათა განმარტებები სამოქალაქო კოდექსის სისტემის შესაბამისი თემატიკის მიხედვით თანმიმდევრულადაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველი საკითხის მოძიებას.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების მიზანი ბუნებრივია, ამ პრაქტიკის უკეთ და მარტივად გაცნობის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა, რაც საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარეს, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე კვლევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკის საინტერესო განმარტებების შესწავლით დაინტერესებულ პირებს გაუადვილებს ამ პრაქტიკის გაცნობას, რაც მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი გარანტიაა.

³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, 692.

1. ზოგადი ნაწილი

1.1. სსკ-ის მე-8 მუხლი

კერძო სამართლის ფუნდამენტური და კონსტიტუციური პრინციპი – კეთილსინდისიერების პრინციპი სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაშია კომენტირებული. საკასაციო სასამართლომ მე-8 მუხლის შინაარსთან დაკავშირებით განმარტა, რომ:

- √ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული კერძო სამართლის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა „კეთილსინდისიერების“ მნიშვნელობა. განვითარებული ქვეყნების სამართალში იგი წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედს. ქართულ სამოქალაქო სამართალშიც იმავე მიზანს ემსახურება კეთილსინდისიერების, როგორც სამართლებრივი ფასეულობის შემოღება. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილის კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებულია.
- √ „კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე.“ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის საერთო მიმართულებასაც. არა ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.
- √ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, „თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით.“ აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად, ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით (იხ.: Towards a European Civil Code, ed. by Hartkamp/Hesselink/Hondius/Perron/Vranken, Nijmegen, Dordrecht, Boston, London, 1994, 205-209). კეთილსინდისიერების პრინციპი აგრეთვე, აღიარებულია კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (International Institute for the Unification of Private Law – UNIDROIT) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (Principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლშიც, კერძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო სა-

ვაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოს-
ნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღ-
ნიშნული ვალდებულება“. (იხ.: Principles of International Commercial Contracts
(UNIDROIT), Rom, 1994, Uniform Law Review, 2004, 124).

✓ კეთილსინდისიერი ქცევის დადგენა კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და მოსამართლის მიერ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქ-
ტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოსამართლის მიერ წარმოებული
შეფასების ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს,
რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატე-
სობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გა-
დაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. აუცი-
ლებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინე-
ბა. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე-
თა ზოგადსახელმძღვანელო პრინციპი, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის არაერთ მუხლში. ამიტომაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესა-
ბამისად მოქმედების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრუ-
ლებო სამართლით, არამედ იგი ამოსავალი და ფუნდამენტური ქცევის პრინცი-
პია ზოგადად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.⁴

✓ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, მისგან გამომდინარე მოთხოვ-
ნების შეფასებისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მხარეთა კეთილსინ-
დისიერებას, ვინაიდან, მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კე-
თილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს. სსკ-ის 8.3-ე და 115-ე მუხლების სა-
ფუძველზე ნებისმიერი ურთიერთობის სამართლებრივი თვალსაზრისით შეფა-
სებისას, მხედველობაში მიიღება სამოქალაქო უფლებათა გონივრული, სამარ-
თლიანი, თანაზომიერი განხორციელება. კეთილსინდისიერების პრინციპს გა-
დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მხარეთა უფლებებისა და მოვალეო-
ბის დადგენის (წარმოშობის) დროს, არამედ უფლებებისა და მოვალეობის გან-
ხორციელების დროსაც. კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდი-
სიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა
ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდა-
პირ არ უთითებს მასზე, მაგრამ უპირობოდ მაინც მას ეფუძნება. არაერთ საქმე-
შია განმარტებული, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია
ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სო-
ლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინ-
დისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების
ვარაუდიცაა.

✓ კეთილსინდისიერი მხარის დამცავი ერთ-ერთი ნორმაა სსკ-ის 54-ე მუხლი: „ბა-
თილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალ-
ვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“ ამ ნორმის მი-
ზანია, სასამართლომ ბათილად ცნოს შეთანხმება, რომელიც უარყოფს სამარ-

⁴ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

თლებრივ ფასეულობას, ან ამგვარი ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობის ბოროტად გამოყენებაზე, მოტყუებაზე, ბაზარზე გაბატონებულ მდგომარეობაზე, ხელშემკვრელი მხარის გამოუცდელობაზე, უფლებებით ბოროტად სარგებლობაზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 54 ე მუხლით გარანტირებულია ამგვარ გარიგებათა უცილობად ბათილი ხასიათი, რაც ნიშნავს, რომ იგი სასამართლომ ბათილად უნდა ცნოს მაშინაც კი, თუ მხარეები ამაზე არ მიუთითებენ, ანუ იგი სასამართლოს კუთვნილი შესაგებელია.⁵

1.2. სსკ-ის 56.2.-ე მუხლი

- √ 56.2.-ე მუხლის ნორმატიული ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს **განმარტებით**, თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. **ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ.** ამ შემთხვევაში, არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, **თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია.** თუმცა, ამ საფუძველით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოსაწირონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ.
- √ თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა, **მათი შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს.** დადებული გარიგებით ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, დგება ამ ნორმის საფუძველზე ნების გამოვლენის ბათილობის საკითხი. თვალთმაქცური გარიგების დროს განხილვის საგანია გარიგების მხარეთა მიერ შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება, ვინაიდან მათ შორის არსებობს შეუსაბამობა. ამდენად, თვალთმაქცური გარიგების დროს უნდა დადასტურდეს გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სხვა გარიგების დადების სურვილზე და ამ დაფარული გარიგებისათვის აუცილებელ ყველა წინაპირობის არსებობაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. ასეთ შემთხვევაში,

⁵ სუსგ №ას-91-2021, 22 აპრილი, 2021, ასევე №ას-226-2019, 24 აპრილი, 2020.

მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს იმ ფაქტობრივი შემადგენლობის და-
დასტურება, რაც თვალთმაქცური გარიგების ყველა წინაპირობას მოიცავს.⁶

1.3. სსკ-ის 72-ე მუხლი

სსკ-ის 72-ე მუხლის კომენტარებისას სასამართლომ აღნიშნა რომ:

- ✓ „შეცდომით დადებული გარიგებისას, ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგე-
ნა განაპირობებს დასაბუთებელი გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით,
ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძვლად
დაედო... შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც **პირის რეალური და გამოხა-
ტული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა**. სხვანაირად რომ ითქვას, შეცდომა არის
მხარის მცდარი წარმოდგენა შემთხვევის შემადგენლობაზე.
- ✓ ზოგადი თვალსაზრისით, შეცდომა არსებითად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს
ასევე მაშინ, როდესაც ზოგადი საბაზრო შეხედულებითა და ნების გამომვლენის
გადმოსახედიდან არასასურველ სამართლებრივ ბოჭვაში დარჩენა მიუღებელია.
მაშასადამე, ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით, **ყურადღება უნდა მი-
ექცეს, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კრიტერიუმებს: თუ „რა ზომებს
მიიღებდა მსგავს ვითარებაში გონიერი ადამიანი, რომ სცოდნოდა საქმის ჭეშ-
მარიტი მდგომარეობის შესახებ**.“ ამდენად, შეცდომის არსებითობის განსჯი-
სას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემთხვევის ყველა გარემოება, რომელიც ყო-
ველ შემთხვევაში განსხვავებული წინაპირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს.
აღნიშნული კი თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შეცდომის არსებითო-
ბის შეფასება სამართლებრივი კატეგორიაა.
- ✓ „შეცილების ვადა უნდა შემოწმდეს სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით (სა-
სამართლო შესაგებელი). შეცილების ვადის გასვლის შემდეგ შეცილების უფლე-
ბა ქარწყლება და შეცილების განცხადება სამართლებრივი შედეგის არმქონეა;“
ამასთან, „იმ შემთხვევაში, თუ შეცილების ადრესატი მხარე უთითებს, რომ შე-
ცილების განცხადება ვადის დარღვევით იქნა გაცხადებული, მაშინ მასზე გადა-
დის უფლებამოსილი პირის მიერ შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტის
მტკიცების ტვირთი, ხოლო თავის მხრივ შეცილებაზე უფლებამოსილმა პირმა
უნდა დაასაბუთოს შეცილების საფუძვლის არსებობა და დაამტკიცოს, რომ შე-
ცილება ერთი თვის ვადაში განახორციელა.“⁷

⁶ სუსგ №ას-1001-2021, 11 მარტი, 2022, ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-537-2021, 22 თებერვალი, 2022,
სუსგ გადანყვეტილება №ას-982-2021, 5 აპრილი, 2022, №ას-1434-2020, 28 მაისი, 2021, №ას-453-
2020, 17 მარტი, 2021, №ას-3-2020, 16.06.2020, №ას-1382-2018, 25.01.2019.

⁷ სუსგ №ას-982-2021, 10 თებერვალი, 2022, ასევე იხ. სუსგ-ები: №ას-174-2021, 14 ივლისი, 2021,
№ას-1181-2018, 18 თებერვალი, 2021.

1.4. იძულებით დადებული გარიგება

საკასაციო სასამართლომ 54-ე, 85-ე, 976-ე, 979-ე მუხლებზე მითითებით წილის ნასყიდობის გარიგებების ბათილობის გამო, გასხვისებული წილები მოსარჩელებს დაუბრუნა. სასამართლომ განმარტა, რომ:

- √ სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის მნიშვნელოვანია ნების ნამდვილობა, რომლის შეფასების დროსაც „ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. **სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს** გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, **ნების ნაკლის გამო.**“
- √ ნების ნაკლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს გარიგების იძულებით დადება, როდესაც გარიგებას პირი დებს არა თავისუფალი ნების საფუძველზე, არამედ ძალადობის ან მუქარის შედეგად. იძულებით დადებული გარიგება საცილო გარიგებებს განეკუთვნება და პირს, რომელმაც იძულებით დადო გარიგება, სსკ-ის 85-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთი გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. ამასთან, სსკ-ის 86-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. **იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება** პირთა ასაკი, სქესი და **ცხოვრებისეული გარემოებანი**. „**იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია.**“
- √ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.
- √ **იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია.** სსკ-ის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს.

სსკ-ის 85-ე-87-ე მუხლები, საცილო გარიგების ნაირსახეობას აწესრიგებენ, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა იძულების მარეგულირებელი მუხლების წინაპირობები. სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით (გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომ-

დინარეობს მესამე პირისაგან), საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება ამკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების ამკარა მოდრეკას. იძულების, მით უფრო ყოფილი ან მოქმედი მაღალჩინოსნების მხრიდან მომდინარე იძულების შემთხვევაში, როტულია პირდაპირი მტკიცებულების წარდგენა და ასეთ შემთხვევაში, გარემოებათა ერთობლიობა უნდა ბადებდეს სასამართლოსათვის გონივრულ ეჭვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა, ამასთანავე, კონტრაჰენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ განხორციელდა იძულება, კონკრეტულად უნდა გადმოსცემდეს ფაქტებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი მისი ან მისი ახლობლის მიმართ, რატომ იყო ეს ქმედება რეალური ხასიათის და სხვა. ვიდრე მოპასუხის სტადიას შეამონმდეს სასამართლო, სარჩელის ფორმალური გამართულობა ექვემდებარება შეფასებას, თუკი სარჩელი ფორმალურად გაუმართავია, ის თავშივე უსაფუძვლოდ მიიჩნევა და სასამართლოს მხრიდან უარყოფას ექვემდებარება.

✓ „იძულება იმდენად ამკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს,“ „...შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთნლიანი ვადის გასვლის შემდეგაც [ბ. ზოიძე., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,“ წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., გვ. 246, 252].

✓ იძულებით დადებულ გარიგებისას, სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით ექვემდებარება კვლევას, თუ რა ვადაში განხორციელდა შეცილება, რათა არ გაუარესდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. გარიგების შეცილებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს.“⁸

✓ **ერთ-ერთ საქმეში, სასამართლომ სადავო გარიგება ამორალურადაც მიიჩნია, რადგან იძულება განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან.** საკასაციო პალატის შეფასებით, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შეიძლება წარმოადგენდეს

⁸ სუსგ №ას-679-2021, 18 იანვარი, 2022, ასევე იხ. სუსგ-ები: №ას-1120-2021, 1 თებერვალი, 2022, №ას-1215-2018, 29 მარტი, 2019, დიდი პალატის გადანყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017.

სსკ-ის 992-ე, 408.1 მუხლები ან სსკ-ის 976.1 და 979-ე მუხლის მეორე ნაწილი, თავად ქონების განკარგვის მართლზომიერება (ნების გამოვლენის ნამდვილობა) კი, უნდა შემოწმდეს ამავე კოდექსის 54-ე, 85-ე-87-ე მუხლების ფარგლებში.⁹

1.5. ხანდაზმულობა¹⁰

- ✓ უფლების წარმოშობა ისევე, როგორც მისი შეწყვეტა, დაკავშირებულია განსაზღვრულ დროსთან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამცნობს უფლების სუბიექტს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადის თაობაზე. სასარჩელო ხანდაზმულობა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ რაღაც ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე (იხ.: დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ყურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110).
- ✓ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება № 1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ო. ს. და ი. ხ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. (შდრ: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი).
- ✓ ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო

⁹ სუსგ №ას-679-2021, 18 იანვარი, 2022.

¹⁰ ხანდაზმულობის შესახებ სასამართლო პრაქტიკაზე დამატებით იხილეთ: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ.44. www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთ კონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლებების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 63).

- ✓ გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ევროპული სასამართლო განმარტავს: „...**ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს**“ (პ.51). (Stubbings and Others v The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).
- ✓ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება.

- ✓ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით **შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს.** „მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მოვალის დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო.“ **ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.** მითითება ხანდაზმულობაზე, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე, პროცესუალურად მთლიანად მოპასუხის კუთვნილ შესაგებელს წარმოადგენს. რაც შეეხება ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობებს, მისი შესწავლა შესაბამისი შედავების არარსებობის პირობებშიც კი, სასამართლოს ვალდებულებაა.
- ✓ სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დანყებისა და დასრულების მომენტს.

მოთხოვნის შემოწმებისას, აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. **ერთმანეთისაგან განსხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს.** ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას (შდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 2. თბილისი, 2017 წელი; ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 123).

- √ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში **განმარტავს:** „ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება სურვილზე (სსკ-ის 144.1-ე მუხლი). **სსკ-ის 130-ე მუხლი** ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. **ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება**, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.
- √ ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი, უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (შდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).
- √ ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მო-

მენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაინყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვ. 64).

- √ ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. **თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება.** ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. **თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ** (იხ. ზურაბ ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320).¹¹
- √ **მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელის წარდგენისას**, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაჟღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი). მოთხოვნის შემაფერხებელ შესაგებელთან გვაქვს საქმე ასევე, როდესაც მოპასუხე უთითებს მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე (სსკ-ის 369-ე მუხლი) ან შესრულების ვადის დაუდგომლობაზე (სსკ-ის 361.2 მუხლი, 368-ე მუხლი).¹²
- √ კონდიციური ვალდებულების არსის გათვალისწინებით, ამ ინსტიტუტის მიმართ გამოიყენება სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის **საერთო ვადა – 10 წელი**, რომელიც ყველა იმ ურთიერთობისათვისაა, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას.¹³

კონკრეტულ დავაში სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს არა დივიდენდის განაწილება, არამედ სამართლებრი-

¹¹ სუსგ №ას-1352-2021, 18 მარტი, 2022, ასევე, №ას-345-2020, 22 ივნისი, 2022, №ას-1764-2018, 13 აპრილი, 2020.

¹² სუსგ №ას-679-2021, 18 იანვარი, 2022, №ას-1352-2021, 18 მარტი, 2022.

¹³ სუსგ №ას-854-2020, 13 აპრილი, 2022.

ვი საფუძვლის გარეშე მოპასუხის მიერ დივიდენდის სახით მიღებული ფულადი თანხის დაბრუნება, გამოყენებული უნდა იქნეს არა დავის წარმოშობისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ვადები, არამედ საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, ვინაიდან მოთხოვნა ეხება უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული სიკეთის დაბრუნებას.¹⁴

√ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 05 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობა გაიზიარა და განმარტა: „სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი განადგურება, რაც საბოლოოდ, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან.“¹⁵

√ გადაწყვეტილებაში, სადაც სადავო იყო გარკვეული საპროცესო მოქმედების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის არსებობა, საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:** ხანდაზმულობის ვადა უკავშირდება რა, ლეგიტიმურ მიზნებს, სასამართლო უნდა სარგებლობდეს მკაფიო და ხელშესახები კრიტერიუმებით იმის შესამოწმებლად და დასადგენად, რომ პირმა არ იცოდა და ობიექტურად არც შეიძლებოდა სცოდნოდა მის ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. უნდა მოხდეს იმის პრევენცია, რომ პირმა დროში უმიზეზოდ არ გაახანგრძლივოს უფლების განხორციელება, ის შეზღუდული უნდა იყოს შესაძლებლობაში, მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეეძლო ეს თავის დროზე განეხორციელებინა...¹⁶

¹⁴ სუსგ №ას-1352-2021, 18 მარტი, 2022, ასევე სუსგ №ას-546-519-2014, 02 თებერვალი, 2015.
¹⁵ სუსგ №ას-345 -2020, 22 ივნისი, 2022.
¹⁶ სუსგ №ას-973-2019, 12 თებერვალი, 2021, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ჯანაშვილი, ნ. ჯანაშვილი და ი. ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/531, ბათუმი, 05 ნოემბერი, 2013.

- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია რა, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ფაქტი სსკ-ის 137-ე მუხლის საფუძველზე, **განმარტა**, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის დინება შეწყდა გარიგებით სხვადასხვა ეტაპზე გადაცემული ყველა პროდუქციის ღირებულების მიმართ.¹⁷
- ✓ სესხისა და იპოთეკის რეალიზაციის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე გამოყენებული უნდა იქნეს ის ვადა, რომელიც სესხის ხელშეკრულების მოთხოვნაზე ვრცელდება.¹⁸
- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, როგორც თვალთმაქცური გარიგება, რომლითაც დაიფარა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება და აღიარებულ იქნა, რომ მხარეთა შორის რეალურად დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. შესაბამისად, სესხის სახით გაცემული თანხის უკუმოთხოვნის უფლება მოსარჩელეს წარმოეშვა არა ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც თვალთმაქცობის სამართლებრივი საფუძველით (სსკ-ის 56-ე მუხლი) ბათილადაა ცნობილი, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, როდესაც თვალთმაქცურ გარიგებად იქნა აღიარებული ნასყიდობის ხელშეკრულება და დადგინდა მხარეთა რეალური მიზნის – სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა.¹⁹

1.5.1. ხანდაზმულობა მოთხოვნის დათმობისას

მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა ნაუყენოს მოვალეს, ხოლო მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს ნაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ასევე, ეხება მოვალის შესაგებელს კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. აღნიშნული ნიშნავს, რომ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ასევე, ხანდაზმული იქნება ახალი კრედი-

¹⁷ სუსგ №ას-345-2020, 22 ივნისი, 2022.

¹⁸ სუსგ №ას-1345-2018, 15.03.2019, №ას-1191-2019 04.12.2019.

¹⁹ სუსგ №ას-537-2021, 22 თებერვალი, 2022.

ტორის მოთხოვნა.“

ამდენად, მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა ახალი კრედიტორისათვის თავიდან არ იწყება, იგი განაგრძობს დენას ისე, როგორც ეს თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა.²⁰

თანამესაკუთრის მიერ საზიარო საგნით სარგებლობის ხელშეშლის მოთხოვნის უფლება ხანდაზმულობის ვადით შეზღუდული არ არის.²¹

1.5.2. ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლისას

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება იმაშია, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

√ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლაზე, როგორც აღმჭურველ უფლებაზე, არ ვრცელდება ხანდაზმულობა, მისი თანმდევი შედეგი – რესტიტუცია ექვემდებარება ხანდაზმულობას. ამ დროს თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილს იკავებს უკუქცევის შედეგად წარმოშობილ შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა, რაც ხელშეკრულების დადების შემდეგ შესრულებათა გაცვლამდე არსებული ვითარების აღდგენას გულისხმობს, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოიშობა ახალი ვალდებულება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება). ნატურით დაბრუნების მოთხოვნაზე კი, სსკ-ის 128.3 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა ვრცელდება, რომელიც იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან.²²

სსკ-ის 137-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენა ნყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ვალდებულების სხვაგვარად აღიარების საკითხი შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით.

√ მოვალის ქმედებიდან, რომელიც კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანების შესრულებას ეხება, ნათლად და არაორაზროვნად უნდა დგინდებოდეს მო-

²⁰ სუსგ №ას-513-2021, 24 იანვარი, 2022, ასევე იხ. №ას-229-216-2015, 8.06.2015.

²¹ სუსგ №ას-1261-2021, 7 აპრილი, 2022.

²² სუსგ №ას-1361-2020, 11 მარტი, 2021, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-1209-1169-2016, 12 ივლისი, 2017.

ვალის მხრიდან ვალდებულების აღიარება და მოვალის მზაობა აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე.

კონკრეტულ დავაში, ბანკის მიერ კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, თანხის უაქცეპტო წესით ანგარიშიდან ჩამოჭრა მიჩნეულ იქნა მოვალის მხრიდან სსკ-ის 137-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების „სხვაგვარ აღიარებად“ და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლად.²³

1.5.3. 140-ე მუხლი

✓ კანონმდებლის მიზნისა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 140-ე მუხლის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაზე. ნორმის მიზანი სწორედ ისაა, რომ, თუ ხანდაზმულობის ვადის დაცვით წარდგენილი სარჩელი არ აკმაყოფილებს ფორმალურად ან/და შინაარსობრივად სამართალწარმოების განხორციელების წინაპირობებს, სუბიექტს ჰქონდეს შესაძლებლობა 6-თვიანი დროის მონაკვეთში აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანება/ხარვეზი და სასამართლოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი სარჩელით ხელახლა მიმართოს. ამ დათქმით კანონმდებელი აძლიერებს პირის დარღვეული უფლების დაცვის სტანდარტს და დარღვეული უფლების აღსადგენად მოტივირებულ სუბიექტს, რომელმაც ფორმალურად, დავის მიმართ ინტერესი სარჩელის წარდგენით გამოავლინა, არ წაერთვას საკუთარი უფლების სასამართლო წესით დაცვის საშუალება. სსკ-ის 140-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის სპეციალურ წესს მხოლოდ ორ შემთხვევაში განსაზღვრავს და ასეთად სარჩელის განუხილველად დატოვებასთან ერთად, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის ვითარებასაც განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ კანონმდებელი უკიდურესი დაცვითი ღონისძიების სახით, დავის მიმართ იურიდიული ინტერესის მქონე პირს აძლევს დროს, მიიღოს დავის ნამოწყების თაობაზე გააზრებული გადაწყვეტილება, სარჩელის აღძვრის უფლების საბოლოო გაქარწყლებამდე.²⁴

²³ სუსგ №ას-386-2019, 2 აპრილი, 2021.

²⁴ სუსგ №ას-291-2021, 29 აპრილი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ №ას-652-2019, 27 დეკემბერი, 2019.

2. სანიჰტო სამართალი²⁵

2.1. 162-ე მუხლი

ევროსასამართლომ რეგისტრირებული საკუთრების უფლების არარსებობის მიუხედავად, მფლობელობა კეთილსინდისიერად, ხოლო მართლზომიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის №1 მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია.

უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით წარმოებულ დავაში, **პალატამ განმარტა**, რომ სსკ-ის 162-ე მუხლი შეიცავს მართლზომიერი მფლობელის უფლებადამცავ გენერალურ დათქმას, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, ხოლო თავად მართლზომიერი მფლობელობის არსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება განსხვავებული გარემოებებით დასტურდებოდეს. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ქონება, ყალბი დოკუმენტის საფუძველზე, ფიზიკური პირის საკუთრებად აღრიცხვამდე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე იყო აღრიცხული. გარდა ამისა, მოპასუხეები წლების განმავლობაში ფლობენ ქონებას. ხოლო სახელმწიფოს მხრიდან სსკ-ის 168-ე მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზაციის ფაქტი არ დადგენილა. ამდენად, სასამართლომ უნდა შეაფასოს პრეზუმირებული ხომ არ არის სახელმწიფოს ნებართვით მის ბალანსზე არსებული ქონების მოპასუხეთა მფლობელობაში გადაცემის ფაქტი, რომლის უარყოფაც მოწინააღმდეგე მხარეს ეკისრება. საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაზეც (იხ.: სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, (განაცხადი №18768/05)), სადაც **ევროსასამართლომ მართლზომიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის №1 მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია**. ევროსასამართლოს განმარტებით, „მფლობელობის“ ცნებას №1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის პირველი ნაწილის თვალსაზრისით, აქვს ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ნივთების მესაკუთრეობით და დამოუკიდებელია ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ფორმალური კლასიფიკაციისაგან. გამოსაკვლევი საკითხი შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთიანობა განმცხადებელს ანიჭებს საკუთრების უფლებას იმ მატერიალურ ინტერესზე, რომელსაც იცავს აღნიშნული დებულება (იხ.: *Zwierzyński v. Poland*, no. 34049/96, § 63, ECHR 2001-VI)). შესაბამისად, ისევე როგორც ფიზიკური ნივთები, კონკრეტული უფლებები და ინტერესი, რომლებიც წარმოადგენენ აქტივებს, შეიძლება ასევე ჩაითვალოს „მფლობელობად“ ამ დებულების საჭიროებებიდან გამომდინარე (იხ.: *Iatridis v. Greece [GC]*, no. 31107/96, §54, ECHR 1999-II, and *Beyeler v. Italy [GC]*, no. 33202/96, § 100, ECHR 2000-I). „მფლობელობის“ ცნება არ იზღუდება „არსებულ მფლობელობად“, არამედ შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, მათ შორის მოთხოვნებს, რომლებთან და-

²⁵ სანიჰტო სამართლის ნორმებთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე დამატებით იხილეთ: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ.52. www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

კავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია იდავოს, რომ მას გააჩნია სულ მცირე, გონივრული და „მართლზომიერი მოლოდინი“ იმისა, რომ შეძლებს საკუთრების უფლებით სარგებლობას (იხ.: *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, §83, ECHR 2001-VIII). „მოლოდინი“ მართლზომიერია, თუკი იგი ემყარება საკანონმდებლო დებულებას ან ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება საკუთრების ინტერესს (იხ.: *Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, §§ 45-52, ECHR 2004-IX). რეგისტრირებული საკუთრების უფლების არარსებობის მიუხედავად, ევროსასამართლომ მფლობელობა კეთილსინდისიერად მიიჩნია იმ მიზეზით, რომ სასამართლოს კანონის თანახმად, უმთავრესი მნიშვნელობა ამასთან დაკავშირებით აქვს უწყებების მიერ მკაფიოდ გამოხატულ ტოლერანტობას მფლობელის მიერ კოტეჯის და მიმდებარე მიწის ნაკვეთის ექსკლუზიური, შეუფერხებელი და ღია სარგებლობის თაობაზე ათწელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის მანძილზე, მფლობელმა დააყენა მრავალი დეტალი, დარგო სანივთო ხეხილი და ბოსტნეული, მოაშენა შინაური ფრინველები და ცხოველები; მან ასევე შეძლო, თავშესაფარი მიეცა რვა დევნილი ნათესავისთვის, სახელმწიფოსაგან რაიმე დამატებითი ნებართვის მიღების გარეშე; სახელმწიფოს არასოდეს გაუპროტესტებია პირველი განმცხადებლის მიერ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და ოჯახური გარემო (იხ.: *uneryyldyz v. Turkey* [GC], no. 48939/99, §§ 105, 106 and 127, ECHR 2004-XII; *Stretch*, cited above, § 34; *Dodan and Others v. Turkey*, nos. 8803-8811/02, 8813/02 and 8815-8819/02, § 139, ECHR 2004-VI (extracts); *Matos e Silva, Lda., and Others v. Portugal*, 16 September 1996, § 72, Reports 1996-IV).²⁶

2.2. 163-ე მუხლი

✓ სსკ 163.2-ე მუხლის საფუძველზე, როგორც ხარჯების ანაზღაურების უფლება, ისე მისი მოცულობა პირდაპირ კავშირშია მფლობელის მიერ ნივთით სარგებლობისა და მისგან მიღებული ნაყოფის სიდიდეზე, ანაზღაურდება მხოლოდ ის ხარჯები, რაც ამ უკანასკნელით არაა კომპენსირებული.

კონკრეტულ დავაში, ვინაიდან მოსარჩელები 30 წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ სარგებლობდნენ მოპასუხეთა უძრავი ქონებით (და ამ ხნის მანძილზე მესაკუთრეებს ერთხელაც არ უსარგებლიათ თავიანთი საკუთრებით), მოსარჩელებათვის, როგორც სადავო უძრავ ქონებაში დროებით შესახლებული პირებისთვის, ბინის დაკავების დღიდანვე ცნობილი იყო მათი მფლობელობის დროებითობის თაობაზე, მათ ბინის ყოველი გაუმჯობესება უნდა განეხორციელებინათ სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბინაში ჩატარებული გაუმჯობესების სამუშაოების ღირებულება სრულად კომპენსირებულია ბინის ხანგრძლივი დროით უსასყიდლოდ სარგებლობით.²⁷

²⁶ სუსგ №ას-1467-2019, 26 თებერვალი, 2021.

²⁷ სუსგ №ას-492-2020, 3 თებერვალი, 2021.

2.3. 170-172 -ე მუხლები

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი. სავინდიკაციო სარჩელი ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ მესაკუთრეს, რომელსაც ჩამოერთვა მფლობელობა, შეუძლია ნივთი მოითხოვოს მფლობელისაგან, რომელიც არაკეთილსინდისიერად აკავებს ნივთს. საკუთრების უფლებამ ნივთზე სრული ბატონობა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ფაქტობრივი ბატონობა – მფლობელობის სახით. ცხადია, მესაკუთრეს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად აქვს მფლობელობის უფლებაც და თუკი მოხდება საკუთრების მფლობელობის ჩამორთმევა, მას შეუძლია არაუფლებამოსილ მფლობელს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება (იხ.: თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019, გვ. 245).

- √ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკუთრების უფლება ფართოდაა განმარტებული და იგი მოიცავს მთელ რიგ ქონებრივ/ფულად უფლებებს, რომელიც საკუთრებიდან გამომდინარეობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში RYSOVSKYY v. UKRAINE განმარტა, რომ როდესაც სასწორზე დევს საზოგადოებრივი ინტერესი, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებს, როგორცაა მაგალითად, საკუთრების უფლება, საჯარო ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების ფარგლებში, სათანადოდ და, რაც მთავრია, შესაბამისად (RYSOVSKYY v. UKRAINE, 2012).
- √ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – მარქსი ბელგიის წინააღმდეგ განმარტა: „იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მუხლი პირველი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები „საკუთრება“ და „საკუთრების გამოყენება“ (მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხ. №6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი).
- √ სხვა საქმეზე ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ „საკუთრების ცნებას დამატებითი №1 ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ შემოიფარგლება ფიზიკური ნივთების ფლობით და ის დამოუკიდებელია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ოფიციალური კლასიფიკაციისგან: „საკუთრების“ ცნება არ შემოიფარგლება „არსებული საკუთრებით“, არამედ ის შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, სარჩელების ჩათვლით, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს, რომ მას გააჩნია საკუთრების უფლებისა ან ქონებრივი ინტერესის ეფექტური გამოყენების გონივრული და „კანონიერი მოლოდინი“ (იხ.: იონერილდინი თურქეთის წინააღმდეგ, დიდი პალატა, №48939/99, §124, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004-XII და პრინცი ჰანს-ადამ II ლიხტენშტეინი გერმანიის წინააღმდეგ; დიდი პალატა, №42527/98, §83, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-VIII).

სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.²⁸

კონკრეტულ საქმეში, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა:

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის დანაწესით განსაზღვრულია საკუთრების უფლების შინაარსი.

„სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტიების გზით. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/423.) „საქართველოს კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ საკუთრება, არამედ მისი შექმნაც და გასხვისებაც. საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს განსაზღვრავს არა კანონი, არამედ სამართლებრივი წესრიგი“ (იხ.: ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 97).

√ „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება არა მარტო ინდივიდის არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512). „უნდა ითქვას, რომ მენარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირურთიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მენარმეობის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციით დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამენარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხე-

²⁸ სუსგ №ას-678-2022, 7 ივლისი, 2022, მრავალთავან იხ. სუსგ-ები: №ას-136-2019, 3 თებერვალი, 2021, №ას-1437-2020, 29 იანვარი, 2021, №ას-33-2012, 11 მარტი, 2021, №ას-363-2020, 25 თებერვალი, 2021, №ას-1274-2020, 24 დეკემბერი, 2020, №ას-434-2019, 31 იანვარი, 2020, №ას-1579-2019, 17 დეკემბერი, 2019, №ას-1082-1039-2016, 14 თებერვალი, 2017, №ას-1043-1004-2016, 12 დეკემბერი, 2016.

დავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/411). სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

- ✓ „საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). „საქართველოს კონსტიტუციით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება. საკუთრება კანონიერად მაშინ ჩაითვლება, თუ ის შექმნილია კანონის მოთხოვნათა დაცვით“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/5/309). „საკუთრების კანონისმიერი თუ სახელმეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს“ (იხ.: ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 105).
- ✓ საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია, პირველ ყოვლისა, ნიშნავს მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან მის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში, კერძოდ, მიმართოს სასამართლოს. „თუმცა, ამ უფლების გარანტირებულობა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვის უფლებით არ ამოიწურება, ის ამავედროულად ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ეს უფლება“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384).
- ✓ „საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. ამავე დროს სახელმწიფო პოზიტიურადაა ვალდებული, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების ნევრებს შორის. სახელმწიფოს გააჩნია დაცვის ვალდებულება, რომელიც მას გარკვეული ქმედების შესრულებას ავალდებულებს“ (იხ.: ფირცხალაიშვილი ა., სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1/12 თბ., 2012, 49).
- ✓ ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი – ყოველ ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, ასევე მოიცავს მატერიალური ინტერესის არსებობას, როგორც საკუთრების უფლებით დაცვის ობიექტს. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1983 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden* (განაცხადის №. 8588/79, 8589/79; 1983); იხ. აგრეთვე; შპს „J.A.Pye (Oxford) და შპს „J.A. Pye (Oxford) Land“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადის №. 44302/02, §61, 30 აგვისტო, 2007). „იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილე პირების“ (იხ.: ბ. ზოიძე, საკონ-

სტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 115). „მესაკუთრესა და ნივთს შორის არსებული ურთიერთობა ვერ განხორციელდება, თუ არ არსებობს ამ ურთიერთობისადმი ყველას პატივისცემა. საკუთრების სანივთო უფლების რეალიზაცია შესაძლებელია სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის დონეზე. პატივისცემას ექვემდებარება საკუთრების როგორც სუბსტანცია, ისე მისი შინაარსი (იხ.: ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ქრილში, თბილისი, 2013, გვ.224).²⁹

კონკრეტულ დავაში, სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ამხანაგობის სახელზე. აღნიშნულ ქონებაზე რეგისტრირებულია მოსარჩელის სამომავლო უფლება, რაც, სსკ-ის 183-ე მუხლიდან გამომდინარე, ვერ გამოდგება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლების სანივთააღმდეგო გარემოებად. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა ვლინდება საჯარო რეესტრის ამონაწერის „მესაკუთრის“ ველში შემძენის რეგისტრაციის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს ანიჭებს უფლებამოსილებას კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება შეზღუდვის ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. **რაც შეეხება იმავე ამონაწერში „ვალდებულების“ გრაფაში არსებულ ჩანაწერს, იგი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრეს ამ ველში მითითებული პირის/პირების მიმართ გააჩნია გარკვეული ვალდებულებები.**

- ✓ **საჯარო რეესტრის ამონაწერის „ვალდებულების“ ველში არსებული ჩანაწერი მოსარჩელის სამომავლო უფლების თაობაზე, ავტომატურად არ აქცევს მას უძრავი ნივთის მესაკუთრედ, არამედ ანიჭებს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას.³⁰**
- ✓ 172.2.-ე მუხლთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა წარმოადგენს ნეგატიურულ სარჩელს, რომელიც მესაკუთრის დაცვის მიზნით, მიმართულია უფლების დამრღვევი პირის წინააღმდეგ. სასამართლო ამ ტიპის სარჩელის განხილვისას ადგენს არა რაიმე ახალ უფლებას, არამედ მოდავე სუბიექტთა უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად ახდენს სამოქალაქო უფლების სწორი რეალიზაციის წესის განსაზღვრას. ასეთი ტიპის სარჩელი დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის მესაკუთრე, რომლის საკუთრების ხელყოფა ან საკუთრების გამოყენებაში სხვაგვარი ხელშეშლა ხორციელდება სხვა პირის უკანონო მოქმედებით.

შესაძლებელია, მშენებლობის დროს მიწის ნაკვეთებს შორის არსებული საზღვრის

²⁹ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, იხ. ასევე სუსგ №ას-1720-2019, 9 იანვარი, 2020.

³⁰ სუს გადაწყვეტილება №ას-900-2018, 08 თებერვალი, 2022.

დარღვევას ჰქონდეს ადგილი. სსკ-ის 179-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მინის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვარს. საკვანძო საკითხი ამ დროს არის ის, თუ როგორ მოხდა საზღვრის გადაცდენა: განზრახი თუ გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად. თუ საზღვრის გადასვლა მოხდა განზრახ, მესაკუთრეს შეუძლია დაეყრდნოს 172.2 მუხლს და მოითხოვოს დემონტაჟი. თუ საზღვრის გადაცდენა მოხდა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე, რადგან ამ შემთხვევაში სახეზეა მეორე მხარის ეკონომიკური ინტერესი, კანონმდებლობა ავალდებულებს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, ითმინოს მის მინის ნაკვეთზე ეს ზემოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინააღმდეგობის თანავე განაცხადა. საზღვრის დარღვევა, თუკი ასეთს აქვს ადგილი, ადვილად შესამჩნევი ხდება მეზობელი მესაკუთრისთვის. სწორედ ამიტომ კანონმდებლობა იმ მესაკუთრისაგან, რომლისათვისაც მნიშვნელოვანია, რომ მისი მინის ნაკვეთზე არ ჰქონდეს ადგილი მსგავს ზემოქმედებას, მოითხოვს საზღვრის დარღვევის შესახებ მეორე მხარის დაუყოვნებლივ ინფორმირებას შეტყობისთანავე – იმ მომენტში, როგორც კი აღნიშნული მისთვის ცნობილი გახდა. თუკი მესაკუთრემ არა განახორციელა ეს მოქმედება, შემდგომ იგი კარგავს მისი მინის ნაკვეთზე არსებული კონსტრუქციის დემონტაჟის მოთხოვნის უფლებას (იხ.: თამარ ზარანდია, „სანივთო სამართალი,“ თბილისი, 2019 წელი, გვ. 275).³¹

✓ ნეგატორულია სარჩელი, რომელიც „მიმართულია უფლების ისეთი დარღვევის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელშემშლელია ნივთის სარგებლობისა და განკარგვისათვის, ე.ი. პირი მოკლებულია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი თავისი მოქმედებით ხელს უშლის მათ რეალიზებას... ამ სარჩელის საფუძველია გარემოებები, რომლებიც აფუძნებენ მოსარჩელის მიერ ნივთით სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებას. ასევე ამტკიცებენ, რომ მესამე პირთა მოქმედება აბრკოლებს მათ განხორციელებას. მოსარჩელეს არ ევალება, ამტკიცოს მოპასუხის მოქმედების ან უმოქმედობის არამართლზომიერება, ის ივარაუდება, სანამ მოპასუხე არ დაამტკიცებს მის მართლზომიერებას... ნეგატორული სარჩელი მიზნად ისახავს მესაკუთრის თავისუფლების აღიარებას ხელმყოფისაგან, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ზიანის ანაზღაურებასა და დაცვის გარანტიების შექმნას შემდგომში შესაძლო ხელყოფისაგან. ნეგატორული სარჩელით სარგებლობს როგორც მესაკუთრე, ისე ნებისმიერი მართლზომიერი მფლობელი.“³²

✓ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნით წარმოებულ დავაში საკასაციო პალატამ მესაკუთრის სარჩელი უარყო, იმ დასაბუთებით, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები „წინ უსწრებს“ საკუთრების უფლებას.

³¹ სუსგ №ას-1029-2021, 23 ივნისი, 2022, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-674-2019, 30 სექტემბერი, 2019, №ას-843-809-2016, 26 ოქტომბერი, 2016.

³² სუსგ №ას-1261-2021, 7 აპრილი, 2022, ასევე, სუსგ №ას-843-809-2016, 26 ოქტომბერი, 2016.

კონკრეტული საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელის არასრულწლოვანი შვილიშვილები ცხოვრობენ დედასთან (მოპასუხესთან) ერთად მოსარჩელის კუთვნილ სახლში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

ასეთი მოცემულობის არსებობისას, არასრულწლოვნის უფლებასთან მიმართებით, რომ პაპის მიერ უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელი, არ იკვეთება მესაკუთრის უპირატესი ინტერესი დედის, და შესაბამისად მისი არასრულწლოვანი შვილების უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვასთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემური ანალიზის მიხედვით, შვილიშვილებზე ზრუნვის ვალდებულება პაპა-ბებიის მოვალეობაცაა, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ ბავშვები ცხოვრობენ მხოლოდ დედასთან ერთად.

საკასაციო პალატამ სსკ-ის 1225-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ პაპასა და ბებია აქვთ საალიმენტო მოვალეობანი შვილიშვილის მიმართ **(პაპა და ბებია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან)** და მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დავის ფარგლებში განსახილველ საკითხს არ განეკუთვნება აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პაპისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ მოთხოვნა, **აღნიშნული მუხლის სწორი, თანმიმდევრული, დასაბუთებული და ლოგიკური განმარტების შედეგად, მისი რეგულირების მიზანი მხოლოდ არასრულწლოვანისათვის მატერიალური საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ, მისი მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვანის უზრუნველყოფას საცხოვრებელით, მაშინ როდესაც, არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავის მშობლებისაგან არ შეუძლია.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლის მიერ ნათესაური კავშირების გამო რჩენისა და ზრუნვის მოვალეობის დაწესება თაობათაშორისი სოლიდარობის პრინციპის გამოხატულებაა. ამდენად, პაპა და ბებია მოვალენი არიან იზრუნონ შვილიშვილზე და მათ სასიკეთოდ სოციალური ვალდებულები აიღონ, რაც სამოქალაქოსამართლებრივი ზრუნვის მოვალეობაში გამოიხატება (იხ.: Beschluss vom 27. Oktober 2021 - XII ZB 123/21).

- ✓ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ **მცირეწლოვან ბავშვებს, რომელთა გამოსახლება თანხვედრაშია დედის გამოსახლებასთან და მხარეებს შორის არ არის მხოლოდ მესაკუთრესა და უკანონო მფლობელს შორის ურთიერთობა, არამედ იგი მოიცავს ასევე პაპისა და შვილიშვილების ურთიერთობასაც (ურთიერთრჩენის თვალსაზრისით) და სწორედ ამიტომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები „ნინ უსწრებს“ საკუთრების უფლებას.**
- ✓ საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, ამოსავალი წერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომლის დასაცავად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კრიტერიუმები, რომელიც ვერ იქნება შესრულებული, თუ ისინი არ იქნებიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილით. შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოე-

ბების გათვალისწინებით, მოსარჩელის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მისივე არასრულწლოვანი შვილიშვილების ცხოვრების პირობებში, არსებობს საკუთრების კონსტიტუციური უფლების დროებით შეზღუდვის მწვავე სოციალური საჭიროება, რაც გამომწვეულია მესაკუთრის შვილიშვილების საცხოვრებლის ქონის აუცილებლობით.³³

2.4. 179-ე მუხლი

✓ სსკ-ის 179-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მინის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვარს. საკვანძო საკითხი ამ დროს არის ის, თუ როგორ მოხდა საზღვრის გადაცდენა: განზრახი თუ გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად. **თუ საზღვრის გადასვლა მოხდა განზრახ, მესაკუთრეს შეუძლია დაეყრდნოს 172.2 მუხლს და მოითხოვოს დემონტაჟი. თუ საზღვრის გადაცდენა მოხდა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე, რადგან ამ შემთხვევაში სახეზეა მეორე მხარის ეკონომიკური ინტერესი, კანონმდებლობა ავალდებულებს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, ითმინოს მისი მინის ნაკვეთზე ეს ზემოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინაწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.** საზღვრის დარღვევა, თუკი ასეთს აქვს ადგილი ადვილად შესამჩნევი ხდება მეზობელი მესაკუთრისთვის. სწორედ ამიტომ კანონმდებლობა იმ მესაკუთრისაგან, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მისი მინის ნაკვეთზე არ ჰქონდეს ადგილი მსგავს ზემოქმედებას, მოითხოვს საზღვრის დარღვევის შესახებ მეორე მხარის დაუყოვნებლივ ინფორმირებას შეტყობისთანავე – იმ მომენტში, როგორც კი აღნიშნული მისთვის ცნობილი გახდა. თუკი მესაკუთრემ არა განახორციელა ეს მოქმედება, შემდგომ იგი კარგავს მისი მინის ნაკვეთზე არსებული კონსტრუქციის დემონტაჟის მოთხოვნის უფლებას (იხ.: თ. ზარანდია, „სანივთო სამართალი,“ თბილისი, 2019, გვ. 275)

კონკრეტულ საქმეზე, სასამართლომ უდავოდ დადგენილად ჩათვალა, რომ ღობე წლების მანძილზე მოსარჩელის მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რაც მოწინააღმდეგე მხარეებს ქონების შეძენისას სადავოდ არ გაუხდიათ და არც ღობის მათ საზღვარზე შეჭრის გამო წამოუყენებიათ პრეტენზია. არც მოპასუხის წინამორბედი მესაკუთრეების მიერ გამხდარა სადავოდ ეს ფაქტი. შესაბამისად, მოპასუხეებს აეკრძალათ ხელშეშლა, კერძოდ, მოსარჩელის ღობის დანგრევა.³⁴

2.5. 180-ე მუხლი

✓ უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაშია განმარტებული, რომ საკუთრე-

³³ სუს გადაწყვეტილება №ას-1375-2021, 16 ივნისი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-454-426-2017, 05.05.2017, №ას-545-728-08, 12.09.2008.

³⁴ სუსგ №ას-25-2021, 27 აპრილი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ №ას-1065-2020, 8.04.2021.

ბის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა ლეგიტიმურია მხოლოდ სამართლიანი კომპენსაციის პირობებში. კომპენსაცია სამართლიანია, თუ იგი უზრუნველყოფს საკუთრებაზე დაწესებული შეზღუდვის თმენის ვალდებულებისათვის გონივრული ანაზღაურების მიღებას. ამასთან, ანაზღაურება თმენის ეკვივალენტური უნდა იყოს. თმენა კი ეხება არა მხოლოდ მატერიალურ უფლებაში ჩარევას, როგორცაა: შემოსავლის შემცირება, საკუთრების უფლებით ჩვეულებრივი სარგებლობით უფლების შეზღუდვა, უძრავი ქონების საფასურის შეცვლა საუარესოდ და ა. შ. ასევე, არამატერიალურ უფლებებში ჩარევასაც. შესაბამისად, **კომპენსაციას ექვემდებარება არა მხოლოდ აუცილებელი გზის ფარგლებში არსებული თმენის ვალდებულება, ასევე ის შეზღუდვა, დანაკარგი, დანაკლისი, თუ ზემოქმედება, რისი თმენის ვალდებულებაც მესაკუთრეს აუცილებელი გზის დაწესებიდან გამომდინარე წარმოეშობა.**

✓ კომპენსაციის ოდენობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები და ის ინტერესი, რაც მესაკუთრეს ან მფლობელს ექნებოდა შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. ამასთან, შეზღუდვის კანონიერება, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მონმდება ე. წ. პროპორციულობის ტესტით: იგი უნდა ემყარებოდეს ლეგიტიმურ საფუძველს, გამართლებული უნდა იყოს საზოგადოების აუცილებელი საჭიროებით და მიზნის მიღწევა ნაკლებად მზღუდავი საშუალებით არ უნდა იყოს შესაძლებელი.

✓ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური. მესაკუთრის უფლებები შეზღუდულია კანონით ან ხელშეკრულებით (სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი). სსკ-ის 180-ე მუხლში საკუთრების უფლების კანონისმიერი შეზღუდვის პირობებია მოცემული. თუ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები, მაშინ მეზობელმა უნდა ითმინოს თავისი მიწის ნაკვეთის დატვირთვები. მეზობელი ნაკვეთის დატვირთვა ობიექტური გარემოებებით უნდა იყოს გამონვეული, კერძოდ, როდესაც მიწის ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ იზოლირებულია საჯარო გზებისგან ან საამისოდ ადრე არსებობდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი გზა, მაგრამ ამჟამად შეუძლებელია მისი ამ მიზნით გამოყენება. აუცილებელ გზაში იგულისხმება არა მარტო ბილიკი, საცალფეხო გზა, არამედ სამანქანო გზაც.

✓ სსკ-ის 180-ე მუხლით წესრიგდება სამეზობლო თმენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად, შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება, მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტური მიზანშეწონილობა-სა და არჩევანზე, არამედ ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტორებზე გარემოე-

ბებზე, რომლებიც უთითებენ აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა. შ.³⁵

2.6. 185-ე მუხლი

- √ სსკ-ის 185-ე მუხლი იცავს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორისა და რეგისტრირებული მესაკუთრის უფლებამოსილების მიმართ. აღნიშნული მუხლი მოიცავს შემთხვევას, როდესაც უძრავი ნივთის გასხვისების ნებას ავლენს რეგისტრირებული მესაკუთრე, მაგრამ მისი საკუთრების უფლება შეცილებულია სხვა, მესამე პირთა მხრიდან ან არ არის სრულყოფილი, რისი არცოდნაც შემძენის მიერ წარმოაჩენს შემძენს კეთილსინდისიერად.
- √ უძრავი ქონების შემძენს თავისი უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები. ამ მდგომარეობას არარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციას და, შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არა კეთილსინდისიერებაა. სსკ-ის 185-ე (არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ-ის 185-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, „გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში,“ იმ შემთხვევაში, როდესაც რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი შემძენისათვის ცნობილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება 17.10.2017. №3/4/550) და 312-ე მუხლები შეიცავს არა კეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ კომპონენტს – შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას გამოკვლეული უნდა იქნეს შემძენის შესაძლებლობა რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ან უნდა გაირკვეს შემძენს გონივრული წინდახედულების ფარგლებში უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვინაობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით.
- √ საკასაციო სასამართლომ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დასაცავად **განმარტა:** „უპირველესად უნდა შემოწმდეს ბოლო მესაკუთრის უფლების ნამდვილობა და სწორედ ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შემდგომია იურიდიულად ღირებული სხვა წინაპირობათა საფუძვლიანობის შემოწმება. სააპელაციო

³⁵ სუსგ №ას-568-2021, 26 ნოემბერი, 2021, იხ.: მრავალთავან სუსგ-ები: №ას-965-2019, 10 აპრილი, 2020, №ას-568-2021, 26 ნოემბერი, 2021, №ას-45-2021, 22 აპრილი, 2021, №ას-367-2021, 15 ოქტომბერი, 2021, №ას-965-2019, 10.04.2020, №ას-1513-2018, 08.02.2019, №ას-848-848-2018, 11.12.2020, №ას-832-2020, 21.04.2021, №ას-139-131-2018, 26 ოქტომბერი, 2018.

პალატამ დაადგინა, რომ ლ. ა. გარიგების დადების დროს ეყრდნობოდა რა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ გამყიდველის უფლებას, მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა უფლების ხარვეზის საკითხი, ამასთანავე, ქონება მყიდველს გადაეცა პირდაპირ მფლობელობაში და ის, როგორც მესაკუთრე ახორციელებდა ნივთზე სრულ ბატონობას. ამ შემთხვევაში, ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის ნამდვილობა სწორედ სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლების ფარგლებში შეფასებას ექვემდებარება, რა დროსაც მოქმედებს შემძენის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. ამ კანონისმიერი ვარაუდის გაქარწყლება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მოსარჩელეს.

- ✓ საჯარო წესრიგში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებშიც მოიაზრება ასევე, საკუთრების ხელშეუხებლობა. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. გარიგება, რითაც უარყოფილი იქნება საკუთრების ხელშეუხებლობის სოციალური ფუნქცია, უნდა ჩაითვალოს საჯარო წესრიგის დამრღვევ გარიგებად. ამ შემთხვევაში მხედველობაშია სოციალური და ეკონომიკური საჯარო წესრიგი.

კონკრეტული საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელის არაუფლებამოსილმა წარმომადგენელმა, რომელიც მოქმედებდა გაყალბებული მინდობილობის ფარგლებში, ქონება გაასხვისა მოპასუხეზე. მოპასუხემ, რომელიც მოსარჩელის წარმომადგენლის რძალია, უძრავი ქონება ორ ნაწილად დაჰყო და გაასხვისა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირზე (სანარმოზე), შედეგად უძრავი ქონება დარეგისტრირდა სანარმოს (კასატორის) საკუთრებად.

- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმეზე №3კ/624-02), **სასამართლო განმარტა**, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას: სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი.

შემძენი მენარმე სუბიექტს წარმოადგენს, რომელსაც მისი ყოველდღიური საქმიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მოეთხოვება მეტი წინდახედულება და გონივრულობა გარიგებების დადებისას. მოცემულ შემთხვევაში, შემძენს, რომელმაც სადავო გარიგების საფუძველზე შეიძინა უძრავი ქონება უნდა გამოეჩინა მეტი წინდახედულება ქონების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო აქტის ნაკლის მიმართ.

- ✓ საკასაციო სასამართლომ **განმარტა**, რომ სამოქალაქო განმარტებით ბრუნვის კეთილსინდისიერება მის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას ეყრდნობა, ეს კი გულისხმობს ბრუნვის მონაწილეებისადმი სანდობას. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება გამარტივებული და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი

წინაპირობაა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ თვალდახუჭულ ნდობას. იგი აუცილებლად გულისხმობს წინდახედულების გონივრულ მასშტაბს, რომლის უგულებელყოფამაც შეიძლება ბრუნვის მონაწილე არაკეთილსინდისიერ მონაწილედ აქციოს და დაცვის მიღმა დატოვოს.

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება (ისეთი გარიგებები, რომლებიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს) წარმოადგენს ბათილი გარიგების ყველაზე მკაცრ და კატეგორიულ ფორმას, ასეთი გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დგება არც მისი მონაწილეების და არც მესამე პირთა მიმართ, რადგან იგი დადებისთანავე ბათილია და ნამდვილად ვერ აქცევს ვერც გარიგების შემდგომი მოქმედება.

კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენადაც სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას უძრავი ნივთის ნამდვილ მესაკუთრეს არ გამოუვლენია სადავო უძრავი ქონების გასხვისების ნება, მხოლოდ სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები ვერ დაიცავდნენ უძრავი ქონების შემძენის ინტერესებს, რომელსაც, თავის მხრივ, როგორც მენარმე სუბიექტს, არ გამოუვლენია წინდახედულების ის გონივრული მასშტაბი, რაც მას როგორც სამოქალაქო ბრუნვის გათვითცნობიერებულ სუბიექტს ევალება და ასეთი ვალდებულება არ წარმოადგენს გადაჭარბებულ ტვირთს მენარმისათვის.³⁶

2.7. 199-ე მუხლი

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის უფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს, რომელიც მატერიალური სახით არ არსებობს, თუმცა მიმოქცევადი სიკეთეა, რომლის მფლობელსაც გააჩნია ამ მოთხოვნის განკარგვის შესაძლებლობა (სსკ-ის მე-7 მუხლი: კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული), მათ შორის მის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების შესაძლებლობა (სსკ-ის 254-ე მუხლი).

✓ სსკ-ის 199-ე მუხლი ადგენს მოთხოვნის დათმობის ნამდვილობის კრიტერიუმებსა და გამომრიცხავ გარემოებებს, კერძოდ, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსაღები ინტერესი. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევებში, თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, მოთ-

³⁶ სუსგ №ას-950-2020, 5 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-837-2019, 14.09.2020, №ას-931-2020, 22.01.2021.

ხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის ცალკე ხელშეკრულების არსებობის ფაქტი არ დასტურდება, მაგრამ მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმება მოხდა მორიგების აქტით, რომელიც მოგვიანებით სასამართლოს მიერ იქნა დამტკიცებული.

- ✓ მოთხოვნის დათმობის ნამდვილობის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნევა, თუ: 1) მოთხოვნის დათმობა ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს; 2) გარიგება ეწინააღმდეგება კანონს; 3) ცედენტისა (მოთხოვნის მფლობელის) და ცესიონერის (მოთხოვნის მიმღების) ნება ეწინააღმდეგება მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელისა და მოვალის შეთანხმებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, შეთანხმება ნამდვილია, თუკი არსებობს მოვალის პატივსაღები ინტერესი.³⁷

2.8. 203-ე მუხლი

- ✓ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმისდა მიხედვით, თავისუფლდება თუ არა თავდაპირველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისაგან, **განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს: 1. პრივატული ვალის გადაკისრება და 2. კუმულატიური ვალის გადაკისრება.** პრივატული ვალის გადაკისრების დროს, თავდაპირველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე. (სსკ-ის 203-ე მუხლი). რაც შეეხება კუმულატიური ვალის გადაკისრებას, ასეთ დროს თავდაპირველი მოვალე არ თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან, ხოლო მესამე პირი კი კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის მოვალის სახით (ე.წ. „ვალის დელეგირება“) (იხ.: დამატებით: ზ. ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, თბილისი, 2004, გვ.115).
- ✓ სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. სსკ-ის 203-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. აღნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული გარიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და შესაბამისად, კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ მხრივ, საკანონმდებლო თვალსაზრისით,

³⁷ სუსგ №ას-578-2021, 5 ოქტომბერი, 2021.

ნიშანდობლივია სსკ-ის დებულებანი, რომელიც ე. წ. **ექსპრომისიის** ცნებას არ ითვალისწინებს, რადროსაც, მესამე პირი, მართალია, კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრულობს, თუმცა, იგი თავდაპირველი მოვალის ადგილს არ იკავებს, არამედ თავდაპირველ მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

- √ სსკ-ის 203-ე მუხლი ექსპრომისიის გამომრიცხველ დათქმას შეიცავს, კერძოდ, თუ დადგინდა ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა სსკ-ის 203-ე მუხლის კონტექსტში, ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე მეტყველებს სსკ-ის 205-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც, ახალ მოვალეს უფლება არა აქვს გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე აპელირებს ასევე ამავე კოდექსის 206-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ამდენად, სსკ-ის 203-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, სახეზე უნდა იყოს კრედიტორსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულება. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ვალის გადაკისრება დასაშვებია კრედიტორსა და მესამე პირს შორის ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.³⁸

2.9. 206-ე მუხლი

- √ **კრედიტორს უარი ეთქვა იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციაზე, იმ საფუძველით, რომ მოვალის ცვლილებისას მესაკუთრის ნებართვა არ არსებობდა.**³⁹
- √ **სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი არ წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას (ე. წ. „საგამონაკლისო ნორმა“) და მისი ანალოგიით გამოყენება იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართაც, დასაშვებია.**

საქმის ფაბულის მიხედვით, ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელი იყო მესაკუთრისა და იპოთეკარის – ბანკის შეთანხმება, რადგან მესაკუთრის უძრავი ნივთი თავდაპირველი მოვალე ფიზიკური პირის ნაცვლად, სხვა მოვალის (სანარმოს) ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყენებულიყო.

- √ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული მოწესრიგება, სტრუქტურულად განთავსებულია არა საქართველოს

³⁸ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

³⁹ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში (სსკ-ის 254-285-ე მუხლები), არამედ ვალის გადაკისრების მომწესრიგებელ ზოგადი ხასიათის ნორმების თავში (სსკ-ის 203-206-ე მუხლები). თავის მხრივ, გირავნობისა და იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმები სტრუქტურულად განთავსებულია ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე თავში – საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. ორივე უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას გააჩნია ერთი საერთო მიზანი – დატვირთული ქონებით კრედიტორის დაკმაყოფილება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ ვალის გადაკისრების შემთხვევაში, დამგირავებელი ან თავდები თანხმობას არ განაცხადებს ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული გირავნობის ან თავდებობის შეწყვეტა გათვალისწინებულია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობისა და თავდებობის შეწყვეტის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით, არამედ სწორედ ზოგადი ხასიათის ნორმით, კერძოდ, სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესით. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულებისა და სისტემური განმარტების შედეგად, სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი არ წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ (ე.წ. „საგამონაკლისო ნორმა“) ნორმას და მისი ანალოგიით გამოყენება იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართაც, დასაშვებია.

✓ **სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი იქნებოდა საგამონაკლისო (ე.წ. სპეციალური) ნორმა იმ შემთხვევაში, თუ მასში საუბარი იქნებოდა მხოლოდ თავდებობის შეწყვეტაზე.** ასეთ შემთხვევაში, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს არის სპეციალური ნორმა (Argumentum e contrario – კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი სხვა უზრუნველყოფებთან მიმართებით), შეეხება მხოლოდ თავდებს, რადგან თავდები უფრო მეტ საფრთხეშია, აგებს რა პასუხს ძირითადი მოვალის ვალდებულებისათვის, ის პრივილეგირდება, ხოლო გირავნობის ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე მესამე პირი (არა პირადი მოვალე), არ თავისუფლდება და ეს არის კანონმდებლის პრინციპული ნება. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ სსკ-ის 206-ე მუხლში საუბარია გირავნობაზეც, როგორც უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებაზე, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ როგორც რეგისტრირებული გირავნობის, აგრეთვე იპოთეკის შემთხვევაში, დამგირავებელი ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე (არაპირადი მოვალე), (იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც რეგისტრირებული გირავნობა, აგრეთვე იპოთეკა იდება წერილობითი ფორმით და სამართლებრივ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან), პრინციპულად ერთნაირ სამართლებრივ მდგომარეობაში არიან.

✓ **საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს ის „არაგეგმაზომიერი“ ვაკუუმი („Planwidringen Regelungslücke“), რაც აუცილებელია კანონის ანალოგიით გამოყენებისათვის.**

უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვან და ამგვარი ხელშეკრულების დადების განმაპირობებელ გარემოებას წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფის საშუალებების გაცემას იგი უკავშირებს მოვალის გადახდისუ-

ნარიანობას და იმ ნდობას, რომ მოვალე თავის ვალდებულებებს ჯეროვნად შეასრულებს. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა უზრუნველყოფილია არაპირადი მოვალის (მესამე პირი) საკუთრებით (მოძრავი ან უძრავი ნივთი, აგრეთვე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის გადაკისრებისას, შეიძლება საფრთხე დაემუქროს უზრუნველყოფილი ქონების მესაკუთრის ინტერესს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსად გირავნობისა, ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელია იპოთეკის საგნის მესაკუთრის (არაპირადი მოვალე) და იპოთეკარის შეთანხმება, რომ არ შეწყდეს იპოთეკა.

- ✓ **სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრებისას, როდესაც მოვალე არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს, ამ შემთხვევაში კრედიტორმა და მოვალემ სარეგისტრაციო ცვლილებების მოთხოვნით უნდა მიმართონ მესაკუთრეს, ან მოვალისა და კრედიტორის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, მესაკუთრეს უნდა მიეცეს კანონით დადგენილი შესაძლებლობა, გაათავისუფლოს უსაფუძვლო იპოთეკის ჩანაწერი-საგან მის საკუთრებაში არსებული ობიექტი.**“ (იხ. დამატებით: თ. შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012, გვ. 105).
- ✓ სადავო ნორმა – სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი აგრეთვე, უნდა შეფასდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა აყალიბებს საზოგადოების ლეგიტიმურ მოლოდინს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, **გირავნობის საგნის მესაკუთრის (დამგირავებელი) უფლების დაცვის უფრო მეტი გარანტიების დაწესება, ვიდრე ანალოგიურ ვითარებაში მყოფი იპოთეკის საგნის მესაკუთრისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანაბარი მოპყრობისა და სამართლიანობის პრინციპებთან.**
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სასამართლომ ყოველ განსახილველ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, თუ რა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას ემსახურება სადავო რეგულაცია და რამდენად შეესაბამება იგი თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს“ (იხ: 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746) და, რომ „მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესებს წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარება (მონესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა,“ იხ. 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531).⁴⁰
- ✓ სსკ-ის 206-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე („ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა

⁴⁰ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე“), სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრებისას, მოთხოვნის მფლობელი (კრედიტორი) ვალდებულია შეატყობინოს თავდებს, დამგირავებელს, ან იპოთეკის საგნის მესაკუთრეს, თავდაპირველი მოვალის ნაცვლად ახალი მოვალისათვის ვალის გადაკისრების თაობაზე და, განუსაზღვროს გონივრული ვადა ურთიერთობის გაგრძელებაზე თანხმობის განაცხადებისათვის.

- √ სსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობისათვის საჭიროა, რომ ვალის გადაკისრების განზრახვის თაობაზე კრედიტორის შეტყობინება მიუვიდეს თავდებს ან სანივთო უზრუნველყოფის შემთხვევაში, დატვირთული ქონების (მოძრავი თუ უძრავი) მესაკუთრეს. შეტყობინების მიღებად კი, ბუნებრივია ის მომენტი უნდა ჩაითვალოს, როდესაც ადრესატმა (დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე, თავდები) ნახა და გაეცნო მას. შეტყობინების ადრესატთან მისვლას, შინაარსის გაცნობასა და თანხმობას შორის, შეიძლება იყოს დროის გარკვეული შუალედი (გონივრული ვადა).
- √ **გაბატონებული მოსაზრებით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფის საშუალება ძალაში დარჩეს, აუცილებელია ვალის გადაკისრებამდე უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების მესაკუთრის წინასწარი თანხმობა** (შდრ. MüKoBGB/Heinemeyer, 8. Aufl. 2019, BGB § 418 Rn. 8; Schreiber, in Soergel Kommentar zum BGB, 13. Aufl., § 418 Rn. 4; RG HRR 1933 Nr. 1742). ეს განპირობებულია სამართლებრივი მდგომარეობის სიცხადის აუცილებლობით, ცალსახა უნდა იყოს, არის თუ არა უზრუნველყოფა (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა) ძალაში, რადგან ეს უზრუნველყოფა მერყევად ბათილი ვერ იქნება. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმისათვისაც, რომ ზუსტად განისაზღვროს თავდებობის, გირავნობის თუ იპოთეკის შეწყვეტის მომენტი. თუ ამ წინასწარი თანხმობის არარსებობის გამო (თანხმობა გაცემული იქნება ვალის გადაკისრების შემდეგ) უზრუნველყოფა გაუქმდა, შემდეგ აუცილებელია მისი თავიდან დადგენა.
- √ სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, თავდების ან დატვირთული ქონების (უძრავი თუ მოძრავი) მესაკუთრის თანხმობა ურთიერთობის გაგრძელებაზე, როგორც წესი, საჭიროებს წერილობით ფორმას (მტკიცების ტვირთის მიზნებიდან გამომდინარე), თუმცა არ საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. საკასაციო პალატამ გაიზიარა მოსაზრება, რომ ვალის გადაკისრებისას ურთიერთობის გაგრძელებაზე, ცალკეულ შემთხვევებში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case), მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით დატვირთული ქონების მესაკუთრის კონკლუდენტური თანხმობის არსებობა, საკმარისია (შდრ. Die Einwilligung, also die vor Abschluss des Übernahmevertrages erklärte Zustimmung des Sicherungsgebers (vgl. § 183), kann formlos und konkludent erfolgen (MuKoBGB/Heinemeyer, 8. Aufl. 2019, BGB § 418 Rn. 6). Die Einwilligung kann ausdrücklich oder konkludent erfolgen und ist formfrei (BGH NJW 2015, 2872 [2873]; MüKoBGB/Heinemeyer Rn. 6; BGH NJW 2015, 2872 [2873]; Erman/Röthel Rn. 4; BeckOK BGB/Rohe BGB § 418 Rn. 8).

საბოლოოდ, კონკრეტულ დავაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 203-ე მუხ-

ლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია მესამე პირის (არა პირადი მოვალე) უძრავი ქონებით, შესაძლებელია სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესის ანალოგიით გამოყენება. **შესაბამისად, მესაკუთრის თანხმობის არარსებობის გამო, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნა უარყო.**⁴¹

2.10. სერვიტუტი

✓ ერთ საქმეში, **საკასაციო სასამართლომ განმარტა**, რომ სერვიტუტი, როგორც სხვის ნივთზე უფლება, ორი გზით დგინდება, ერთი, კანონის ობიექტურ-ნორმატიული ნების საფუძველზე და მეორე, პირთა სუბიექტური ნების, იგივე გარიგების საფუძველზე (ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გამომც. „მეცნიერება“, 2003, გვ. 263). სსკ-ის 180-ე მუხლით სხვისი საკუთრებით სარგებლობის უფლება წარმოადგენს საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის კანონისმიერ (არასახელშეკრულებო) უფლებას მეზობელი მესაკუთრის თანხმობის მიუხედავად. ამასთან, მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენება სხვა მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზეც, ანუ მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმებითაც (სსკ-ის 247-ე მუხლი, სერვიტუტი). აუცილებელი გზის უფლების რეალიზაციაზე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე თავის მეზობელს უარს ვერ ეტყვის, სხვა შემთხვევაში კი გადამწყვეტია მხარეთა ურთიერთშეთანხმება (გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2018, მუხ. 247, ველი 5).

✓ საკასაციო პალატა დაეთანხმა რა, რეგისტრირებული სერვიტუტის გაუქმების მოთხოვნით აღძრული სარჩელის უარყოფას, განმარტა, რომ **გარიგების (ხელშეკრულების) საფუძველზე წარმოშობილი სერვიტუტის შეწყვეტისათვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით – გაუქმების ხელშეკრულების დადება, სერვიტუტის დადგენისათვის გათვალისწინებული ფორმით ან დერელიქცია, სსკ-ის 184-ე მუხლის მიხედვით** (იხ.: დამატებით: გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018 გვ. 280, ველი 21.).⁴²

2.11. გირავნობა

კონკრეტულ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ დამგირავებლის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო, მოგირავნემ გამოიყენა მისთვის ხელშეკრულებითა და სსკ-ის 283-ე მუხლით მინიჭებული უფლება და საკუთარი ფულადი ინტერესი გირავნობის საგნების რეალიზაციით დაიკმაყოფილა.

⁴¹ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

⁴² სუსგ №ას-1058-2020, 9 თებერვალი, 2021, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-1549-2018 25 იანვარი, 2019, №ას-1108-1312-05, 18 ივლისი, 2006, №1416-1548-04 21 აპრილი, 2005.

✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გირავნობა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას. იგი მთლიანად არის დამოკიდებული უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე და მის გარეშე არ არსებობს. გირავნობის შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მოვალის მხრიდან უზრუნველყოფს მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ლომბარდში დაგირავება მფლობელობითი გირავნობის მაგალითია, როცა გირავნობის საგანი მოგირავნის – ლომბარდის მფლობელობაში გადადის. თუმცა, ლომბარდში დაგირავებისთვის დამატებით აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა. სსკ-ის 260 (I) მუხლის თანახმად, ლომბარდში ნივთების დაგირავებისთვის აუცილებელია მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება და ნივთის გადაცემა ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში (ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, გვ. 140-141). მფლობელობითი გირავნობის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს (მოგირავნეს) ზედმეტი ფორმალობებისა და ბარიერების გარეშე შეუძლია გირაოს რეალიზაციის მეშვეობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. ამას აიოლებს ის ფაქტი, რომ გირაო მის მფლობელობაშია და ფაქტობრივი კონტროლი გირავნობის საგანზე მის ხელშია. ეს განაპირობებს საყოფაცხოვრებო ან სამომხმარებლო სესხების დროს მფლობელობითი გირავნობის ფართოდ გამოყენებას (ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, გვ. 123).

✓ სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ თავისი პრეტენზიიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია, რადგანაც არ წარადგინა ისეთი მტკიცებულებები, რომლითაც ცხადი გახდებოდა დაგირავებული ნივთების შეუსაბამო დაბალ ფასად რეალიზაციის ფაქტი. მართალია, ოქროს საბაზრო ღირებულების დადგენა საჯაროდ ხელმისაწვდომია, თუმცა, სასამართლო, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას თავისი ინიციატივით შევიდეს ნივთის ღირებულების კვლევაში და ეჭვი შეიტანოს რეალიზაციის ფასში. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს მხოლოდ ის მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც წარდგენილია და დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, მოპასუხის ზეპირი მითითება ოქროს შეუსაბამო ფასად რეალიზაციასთან დაკავშირებით კი, არასაკმარისი მტკიცებულებაა.⁴³

სხვა საქმეში, სასამართლომ სალომბარდე სესხიდან გამომდინარე ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაში იმსჯელა ისეთ შემთხვევაზე, როცა მხარეთა შორის არის შეთანხმება დაგირავებული ნივთების რეალიზაციიდან ამონაგები თანხების არასაკმარისობისას, მოვალის მიმართ ლომბარდის მოთხოვნის შენარჩუნების თაობაზე, გირავნობის საგნის განმეორებითი შეფასება სესხის გაცემისას შეფასებულ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, რამდენად წარმოუშობს ლომბარდს მოპასუხის მიმართ დამატებითი თანხის (შეფასებულ ღირებულებებს შორის სხვაობის) მოთხოვნის უფლებას და რამდენად არის სხვა, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოუყენებელ, ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წინაპირობა.

⁴³ სუსგ №ას-938-2021, 1 აპრილი, 2022, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-425-425-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-445-427-2016, 09 სექტემბერი, 2016.

- √ სსკ-ის 260-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: 1. ლომბარდში ნივთების დაგირავება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის გზით. 2. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როცა გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავს ლომბარდის მიმართ არსებულ ვალდებულებას. ამდენად, ნორმის მე-2 ნაწილი დისპოზიციურია და მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საწინააღმდეგო წესზე (გ. რუსიაშვილი/ზ. ჭეჭელაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, თბილისი 2018, მუხლი 260, ველი 3).
- √ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმა სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფით დაუფარავი ნაშთის მოვალის სხვა ქონების ხარჯზე დაფარვის მოთხოვნის შემდეგ წინაპირობებს ადგენს: ა) მხარეთა შორის სალომბარდე სესხის ხელშეკრულების არსებობა; ბ) შეთანხმება დაგირავებული ნივთების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის არასაკმარისობისას მოვალის მიმართ ლომბარდის მოთხოვნის შენარჩუნების თაობაზე; გ) ვალდებულების დარღვევა; დ) ვალდებულების დაფარვის მიზნით გირავნობის საგნის რეალიზაცია; ე) რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის არასაკმარისობა.

კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან, მოსარჩელეს დაგირავებული ოქროს ნივთების რეალიზაცია არ განუხორციელებია, არ არსებობს შეფასებებს შორის სხვაობის წარდგენილი მოთხოვნის სახით დაკმაყოფილების საფუძველი.⁴⁴

2.12. იპოთეკა

იპოთეკის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

- √ იპოთეკა არის აქცესორული ხასიათის სანივთო რეალიზაციის უფლება და შესაბამისად, მისი დადგენისათვის აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა, რომელიც მთავარი (ძირითადი) მოთხოვნაა და რომელთანაც განუყოფლადაა შეზრდილი იპოთეკა. უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი და იპოთეკარი (უზრუნველყოფილი კრედიტორი) იდენტური პირი უნდა იყოს. (გამონაკლისი გათვალისწინებულია სსკ-ის 297-ე მუხლის დანაწესით). იპოთეკა გადაიცემა უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის გზით (სსკ-ის 201 I, 295-ე მუხლი). უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება ხდება იპოთეკით დატვირთული საგნის რეალიზაციით (სსკ-ის 301-ე, 302-ე მუხლები) ან კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით (სსკ-ის მე-300-ე მუხლი) (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 61; გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, მუხლი 286, ველი 1-2, თბილისი, 2018). იპოთეკით შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული (კონკრე-

⁴⁴ სუსგ №ას-139-2021, 5 ოქტომბერი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-425-425-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-445-427-2016, 09.09.2016.

ტული საფუძვლისა და ოდენობის მქონე) ან განსაზღვრადი ფულადი მოთხოვნ(ებ)ის უზრუნველყოფა. გამონაკლის შემთხვევებში, იპოთეკა შესაძლებელია, რომ გამოყენებული იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნასთან დაკავშირებითაც, თუ იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შესაძლებელია ამ მოთხოვნის განსაზღვრა. (სსკ-ის 286. II მუხლი). თუ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა არ არის საკმარისად განსაზღვრული, რეგისტრაციის შემდეგ იპოთეკა მესაკუთრის იპოთეკად გარდაიქმნება (სსკ-ის 288-ე მუხლი).

2.13. სსკ-ის 286. III მუხლი

✓ სსკ-ის 286 III მუხლის თანახმად, ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. მითითებული ნორმა ამარტივებს კრედიტის უზრუნველყოფას იპოთეკის მეშვეობით, ითვალისწინებს რა უზრუნველყოფილი მოთხოვნის სხვა მოთხოვნით ჩანაცვლების შესაძლებლობას ხელშეკრულების საფუძველზე, იპოთეკის გარდაქმნისა ან შეწყვეტის გარეშე მისი თავიდან დადგენის გარეშე. მოთხოვნის ჩანაცვლება დასაშვებია როგორც იპოთეკარი კრედიტორის ცვლილებით, ისე მის გარეშე. ნორმის დანაწესი ვრცელდება ყველა ტიპის იპოთეკაზე, მათ შორის მესაკუთრის იპოთეკაზე. არაიპოთეკარი პირადი მოვალის თანხმობა აუცილებელი არ არის. მისი დაცვა უზრუნველყოფილია სსკ-ის 299 II მუხლის მიხედვით. მოთხოვნის შეცვლის მომენტისათვის თავდაპირველად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა ჯერ კიდევ სახეზე უნდა იყოს (სხვა შემთხვევაში მოქმედებს სსკ-ის 288-ე მუხლის დანაწესი), ხოლო შემცვლელი უზრუნველსაყოფი მოთხოვნა კი უნდა აკმაყოფილებდეს სსკ-ის 289 I ნინაპირობებს. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი მოთხოვნა ძველს არ აჭარბებს. სხვა შემთხვევაში ამ მოთხოვნის ქარბი წილის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მომდევნო რიგის იპოთეკით. **მოთხოვნის შეცვლა არის იპოთეკის საგნისა და იპოთეკის განკარგვა (შინაარსის ცვლილება).** შეცვლის შემდეგ იპოთეკა მხოლოდ ახალ მოთხოვნას უზრუნველყოფს, ხოლო ძველი მოთხოვნის სამართლებრივი ბედი განისაზღვრება ზოგადი წესების მიხედვით.⁴⁵

✓ იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, შესაბამისად, იპოთეკის საგნის მესაკუთრე პირისათვის, რომელიც არ არის მსესხებელი, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუ ვინ წარმოადგენს მსესხებელ მხარეს. ქონების იპოთეკით დატვირთვისას, მესაკუთრე ყოველთვის რისკის ქვეშ არის, რადგან უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ დგება მისი ქონება, რის გამოც ყოველი პირი, ასეთი ნაბიჯის გადადგმისას აფასებს, რამდენად კეთილსინდისიერია მსესხებელი და ამასთან ერთად, მისი ფინანსური მდგომარეობა იძლევა თუ არა კრედიტის დაფარვის შესაძლებლობას.

⁴⁵ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-5-2019, 15 მარტი, 2019, №ას-737-699-2015, 29 დეკემბერი, 2015.

- √ სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ იმგვარად, რომ სიტყვა „სხვა მოთხოვნა“ გულისხმობს მხოლოდ ახალი საფუძვლით თუ ახალი გარიგებით წარმოშობილ სხვა მოთხოვნას. აქ იგულისხმება ის შემთხვევაც, როდესაც იცვლება მოვალე პირი, ანუ მოთხოვნა წარდგენილია არა თავდაპირველი, არამედ ახალი მოვალის მიმართ. რადგან იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის მოვალის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამომდინარე იქიდან, რომ ურთიერთობების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მოვალის გადახდისუნარიანობაზე და ნდობაზე, რომ ის შეძლებს თავისი ვალდებულების შესრულებას. **ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ეცნობოს, რათა რეალურად შეფასდეს ახალი მოვალე პირი შეძლებს თუ არა ვალდებულების შესრულებას და მესაკუთრე ეთანხმება თუ არა უზრუნველყოს ახალი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა.**
- √ სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი, იპოთეკის საგნის მესაკუთრის დამცავი ნორმა და სავალდებულოს ხდის მის თანხმობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ ვისთან უნდა დადონ ხელშეკრულებები, ვინ იქნება მათი კონტრაქტორი მხარე და ვისთან უნდა შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში. მესაკუთრე, როდესაც ის არ არის მოვალე, სამართლებრივ ურთიერთობაში შედის როგორც კრედიტორთან, ასევე მოვალესთან. მომავალში, მას შეიძლება იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფულადი მოთხოვნები წარმოეშვას მოვალესთან და შესაბამისად, **მესაკუთრის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, თანაც ის, რომ არაფერი ჰკითხონ მოვალის ცვლილებასთან დაკავშირებით, არ გამომდინარეობს კანონიდან. ამას მოწმობს სსკ-ის 206-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ვალის გადაკისრებისას ანუ მოვალის ცვლილებისას, შეწყვეტილად ითვლება თავდებობა და გირავნობა და ამ კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელია არ იყოს გათვალისწინებული იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებები, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც უძრავი ქონების დაცვის უფრო მაღალ გარანტიებს აწესებს სახელმწიფო, თუნდაც საჯარო რეესტრის არსებობით და კეთილსინდისიერი შემძენის ცნებებით.**
- √ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესმა არ მოიცვა იპოთეკის ხელშეკრულება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იპოთეკის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ფორმა და გარიგების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საკმარისი ვერ იქნება მესაკუთრის მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი ან კონკლუდენტური ფორმის თანხმობის განცხადება (რაც თავდებობისა და გირავნობისათვის საკმარისია) და ამიტომაც, სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს, რომ ასევე, საჭიროა რეესტრში რეგისტრაციაც. საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა და მისი განკარგვის საკითხი მესაკუთრის გარდა, სხვა პირის გადასაწყვეტი ვერ იქნება.

შესაბამისად, ვინაიდან კონკრეტულ საქმეში მოხდა მოვალე პირის ცვლილება და კრედიტორს ეს ცვლილება იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან არ შეუთანხმებია და არ დაურეგისტრირებია საჯარო რეესტრში, ნიშნავს, რომ კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე, შესაბამისად იპოთეკარის მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.⁴⁶

✓ **საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რადგან არსებობს იპოთეკის უფლება (აქცესორული უფლება), არსებობს პრეზუმფციაც, რომ სახეზეა ის მთავარი უფლებაც, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული იპოთეკა.**

✓ იპოთეკის უფლების დადგენის მიზანია კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა. იპოთეკით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს როგორც სახელშეკრულებო, ასევე, კანონისმიერი მოთხოვნები. იპოთეკის უფლების საფუძველზე უზრუნველყოფილი კრედიტორი მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში მოიპოვებს უპირატესობას ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორთან შედარებით. იპოთეკარი (კრედიტორი), უზრუნველყოფილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოთხოვნას იკმაყოფილებს იპოთეკის საგნის რეალიზაციით ან მასზე საკუთრების უფლების მოპოვებით. **იპოთეკის უფლება აქცესორულ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი არ არსებობს ძირითადი (უზრუნველყოფილი) მოთხოვნის უფლების გარეშე.** სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში, მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე, ასევე, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებზე – იპოთეკის უფლებაზე. იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება, დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების საფუძველზე წარმოშობილი შესრულების მოთხოვნის უფლებაზე, რომლის დარღვევა, შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოშობს იპოთეკის უფლების განხორციელების შესაძლებლობას. იპოთეკის წარმოშობის საფუძველი ყოველთვის არის კანონიერ ძალაში არსებული ხელშეკრულება. ძირითადი (უზრუნველსაყოფი) გარიგების გაუქმება გამორიცხავს იპოთეკის უფლების დადგენის ან განხორციელების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით არააქცესორული იპოთეკა არ არსებობს.

✓ კონკრეტულ საქმეზე **საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რადგან არსებობს იპოთეკის უფლება (აქცესორული უფლება), არსებობს პრეზუმფციაც, რომ სახეზეა ის მთავარი უფლებაც, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული იპოთეკა. პრეზუმირებული (ნავარაუდები) ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, ამიტომ ის, ვინც უარყოფს ამ პრეზუმფციას, მან უნდა დაამტკიცოს საწინააღმდეგო.**⁴⁷

⁴⁶ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

⁴⁷ სუსგ გადაწყვეტილება №ას-558-2021, 26 იანვარი, 2022, ასევე სუსგ №ას-853-803-2015, 19 ნოემბერი, 2015.

2.14. 291.1.-ე მუხლი

- √ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს, თუკი იგი იმავდროულად, არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე, დატვირთული ნივთის რეალიზაციის თმენის ან იპოთეკარისათვის საკუთრების გადაცემის ვალდებულება ეკისრება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. **ამის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრეს აძლევს თავდაცვის შესაძლებლობას და მას ანიჭებს იპოთეკარის მიმართ ყველა იმ შესაგებლის გამოყენების უფლებას, რომლებიც პირად მოვალეს აქვს (სსკ-ის 291.1 მუხლი).** მესაკუთრის შესაგებლები შეიძლება მრავალი სახის იყოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, თუ რომელ სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა მესაკუთრის შესაგებელი. მართალია, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს აქვს მატერიალურსამართლებრივი შესაგებლები, თუმცა, ამისათვის საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებების არსებობაც.
- √ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია მესაკუთრის შესაგებლების გამოყენების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გასხვისება სასყიდლით (ნასყიდობა) თუ უსასყიდლოდ (ჩუქება). ინვესს თუ არა საკუთრების უფლების გადასვლა ავტომატურად შესაგებლების გადასვლას იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის შემძენზე? იპოთეკა, როგორც რეგისტრირებული სანივთო უფლება გადადის ახალ მესაკუთრეზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შესაგებლების გამოყენების უფლება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს გააჩნია, ამიტომაც, **იპოთეკის საგნის შემძენზე (ახალ მესაკუთრეზე) გადადის ის შესაგებლებიც, რომლებიც იპოთეკის საგნის წინა (ძველ) მესაკუთრეს ჰქონდა.**⁴⁸
- √ **მხოლოდ პირადი მოვალის მიერ ვალის აღიარება, მესაკუთრის ნების გარეშე, არ იწვევს იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის ხანდაზმულობის შეწყვეტას.**
- √ სსკ-ის 291.1. მუხლის დეფინიცია (თუ უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად, არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, მას მაინც შეუძლია, იპოთეკარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, მათ შორის, შესაგებლები ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო) მიზნად ისახავს დატვირთული საგნის ისეთი მესაკუთრის დაცვას, რომელიც იმავდროულად, არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე. ეს მოსაზრება იპოთეკის აქცესორული ბუნების გათვალისწინებიდან გამომდინარეობს.
- √ უზრუნველყოფილი მოთხოვნა და იპოთეკა ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ მოთხოვნის წარმოშობა და განხორციელება ადრე ვიდრე ვალდებულება დასრულდება, ასევე, იპოთეკის წარმოშობასა და განხორციელებაზეც. ამ ურთიერთგადაჯაჭვულო-

⁴⁸ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

ბაზე აპელირების უფლება აქვს ასევე, არამოვალე მესაკუთრესაც, ნორმის პირველი ნაწილი ანიჭებს მას უფლებას, პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებლის წაყენების გზით დაიცვას თავი კრედიტორის მხრიდან ნივთის რეალიზაციის მოთხოვნისგან.

ნორმა ემსახურება მესაკუთრის საკუთრების უფლების დაცვას და ანიჭებს მას უფლებას, გამოიყენოს მოვალის შესაგებელი არა უზრუნველყოფილი მოთხოვნის განხორციელების ხელშესაშლელად, არამედ უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციის წინააღმდეგ. მესაკუთრეს უფლება აქვს, გამოიყენოს როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი (იხ.: ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 291). მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრემ გამოიყენა საკანონმდებლო დანაწესით გათვალისწინებული შესაძლებლობა და მოთხოვნის შემაფერხებელ გარემოებაზე – ხანდაზმულობაზე მიუთითა.

✓ საკასაციო პალატის დასკვნით, მესაკუთრისთვის მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ შესაგებლის წარდგენის უფლების მინიჭება გამორიცხავს მისი ნების გამოვლენის გარეშე, მხოლოდ პირადი მოვალის მიერ ვალის აღიარებით, იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის ხანდაზმულობის შეწყვეტას.⁴⁹

მესაკუთრის მიერ შესაგებლების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გასხვისება სასყიდლით (ნასყიდობა) თუ უსასყიდლოდ (ჩუქება) საკასაციო სასამართლომ განმარტა:

✓ გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შესაგებლების გამოყენების უფლება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს გააჩნია, ამიტომაც იპოთეკის საგნის შემძენზე (ახალ მესაკუთრეზე) ავტომატურად გადადის ის შესაგებლებიც, რომლებიც იპოთეკის საგნის წინა (ძველ) მესაკუთრეს ჰქონდა.⁵⁰

⁴⁹ სუსგ №ას-92-2019, 27 ოქტომბერი, 2021.

⁵⁰ სუსგ №ას-504-2021, 6 ოქტომბერი, 2021.

3. ვალდებულებითი სამართალი

3.1. ზოგადი ნაწილი⁵¹

3.1.1. 316-ე მუხლი

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

- √ სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი არ შეიცავს გულისხმიერების ვალდებულებათა ჩამონათვალს და არ აზუსტებს მის შინაარსს. კანონმდებელი მხოლოდ ამ ვალდებულების აუცილებელ ნიშან თვისებებზე მითითებით შემოიფარგლება, კერძოდ: ა) გულისხმიერების ვალდებულება გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა მასზე მხარეები (*naturalia negotii*); ბ) გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია *status quo*-ს შენარჩუნებაზე (განსხვავებით, შესრულების ვალდებულებისაგან, რომელიც *status quo*-ს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად); გ) გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება ვალდებულების ორივე მხარეს.
- √ სსკ-ის 316 II-ე მუხლის დანაწესით კანონმდებელმა განმარტა, რომ ზოგ შემთხვევაში, მხარეს შესაძლოა იმაზე მეტი ვალდებულება ეკისრებოდეს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. გულისხმიერების ვალდებულება, როგორც ბუნებრივი ვალდებულება, ახასიათებს ყველა ვალდებულებით ურთიერთობას, რომელშიც ამ ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, მხარეებს ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა აქვთ. ის გარემოება, რომ კანონმდებელი არა ჩვეულებრივ, არამედ „განსაკუთრებულ“ გულისხმიერებაზე მიუთითებს, მეტყველებს იმაზე, რომ სსკ-ის 316 II-ე მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტი იმაზე მაღალია, ვიდრე სსკ-ის 992-ე მუხლის სტანდარტი. სტანდარტის სიმკაცრე, თავის მხრივ, დამოკიდებულია ვალდებულების ხასიათზე. იგი მით უფრო მაღალია, ა) რაც უფრო მაღალია ობიექტური ნდობის ხარისხი კონტრაქტთან მიმართებაში; ბ) მაღალია დაინტერესებული მხარის ეკონომიკური და სამართლებრივი რისკები. რაც შეეხება ობიექტურ ნდობას, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია საბანკო და სადაზღვევო ურთიერთობებში.⁵²

3.1.2. 360-ე მუხლი

360 I მუხლი წარმოადგენს 398 II მუხლის შესაბამისად, გარიგების საფუძვლის დარღვევის სპეციალურ შემთხვევას.

⁵¹ წინამდებარე კვლევაში მითითებულ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებთან დაკავშირებით დამატებით იხ: მ. ახალაძე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, რჩეული მუხლები, (2016-2021 წლის I ნახევარი), 2021. www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

⁵² სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

- ✓ **საკასაციო პალატამ სსკ-ის 360-ე მუხლთან დაკავშირებით განმარტა**, რომ დავა გულისხმობს მხარეთა წარმოდგენების განსხვავებულობას სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით. არ არის აუცილებელი, რომ დავა მთლიან სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდებოდეს, საკმარისია, თუ ის მის ცალკეულ ელემენტებს (მაგ. ერთ ცალკეულ მოთხოვნას ან შესაგებელს) უკავშირდება. ასევე უმნიშვნელოა არსებობს თუ არა სინამდვილეში ეს სამართლებრივი ურთიერთობა და საკმარისია, რომ ხელშეკრულების ერთი მხარე მაინც დარწმუნებული იყოს მის არსებობაში. გაურკვეველობა ეხება შემთხვევას, როდესაც არც ერთი მხარე არ არის დარწმუნებული არც თავისი და არც მეორე მხარის მოთხოვნის მართებულობაში. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დავის არსებობას უთანაბრდება მოთხოვნის განხორციელების საეჭვოობა. თუ მხარეთა შორის დავა ან გაურკვეველობა არ არის სახეზე, ან არ ხდება ორმხრივი დათმობა, მაშინ უკვე თავისთავად აღარ გვაქვს საქმე 360-ე მუხლში ნახსენებ მორიგებასთან, არამედ სხვა ტიპის დავის მოგვარებასთან, თუმცა ამ მოგვარების შემთხვევაშიც შესაძლებელია 360-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება, თუ შეთანხმებას მხარეთა შეცდომა უდევს საფუძვლად.
- ✓ **რაც შეეხება დავის აღმოფხვრას**, მორიგების ხელშეკრულების მიზანია არსებული დავის, გაურკვეველობის ან დაურწმუნებლობის აღმოფხვრა. თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ის სრულებით აღმოიფხვრას, საკმარისია მისი ნაწილობრივი, ცალკეული პუნქტების ან დროებითი მოგვარება. დავის, გაურკვეველობისა და დაურწმუნებლობის აღმოფხვრა უნდა მოხდეს ორმხრივი დათმობის გზით. ორივე მხარემ უნდა დათმოს თავისი პოზიციის ნაწილი მაინც, თუმცა თანაზომიერება გაღებულ მსხვერპლს შორის აუცილებელი არ არის. შესაძლებელია სადავო სამართლებრივი მოთხოვნის შენარჩუნების სანაცვლოდ, მოდავე მხარემ იკისროს შესრულებით ახალი ვალდებულება. თუ მხოლოდ ერთი მხარე თმობს პოზიციებს და მეორე მხარისაგან სანაცვლოდ არაფერს იღებს, მაშინ სახეზე არ გვაქვს მორიგება 360-ე მუხლის შესაბამისად და შესაძლებელია საქმე გვექონდეს ე.წ. დეკლარატორულ (კაუზალურ) ვალის აღიარებასთან, ვალის ნაწილობრივ პატიებასთან და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ მორიგება გარკვეულწილად შეიცავს ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ ვალის აღიარების ელემენტებს, განსხვავებით 341-ე მუხლში დაფიქსირებული აბსტრაქტული ვალის აღიარებისაგან, მორიგებისას მხარე აღიარებს სადავო ურთიერთობას (იხ.: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 360, თბილისი, 2001, გვ. 264).
- ✓ მორიგების ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების დადების ზოგადი წესების შესაბამისად და ექვემდებარება გარიგების ნამდვილობის ზოგად წინაპირობებს. რაც შეეხება მორიგების არანამდვილობას სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დავის გადაწყვეტისას მოგვარება ძირითადად ემყარება იმ გარემოებებს, რომლებიც მხარეთა შორის არასადავოა. სწორედ ამ გარემოებებს ხდიან მხარეები ახალი ხელშეკრულების საფუძვლად. თუ ეს საფუძველი არასწორი აღმოჩნდება და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობას სცოდნოდათ, მასზე დაფუძნებული სამართლებრივი ურთიერთობა 360 I მუხლის შესაბამისად, არანამდვილია. ამგვარ-

რად, 360 I მუხლი წარმოადგენს 398 II მუხლის შესაბამისად, გარიგების საფუძვლის დარღვევის სპეციალურ შემთხვევას. თითოეული მხარე კისრულობს იმ რისკს, რომ თავდაპირველ ურთიერთობაში გათვალისწინებული სადავო გარემოებების სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მან მორიგების ფარგლებში განსხვავებულად მოაწესრიგა, მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. **მორიგების არანამდვილობის საფუძველს წარმოადგენს არა მხარეთა ნებისმიერი საერთო შეცდომა, არამედ ხელშეკრულების არასწორ საფუძველზე დამყარება. თუ ერთ მხარეს არ ეშლება, დგება მოტყუების საკითხი** (იხ.: გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 360, <http://www.gccc.ge>).

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო შეთანხმებით არ მომხდარა ორმხრივი დათმობა. განხორციელდა ურთიერთვალდებულებების შედარება, მათი გაქვითვა და ერთი მხარის ვალდებულების ნაშთის (გაუქვითავი თანხის – ე. წ. სალდოს) კონსტატაცია და მისი გადახდის ვადის განსაზღვრა.⁵³

3.1.3. 365-ე მუხლი

√ სასამართლომ სარჩელი მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით დააკმაყოფილა. ძირითად საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, ვადამოსული იყო თუ არა ვალდებულების შესრულება, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ, ე.ი. შესრულებით მიიღწევა ის მიზანი, რასაც ვალდებულების მონაწილეები ისახავდნენ. ამის შემდეგ უკვე აღარ არსებობს ამ ურთიერთობის გაგრძელებისათვის სამართლებრივი საფუძველი. ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად, დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა. (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 285). ვალდებულების შესრულება ნიშნავს მოვალისაგან იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს.

√ საკასაციო პალატამ ასევე **განმარტა**, რომ დროის მნიშვნელობა და მისი ზემოქმედება სამართლებრივ ურთიერთობებზე ვალდებულებით სამართალშიც ვლინდება, განსაკუთრებით კი, ვალდებულების შესრულებასთან კავშირში. ვალდე-

⁵³ სუსგ №ას-1095-2019, 4 მარტი, 2021.

ბულების დროულად შესრულება ერთ ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს.

- ✓ სამოქალაქო უფლებების განხორციელება და დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის ფაქტორთან. ვადა ანესრიგებს სამოქალაქო ბრუნვას, განაპირობებს ხელშეკრულებათა ჯეროვან შესრულებას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელი დინამიკურობითა და დროის დეფიციტით, წარმოუდგენელია ვადებთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი და სწორი სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე. სამოქალაქო კანონმდებლობა დროის ფაქტორს უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, ასევე იმ მოქმედებათა შესრულებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. (იხ. დამატებით: თ. ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, თბილისი, 2005, გვ. 31).
- ✓ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შესრულების მოთხოვნის მომენტს წარმოადგენს დრო, რომლის დადგომის შემდეგაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. შესრულების მოთხოვნის მომენტი პასუხობს კითხვაზე, თუ როდის აქვს კრედიტორს მოთხოვნის უფლება. ამ მომენტის დადგომას ახლავს სამი ფაქტორი: 1) შესრულების მოთხოვნამდე – შესრულების ვალდებულება არსებობს, მაგრამ კრედიტორს, როგორც წესი, არა აქვს მისი მოთხოვნის უფლება. ამდენად, გარკვეულ მომენტამდე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იგულისხმება – იგი სავარაუდოა; 2) როგორც კი დადგება ვალდებულების შესრულების ვადა, კრედიტორს ეძლევა უფლება, შეარჩიოს ვალდებულების შესრულების მომენტი; 3) ხანდაზმულობის ფაქტორი – რადგანაც კრედიტორის მოთხოვნის უფლებაც არ არის უვადო და მასზე მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი წესები. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თვით კრედიტორის მოთხოვნა გახდეს ვადაგასული.
- ✓ ვალდებულების შესრულების პროცესში გამოიყენება აგრეთვე, ნავარაუდები (გარემოებებიდან გამომდინარე) ვადები. ნავარაუდები ვადა უმეტესწილად, ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვალდებულება შეიძლება გულისხმობდეს მის შესრულებას მოთხოვნისას. ეს ითვალისწინებს კრედიტორის მიერ მოვალისადმი მოთხოვნის წაყენების აუცილებლობას. მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც განსხვავდება მისი პროცესუალური განხორციელებისაგან. მოთხოვნა ძირითადად, მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა არის სხვა პირისაგან რაიმე ქმედების (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) განხორციელების უფლება. დისპოზიციური ნორმები უშუალოდ წარმოშობს მათში გათვალისწინებულ მოთხოვნას, თუ ამ ნორმის მიერ დადგენილი თავისუფლების ფარგლებში მხარეთა შეთანხმება არ ახდენს მის მოდიფიცირებას და არ წარმოშობს მისგან განსხვავებულ მოთხოვნას. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელება. მოთხოვნა

– უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

√ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. სწორედ ეს „სხვა გარემოებებში“ ნაგულისხმევი ვადები შეიძლება იქნეს მიჩნეული ნავარაუდევ ვადებად. (იხ. დამატებით: თ. ზარანდია, სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, თბილისი, 2005, გვ. 64). ანალოგიური შინაარსის ნორმაა დადგენილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 271-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით. (შდრ. Kruger, in MuKo. Komm, BGB Bd. 2a, §271, Rn 4; Gruneberg, in Palandt, §271, Rn 1; Bittner, in Staudinger §271, Rn 7, Jud, in Ptuting, §271, S.426-427).

ხელმეკრულებაში ნაგულისხმევი (ნავარაუდევი) ვადები დამოკიდებულია ხელმეკრულების მონაწილე მხარეთა სავარაუდო განზრახვაზე ან ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათზე. ზოგ შემთხვევაში ეს განზრახვა გამომდინარეობს თვით ხელმეკრულების ტექსტიდან ან სხვა გარემოებებიდან. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი ვადა გამომდინარეობს თავად ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან. ზოგადად, ტერმინი „ნავარაუდევი ვადა“ შეიძლება სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს და სულაც არ აღნიშნავდეს ისეთ ვადას, რომლის სათავეც მხოლოდ მხარეთა ნებაში უნდა ვეძიოთ. ფართო გაგებით, ეს არის თუნდაც კანონმდებლობიდან გამომდინარე ვადა.

√ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნის ფორმას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ზოგადად, ხელმეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს.

ფორმის კანონით დადგენა უმეტესად მაშინ ხდება, როდესაც გარიგებით გათვალისწინებული სიკეთე სოციალური ტვირთის მატარებელია და მხოლოდ ასეთი სახითაა შესაძლებელი მისი დაცვა და მონესრიგებული ურთიერთობის შენარჩუნება. გარიგებათა უმრავლესობა ზეპირად იდება. ეს ზუსტად შეესაბამება მხარეთა მოთხოვნილებას, ერთმანეთთან ურთიერთობა მოანესრიგონ ზედმეტი ფორმალობის გარეშე. მაგრამ იქ, სადაც აუცილებელია მეტი წინდახედულობა, სიფრთხილე და მხარეთა უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს. სსკ-ის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვალისაგან ვალდებულების ნებისმიერ დროს შესრულება კრედიტორმა შეიძლება მოითხოვოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. სამართლებრივი ბუნებით ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რამეთუ მიმართულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისაკენ. შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი მოხდება მიმღების ძალაუფლების სფეროში, ანუ ცალმხრივი ნების გამოვლენა ნამდვილია მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან (მხარეთა შორის შეთანხმებასა და შედარების აქტში) ვალდებულების შესრულების კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის, ამიტომ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეეძლო, მოეთხოვა მოვალისაგან ვალდებულების შესრულება. ასეთ დროს, უფლების დარღვევის შესახებ კრედიტორი შეიძლება მოხლოდ მაშინ, როცა იგი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, ხოლო მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე.⁵⁴

3.1.4. 371-ე მუხლი

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების საკითხზე საკასაციო სასამართლომ განმარტა:

✓ **სსკ-ის 371-ე მუხლი დათქმას მოვალის სავალდებულო მონაწილეობის თაობაზე არ ითვალისწინებს.**

ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ (პირადად) ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგ., დაუბრუნდეს ვალი). თუმცა, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ე.წ. პირდაპირი კავშირი (*vinculum iuris*) არ ქრება საბოლოოდ და ცხადია, რომ რაღაც დოზით მუდამ იარსებებს (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 303; Staudinger/Bittner §267, Rn 6; Palandt/Heinrichs, §267, Rn 4; Prutting/Jud, §267, S. 419-420; Munch Komm, BGB/Kruege, §267, Rn 1).

✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები ნორმატიული აქტების ძალით.

⁵⁴ სუსგ №ას-1211-2020, 3 თებერვალი, 2021, იხ. ასევე სუსგ №ას-892-2019, 16 აპრილი, 2021.

- √ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება, როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის. მოვალესა და მესამე პირს შორის შესრულების შესახებ შეთანხმების ფაქტი არ ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს, რამეთუ კრედიტორის მოთხოვნის უფლება განისაზღვრება არა ამ შეთანხმებით, არამედ მისი მოვალესთან შეთანხმებით (შდრ. Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn 9. Faust, Bürgerliches Gezezbuch Allgemeiner Teil, 3 Auflage, 2013, S. 145).
- √ სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება კრედიტორისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით. ხშირად მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (გადახდის ქვითარი, საგადასახადო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს იმის შესახებ, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. ზოგჯერ, მესამე პირი ან თვითონ მოვალე წერილობით აცხობინებს კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. დავის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში, კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითებული იქნება იმ ვალდებულების შესახებ, რომელსაც მესამე პირი ასრულებს, ასევე მესამე პირის ზუსტი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი (გარიგება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.) და სხვა. ამით შემდგომში თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაურკვეველობა (შდრ. Ermann(herausg.)/Ebert, §267, Handkommentar zum BGB, Band I, 13 Auflage, 2011, Rn 8).
- √ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნას სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტისაგან, როგორიცაა ვალის გადაკისრება (სსკ-ის 203-ე მუხლი). ვალის გადაკისრება წარმოადგენს სანივთოსამართლებრივ გარიგებას, რომელიც აბსოლუტურად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველ სუბიექტებს. გარდა ამისა, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი თანხმობას არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებისას, უზრუნველყოფის საშუალებები ძალას არ კარგავენ და ისინი წარმოადგენენ მოვალის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს (იხ. დამატებით: ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2008, გვ. 143).

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის თითოეულ მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ეკონომიკური თვალსაზრისით კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეასრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის საფასურს, ქირას,

გასამრჯელოს, ვალს და ა.შ.). კრედიტორის უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. ამიტომაც ვალდებულებითი სამართლის ნორმები ავალდებულებს კრედიტორს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს მოვალის ნაცვლად მესამე პირისგან შეთავაზებული ვალდებულების შესრულება. ამასთან, კრედიტორის ეს მოვალეობა ვალდებულებითი ურთიერთობების შეფარდებით ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს კრედიტორის ვალდებულებას მოვალის და არა მესამე პირის წინაშე. მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით (იხ. დამატებით: გ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 211).

✓ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II გ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ მოვალის მიმართ წარადგინოს მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე. ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულება არ წყდება და მესამე პირს შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა სსკ-ის 371-ე, 976-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 986-ე მუხლების საფუძველზე – პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალეებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. მითითებული ნორმის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადახდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, გვ. 305).⁵⁵

⁵⁵ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, ასევე №ას-578-2021, 5 ოქტომბერი, 2021, №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019.

3.1.5. 383-ე მუხლი

სსკ-ის 383-ე მუხლის შინაარსთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ:

- √ ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის გადახდა. ფულის ფუნქცია როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში იდენტიურია და თავის თავში მოიცავს ღირებულების/ფასეულობის შეფასების, გადაცემის, დაგროვების უნივერსალურ შესაძლებლობას, აგრეთვე წარმოადგენს ანგარიშსწორების ერთეულს. ფული სამოქალაქო ბრუნვაში გაცვლის საყოველთაო საშუალებაა. სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე თითოეულ სუბიექტს შეუძლია ფულის გადახდის სანაცვლოდ მიიღოს რამე ქონებრივი სიკეთე, რომელსაც ურთიერთობის სხვა სუბიექტი გადასცემს მას გადახდილი ფულის სანაცვლოდ. საყოველთაო გაცვლის საშუალების ფუნქცია ფულს ენიჭება მისადმი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობის გამო, რამეთუ სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილე დარწმუნებულია, რომ მოცემული ფულადი ნიშანი დაუბრკოლებლად მიიღება მეორე პირის მიერ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ, რომ ფულადი ნიშანი მას ანიჭებს მატერიალური სიკეთის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. ე. ი. ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობა დამყარებულია მისადმი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობაზე. ფულადი ნიშნის ღირებულება, ისევე როგორც საქონლის ღირებულება, განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით და არასდროს არ წარმოადგენს აბსოლუტურ სიმყარეს.
- √ სსკ-ის 383-ე მუხლის თანახმად, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხარეებს შესაძლებლობას აძლევს ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც. ასეთ შემთხვევაში ვალის ვალუტა იქნება ის ფულადი ერთეული, რომელშიც გამოიხატება (გამოითვლება) ფულადი ვალდებულების თანხა, ხოლო გადახდის ვალუტაა ის ფულადი ნიშნები, რომელიც ითვლება ფულადი ვალდებულების შესრულების საშუალებად. საქართველოში გადახდის ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 383, თბილისი, 2001, გვ. 331).
- √ ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან მისი შესრულების მომენტამდე ფულის კურსის (მსყიდველუნარიანობის) შეცვლას (გაზრდა ან შემცირება). მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ფულადი ვალდებულების შესრულების ამ პრინციპს „ნომინალიზმის“ პრინციპი ეწოდება და იგი აღიარებულია ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით.
- √ ფულადი ვალდებულება შესრულებულად ითვლება ფულადი ერთეულის ნომი-

ნაღების ოდენობის დაფარვით და არა ამ უკანასკნელთა მსყიდველუნარიანობის საფუძველზე, რაც, როგორც წესი, დროში ცვალებადი კატეგორიაა. საერთაშორისო ფულადი რეჟიმის შეუფერხებელი ფუნქციონირება ასოცირდება კურსის ცვალებადობის სტაბილურობასთან. ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას, არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, ფულის მსყიდველობითუნარიანობა ნომინალის მიხედვით განისაზღვრება. ფულის კურსზე საუბრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ეროვნული ვალუტის მიმართება უცხო ქვეყნის ვალუტასთან, არამედ კონკრეტული ფულის ერთეულის, როგორც საგადასახდლო საშუალების მსყიდველობითუნარიანობა.⁵⁶

3.1.6. 389-ე მუხლი

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ:

- ✓ სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ანესრიგებს ისეთ სამართალურ-თიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც, ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა. ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნორმის განმარტება როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი, სწორედ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის კი, დადგენილ უნდა იქნეს ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთშეუსაბამობა. „ნომინალიზმის პრინციპის“ მიხედვით, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობითუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობითუნარიანობა.
- ✓ საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. „ნომინალიზმის პრინციპიდან“ გამომდინარე 1 ლარი უდრის 1 ლარს ნებისმიერ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, ხდება ფულის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდა თუ შემცირება. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ სხვადასხვა დათქმით თავი დაიზღვიონ უარყოფითი შედეგებისაგან. თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით, სავარაუდო პირობა იქნება და, შესაბამისად, მხარეებიც თავი-

⁵⁶ სუსგ №ას-1027-2021, 17 დეკემბერი, 2021.

ანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკსაც: ვალის გადახდის მომენტში, თუკი გაზრდილია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს არავითარი უფლება არა აქვს ვალის დაბრუნებისას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს ამ გარემოებას. თუ ვალის გადახდის მომენტში შემცირებულია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად ხდება კრედიტორი და მასაც არა აქვს უფლება ეს გარემოება გამოიყენოს მოვალის სანინააღმდეგოდ. „ნომინალიზმის პრინციპის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულები პირი კრედიტორს ფულად ნიშნებს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ამ დროს ფულის მსყიდველობაუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება.

- ✓ ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება ვალუტის შეცვლა, ანუ ძველი ფულადი ერთეული იცვლება ახალი ფულადი ერთეულით (მაგალითად, კუპონი შეიცვალა ლარით). ამ შემთხვევაში ფულის ნიშნების შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.
- ✓ სსკ-ის 389-ე მუხლით გათვალისწინებული „ნომინალიზმის პრინციპი“ მნიშვნელოვანი დისკომფორტის შემქმნელია ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობაში მონაწილე მხარეებისთვის. თუმცა არსებობს ბერკეტი ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლის შედეგად წარმოქმნილი ზიანის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, თუ მხარეები სახელშეკრულებო დათქმით გაითვალისწინებენ ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, ისინი შეძლებენ თავიდან აიცილონ ამ გარემოების შედეგად წარმოშობილი უსიამოვნება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაკეთებული სხვადასხვა სახის დათქმები წარმოადგენს ერთგვარი დაზღვევის საშუალებას უარყოფითი შედეგების რისკისაგან, ხოლო ასეთი დათქმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, თავისთავად იმოქმედებს „ნომინალიზმის პრინციპი“. „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკონომიკური გაგებით ფულის გადაფასების დაუმშავებლობის წესის ნორმატიული საფუძველი. ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული რყევები არ ცვლის ფულის ფუნქციურ დანიშნულებასა და ნომინალურ ღირებულებაში დაფიქსირებული ვალდებულების მოცულობას.
- ✓ **„ნომინალიზმის პრინციპი“ მიესადაგება მხოლოდ გადახდის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლას და დაუშვებელია ამ პრინციპის გამოყენების საკითხის დასმა მაშინ, როდესაც საუბარია ეროვნული ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტის კურსთან ცვალებადობაზე.** ვალის ვალუტისა და გადახდის ვალუტის კურსებს შორის გადაანგარიშების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა.⁵⁷

⁵⁷ სუსგ №ას-1027-2021, 17 დეკემბერი, 2021, ასევე სუსგ-ები: №ას-396-2020, 31 მარტი, 2021, №ას-349-2021, 11 ივნისი, 2021, №ას-130-122-2017, 24 მარტი, 2017.

3.1.7. 398-ე მუხლი

- √ საკასაციო სასამართლომ არაერთ განჩინება/გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა. ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა (იხ.: მ. თოდუა/ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 37).
- √ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერად მიღწეული შეთანხმება მხარეებისთვის იკავებს კანონის ადგილს. ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპიდან სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა დაცვაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად „pacta sunt servanda“-ს უზენაესი წესის აღსრულება. კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება სახელშეკრულებო სამართლის ამ უზოგადეს მიზანთან წინააღმდეგობაში არ უნდა აღმოჩნდეს, რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის უფლება მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების კერძო სამართლებრივ ღირებულებას. ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ინტერესსა და კერძო სამართლის დაცვითი, სამართლებრივი წესრიგის უზრუნველმყოფ ფუნქციას შორის დილემის, წინააღმდეგობის არსებობისას, სასამართლო აღიჭურვება სახელშეკრულებო ურთიერთობაში ლეგიტიმური ჩარევის ძალმოსილებით.
- √ იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ შეცვლილი გარემოებები ფორსმაჟორისა (რომანულ სამართალში – vis major) და შესრულების გართულების (Hardship) ორ ფუნდამენტურ, საბაზისო კონცეფციას აფუძნებს თანამდევს სამართლებრივი შედეგებით, კერძოდ, შესრულების გართულება გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, რომელიც ობიექტურად არ გამოორიცხავს შესრულების შესაძლებლობას და რომლის პირობებშიც უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა. ფორსმაჟორი კი, განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობებით ფუნდდება, რომელიც თანამდევ შედეგად შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას მოიაზრებს. **ნებისმიერ შემთხვევაში, ადაპტაციის შეუძლებლობისას, დაზარალებული მხარისათვის უცვლელად ხელმისაწვდომი რჩება ხელშეკრულებიდან გასვლის/შენწყვეტის (გრძელვადიან ურთიერთობაში) მოთხოვნები. კრედიტორის სურვილი, გადახედოს ხელშეკრულების პირობებს, გასათვალისწინებელია, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა (ex nunc შედარებით) /გასვლა (ex ante მნიშ-**

ვენლობით) რჩება დაზარალებული მხარის დაცვის შეუცვლელ მექანიზმად.

- √ საკასაციო სასამართლოს განმარტებით ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა სიმპტომატურად ხუთი ელემენტისაგან შედგება: 1) ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვალა გარკვეული გარემოებები (ობიექტური საფუძველი – სსკ-ის 398-ე მუხლის I ნაწილი) ან ერთობლივი წარმოდგენები არასწორი აღმოჩნდა (სუბიექტური საფუძველი – სსკ-ის 398 მუხლის II ნაწილი); 2) ეს გარემოებები ან წარმოდგენები იქცა ხელშეკრულების საფუძვლად; 3) გარემოებათა ცვლილება იყო მოულოდნელი; 4) ცვლილებათა გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა შინაარსით (ეს საკვანძო ელემენტი მომდინარეობს ვინდშიაიდის „პირობის თეორიიდან“, რომლის თანახმადაც: განმსაზღვრელია პირობა, რომლის არსებობის გარეშეც ხელშეკრულება არ დაიდებოდა და არა პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ხელშეკრულება დაიდებოდა); 5) ცვლილება იმდენად არსებითია, რომ ერთ-ერთ მხარეს არ შეიძლება ვალდებულების უცვლელად შესრულება ან ხელშეკრულებაში დარჩენა მოეთხოვოს (იხ. დამატებით: გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, გვ. 213).
- √ სსკ-ის 398-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. „ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე, გარდა სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“⁵⁸

კონკრეტულ საქმეში მოსარჩელემ თანხის დაბრუნების მოთხოვნა იმ გარემოებაზე დაამყარა, რომ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ის გათავისუფლებული იყო დღგ-ს გადახდისაგან. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ცვლილების შემდეგ უსაფუძვლოდაა სადავო თანხა გადახდილი. საკასაციო სასამართლომ მართებულად შეაფასა სარჩელის უარყოფა შემდეგი მოტივაციით:

- √ **სასამართლოს განმარტებით** საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილება წარმოადგენდა, არა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გაბათილების ან შეწყვეტის საფუძველს, არამედ ეს საკანონმდებლო ცვლილება საფუძველს წარმოუშობდა მოსარჩელეს **სსკ-ის 398-ე მუხლზე დაყრდნობით ესარგებლა შეცვლილი გარემოებისადმი ხელშეკრულების პირობათა მისადაგების უფლებით**. საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად შეიცვალა მყიდველის მიერ შესასრულებელი ვალდებულების მიმართ არსებული გარემოება, რაც სწორედ მოსარჩელეს (მყიდველს) წარმოუშობდა ხელშეკრულების პირობების ცვლილების, შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების მოთხოვნის უფლებას.

⁵⁸ სუსგ №ას-631-2021, 28 დეკემბერი, 2021, ასევე სუსგ-ები: №ას-1056-2021, 17.12.2021, სუსგ №ას-1056-2021, 17.12.2021, №ას-309-295-2012, 26.03.2012.

- ✓ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესაძლებელია, განხილულ იქნეს როგორც დამატებითი შესრულების ნაირსახეობა, რომლითაც აღსრულება მხარეთა სახელშეკრულებო ნება. ხელშეკრულება არ შეიძლება განხილულ იქნეს გარემომცველი გარემოებების მხედველობაში მიუღებლად. ხელშეკრულების მისადაგება მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებისადმი არ ცვლის მხარეთა ნებას, არამედ შეცვლილი გარემოებების პირობებში მხარეთა თავდაპირველი განზრახვის, ნამდვილი ნების დადგენის საშუალება ხდება. მხარეთა ნება ხელშეკრულების დადების ეტაპზე მისი აღსრულებაა და შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებაც ხელშეკრულების აღსრულების და შესაბამისად, მხარეთა ნების განხორციელების წინაპირობაა.
- ✓ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში, როდესაც არსებობს შეუსაბამობა, დარღვეული წონასწორობა მხარეთა ურთიერთსა-ნაცვლო შესრულებას შორის, **შესაძლებელია, განხორციელდეს სახელშეკრულებო ფასის მოდიფიცირება პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივ რეჟიმში**, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება განახლებული პირობებით და ხელშეკრულების თანხის შემცირების საფუძველზე მხარეთა არაეკვივალენტურ შესრულებათა დაბალანსება.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სსკ-ის 398-ე მუხლით დადგენილი უფლებით არ უსარგებლია და მხარეთა შორის შეთანხმებული წერილობითი ფორმით არ მოუთხოვია ხელშეკრულების პირობათა მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება უცვლელი დარჩა. ამასთან, მოსარჩელე წარმოადგენს საკმაოდ მსხვილ კომპანიას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის სახელმწიფო, რაც კიდევ უფრო ამყარებს იმ პრეზუმფციას, რომ ხელშეკრულებითი მხარეებისთვის, მით უფრო, მოსარჩელისთვის, ცნობილი იყო საკანონმდებლო ცვლილების შესახებ და მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება განხორციელდა პირობათა შეუცვლელად.⁵⁹

კონკრეტულ დავაში, რომელშიც მოსარჩელემ მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაცვლად სხვა საგნის მიკუთვნებას 398-ე მუხლზე მითითებით, საკასაციო პალატამ 398-ე მუხლის დანაწესი შემდეგნაირად განმარტა:

- ✓ თავად ვალდებულების შეუსრულებლობა „შეცვლილ გარემოებად“ ვერ მიიჩნევა. ნორმა განამტკიცებს შემთხვევას, როდესაც მხარეს ხელშეკრულების უცვლელი პირობებით დაცვა არ შეიძლება მოეთხოვოს, რადგან გარემოებები, რომელიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, შეიცვალა ან მხარეებმა ხელშეკრულება დაუკავშირეს წარმოდგენას, რომელიც შემდგომში არასწორი აღმოჩნდა. ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, „გარიგების საფუძვლის დარღვევის“ წინაპირობები შესრულებულად რომ ჩაითვალოს, საჭიროა შემდეგი გარემოებების არსებობა: ხელშეკრულების დადების შემდგომ გარემოებები უნდა შეიცვალოს

⁵⁹ სუსგ №ას-251-2021, 11 ივნისი, 2021.

არსებითად; ეს გარემოებები უნდა იყოს ხელშეკრულების დადების საფუძველი; თუ ხელშეკრულების მხარეები ამ ცვლილებას გაითვალისწინებდნენ, არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით; ხელშეკრულების შეუცვლელად ძალაში დატოვება მიუღებელი უნდა იყოს ხელშეკრულების ერთი მხარისათვის ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებით (მდრ. იხ: იან კროპჰოლერი, გსკ-ის კომენტარი, თბ., 2014, გვ. 217).

- ✓ სსკ-ის 398.1 მუხლის შინაარსის მიხედვით, გამოვლენილი უნდა იყოს ისეთი ობიექტური საფუძვლის მოშლა, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ნება ეფუძნება ერთი მხარის წარმოდგენებს, რომლებიც ცნობილი იყო მეორე მხარისათვის და გაპროტესტების გარეშე იქნა მიღებული ან მხარეთა ნება ემყარება ორივე მხარის ერთობლივ წარმოდგენებს გარკვეული გარემოებების არსებობის ან მომავალში წარმოშობის შესახებ. ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი შესაძლოა, გახდეს მხოლოდ ის მცდარი წარმოდგენები, რომლებიც საერთო რისკის სფეროს მიეკუთვნება. შესაბამისად, გასათვალისწინებელია, რომ ცვლილების გამომწვევი ფაქტორები ან თავად ცვლილება მოვალის რისკის სფეროს არ უნდა მიეკუთვნებოდეს (იხ.: გ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 398). ამდენად, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ხდება, როდესაც მისი შესრულება გართულდა ანდა შეუძლებელი გახდა რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, რომელზედაც არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გულისხმობს ნამდვილ (ობიექტურ და სუბიექტურ) და არა ფაქტობრივ შეუძლებლობას. ფინანსური სახსრების უქონლობა არ იწვევს ვალდებულებისაგან გათავისუფლებას შესრულების შეუძლებლობის საფუძველით („Geld muss man haben“). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის წინაპირობების არარსებობის გამო, სასამართლომ ამხანაგობას დააკისრა მოსარჩელის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება.⁶⁰

3.1.8. 403-ე მუხლი

- ✓ სარგებლის ასანაზღაურებელ პერიოდთან დაკავშირებით, **სასამართლომ განმარტა**, რომ სსკ-ის 625-ე მუხლიდან გამომდინარე სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს **მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში**. 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო.

⁶⁰ სუსგ №ას-964-2020, 26 იანვარი, 2022, ასევე სუსგ-ები: №ას-54-2021, 30 ნოემბერი, 2021, №ას-1076-996-2017, 19 აპრილი, 2019.

- √ 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე. ვინაიდან სადავო შემთხვევაში არ მომხდარა სარგებლის გათვალისწინება ვადის გადაცილებისთვის, სარგებლის მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდზე დარიცხვა მართებულია.⁶¹

3.1.9. 405-ე, 352-ე მუხლები

კონკრეტული დავის ფაბულის მიხედვით, სისხლის სამართალწარმოებაში სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დაეკისრა ნივთის ღირებულების ანაზღაურება. **სასამართლომ სარჩელი ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ნივთის დაბრუნების მოთხოვნით უარყო.**

- √ სასამართლომ განმარტა, რომ რადგან მოსარჩელემ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის რეალიზაციის მიზნით, არ მიმართა არავითარ ზომებს, მათ შორის გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შესაძლებლობას, რითაც რეალურად უარი თქვა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებით სარგებლობაზე, მას არ წარმოეშობა მოპასუხის მიერ ნივთის ღირებულების გადაუხდელობის გამო, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რაც გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით – ვალდებულები პირის გადახდისუუნარობით, იქნებოდა მოსარჩელე უფლებამოსილი, წაეყენებინა სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, მეორადი მოთხოვნები მოპასუხისათვის.
- √ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარეგნობის ნამდვილობის ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი; გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომე-

⁶¹ სუსგ №ას-889-2021, 3 ნოემბერი, 2021, ასევე სუსგ-ები: №ას-1701-1685-2011, 22 ოქტომბერი, 2012, №ას-408-381-2017, 30 ივნისი, 2017.

ლიც უკვე წარმოდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება.⁶²

√ **საკანსაციო პალატამ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით**, სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების გაანალიზების საფუძველზე **ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება** კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება იმაშია, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლები).^{63/64}

3.1.10. 408-ე, 411-ე მუხლები

- √ სსკ-ის 411-ე მუხლი ნორმა არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს. ეს მუხლი აკონკრეტებს სსკ-ის 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის ანაზღაურების პრინციპს იმის შესახებ, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად. თავის მხრივ, სსკ-ის 408-ე მუხლის გამოყენება უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას. სწორედ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა ანიჭებს უფლებას კრედიტორს, მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 394.1 მუხლის საფუძველზე.⁶⁵
- √ ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს და მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნის შესრულებისას ჩნდება

⁶² სუსგ №ას-742-2021, 02 დეკემბერი, 2021, იხ. დამატებით: მ. თოდუა/ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 56; ჰ. ბიოლინგი/ჰ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 39; ასევე, სუსგ №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017.

⁶³ სუსგ №ას-1361-2020, 11 მარტი, 2021, იხ. ასევე, ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი 3, მუხლი 352-ე, თბილისი, 2001 წელი, გვ. 233; მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006 წელი, გვ. 41; სუსგ-ები: №ას-1565-2018, 30 აპრილი, 2020; №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018; №ას-1189-1119-2015, 23 მარტი, 2016.

⁶⁴ შენიშვნა: ხელშეკრულებიდან გასვლის ხანდაზმულობაზე დამატებით იხ. ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლისას გვ.24

⁶⁵ სუსგ №ას-1224-2019, 16 იანვარი, 2020, ასევე №ას-678-649-2016, 16 დეკემბერი, 2016.

ბა პრობლემა. პრობლემა შეიძლება მდგომარეობდეს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვან შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში. ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას.⁶⁶

- ✓ სსკ-ის 394.1., 408.1., 411., 412 ნორმების ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (lucrum cessans). მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss). იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ზმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.
- ✓ ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაში, იმ ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Total reparation-ის პრინციპი). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა, ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.⁶⁷
- ✓ სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის და მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი შედეგი.
- ✓ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი გან-

⁶⁶ სუსგ №ას-556-2021, 29 სექტემბერი, 2021.

⁶⁷ სუსგ №ას-154-2021, 01.04.2022, ასევე №ას-754-2021, 02.12.2021.

მტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში.⁶⁸

√ სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემული ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. იმავე კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.⁶⁹

3.1.10.1. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების არამართლზომიერი შეწყვეტისას

√ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ვალდებულების დარღვევა ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ორმხრივი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო.

⁶⁸ სუსგ №ას-32-2021, 2021 წლის 23 აპრილი, ასევე სუსგ-ები: №ას-1843-2018, 2019 წლის 5 მარტი, №ას-167-163-2016, 2016 წლის 1 ივლისი.

⁶⁹ №ას-344-2019, 12 თებერვალი, 2021, №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015, №ას-630-593-2012, 11 ივნისი, 2012.

საკასაციო პალატამ მოპასუხის მიერ ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის გათვალისწინებით, ყურადღება გაამახვილა იმ ინტერესზე, რომელიც მოსარჩელეს ჰქონდა ვალდებულების შესრულების მიმართ და მიუთითა, რომ მხარეთა შორის, ხელშეკრულების საგანს გარკვეული პროდუქციის მოპასუხისათვის მიყიდვა წარმოადგენდა და სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა ინტერესი სწორედ მოგების მიღება იყო, რაც ქმნის ობიექტურ სურათს იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხისათვის ცნობილი და სავარაუდო იყო მოსარჩელის მოლოდინი, რომ იგი პროდუქციის გაყიდვით შემოსავალს მიიღებდა და ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მისი ანაზღაურების ვალდებულებას წარმოუშობდა მოპასუხეს.

მოპასუხეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრა, რაც **მოპასუხის მიერ ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის არარსებობის პირობებში მისაღები შემოსავალია, ანუ სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების პირობებში მოსარჩელის მიერ მისაღები სავარაუდო შემოსავალი.**⁷⁰

კონკრეტულ საქმეში, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ხელშეკრული მხარეები ენევიან სამენარმეო საქმიანობას. შესაბამისად, მოპასუხისათვის, როგორც მენარმე სუბიექტისათვის, ცნობილია ის რისკები, რის წინაშეც შეიძლება დადგეს კომპანია თუ ხელშეკრულების მხარეები გამოიჩინენ გულგრილობას და დროულად არ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნული ზიანი უფრო თვალსაჩინოა, როდესაც საქმე ეხება ფულადი ანაზღაურების მიღებას, ვინაიდან თავისუფლად აკუმულირებული თანხა საუკეთესო საშუალებაა ნებისმიერი მენარმე სუბიექტისათვის, რომ მოახდინოს მისი ბრუნვა, შეიძინოს სასურველი ქონება და მიიღოს ეკონომიკური ბრუნვის შედეგად მოგება, რაც მენარმე სუბიექტის საქმიანობის მთავარი არსია.⁷¹

✓ სსკ 411-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, მოსარჩელე ამ ფართს გააქირავებდა, რადგან უძრავი ქონების გაქირავება წარმოადგენს ამ ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას.⁷²

✓ ერთ საქმეში, სასამართლომ უარყო რა, შემკვეთის მოთხოვნა უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში მისი გასხვისებით, საბაზრო ღირებულების ოდენობით, მიღებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე, განმარტა, რომ ქონების გაქირავებასა და გასხვისებას შორის მკაფიო განსხვავებაა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მოვალისათვის არა მხოლოდ წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. განსახილველ შემთხვევაში ქონების გაქირავების შეუძლებლობით მიყენებული

⁷⁰ სუსგ №ას-888-2021, 26 იანვარი, 2022, ასევე სუსგ-ები: №ას-948-2019, 2021 წლის 27 მაისი, №ას-587-2021, 2021 წლის 19 ნოემბერი.

⁷¹ სუსგ №ას-1172-2021, 10 ივნისი, 2022, ასევე სუსგ №ას-556-2021, 29.09.2021.

⁷² სუსგ №ას-948-2019 27 მაისი, 2021, ასევე №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016.

ზიანის სავარაუდოობა უფრო დამაჯერებელია და რეალური, ვიდრე ის გარემოება, რომ მოსარჩელე კუთვნილი უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში აუცილებლად გაასხვისებდა ქონებას (ან მის ნაწილს).⁷³

- ✓ ზიანის ანაზღაურების თუ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნით აღძრულ დავებში, მტკიცების ტვირთის ობიექტურად განაწილების პირობებში, მოსარჩელეს ეკისრება განცდილი ფინანსური დანაკლისის ოდენობის დამტკიცების ტვირთი.⁷⁴
- ✓ ზიანის ოდენობის ზუსტ განსაზღვრას დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადეკვატურობა.“⁷⁵

3.1.10.2. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი

ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

- ✓ თუკი მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორი) მხარეზეა, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებში განსხვავებული მიდგომაა.⁷⁶
- ✓ იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გვაროვნული ნივთი – ფული, ხოლო კრედიტორის სამეწარმეო საქმიანობა სასყიდლიანი კრედიტის გაცემაა, სსკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია მესაკუთრეს შესძინოს

⁷³ სუსგ №ას-154-2021, 1 აპრილი, 2022.

⁷⁴ სუსგ №ას-430-2021, 25 ნოემბერი, 2021, ასევე სუსგ-ები: 2021 წლის 8 ოქტომბრის №ას-1365-2019, 2015 წლის 17 აპრილის №ას-406-383-2014.

⁷⁵ სუსგ №ას-430-2021, 25 ნოემბერი, 2021, ასევე სუსგ 2019 წლის 13 დეკემბრის №ას-1376-2019.

⁷⁶ სუსგ №ას-115-2020, 11 თებერვალი, 2021.

არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას.⁷⁷

✓ უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლების საფუძველზე ფულადი ვალდებულების შესრულების კონტექსტში ზიანის მიყენების ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასების თავისებურების თაობაზე განმარტა, რომ ფულის, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტისგან სარგებლის მიღების რეალური შესაძლებლობა თავისთავად არსებობს. თუმცა, აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს **მოსარჩელის მტკიცების ტვირთის არაგონივრულ შემცირებას, არამედ იგი პირდაპირპროპორციულად მნიშვნელოვანია მოსამართლის როლისა, მიუღებელი შემოსავლის განმარტების, არსებობის დასაბუთებისა და ოდენობის განსაზღვრის პროცესში**. მხოლოდ მოსამართლის როლისა და მხარეთა მტკიცების ტვირთის ზრდის პირობებში გახდება შესაძლებელი, რომ მიუღებელი შემოსავალი არარეალურ და აბსტრაქტული შინაარსის მოთხოვნად არ იქცეს და მოხდეს მტკიცებულებებისა და გარემოებების კომპლექსურად შეფასება (მდრ. ნათია ჩიტაშვილი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თსუ, 2016, გვ. 154).⁷⁸

3.1.10.3. მორალური ზიანის ანაზღაურება⁷⁹

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ:

✓ კანონმდებელი არ ადგენს ცალკეულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

⁷⁷ სუსგ №ას-1237-2019, 30 ივლისი, 2021, ასევე სუსგ-ები: №ას-115-2020, 11 თებერვალი, 2021, №ას-107-2019, 13.03.2020, №ას-962-2020, 23.12.2020, №ას-566-2020, 29.09.2020, №ას-1843-2018, 5.04.2019, №ას-929-869-2017, 27 დეკემბერი, 2017, №ას-254-241-2015, 06 მაისი, 2015, №ას-992-950-2013, 04 მარტი, 2014.

⁷⁸ სუსგ №ას-754-2021, 02 დეკემბერი, 2021, ასევე №ას-254-241-2015, 06 მაისი, 2015.

⁷⁹ მორალურ ზიანთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის თაობაზე დამატებით იხილეთ: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ. 50, www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები, ასევე მ. ახალაძე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, რჩეული მუხლები, (2016-2021 წლის I ნახევარი), 2021, გვ. 131 www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

√ არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის დროს, ეროვნული სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზე დამოკიდებულია.“

სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

კონკრეტულ დავაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ (5 000 ლარი) მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარისი ოდენობაა, ვინაიდან დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს, რომ დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა, ტკივილები და დისკომფორტი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.^{80/81}

3.1.11. პირგასამტეხლო

√ არაერთ სამოქალაქო დავაზე საკასაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების საკითხზე განმარტა: „მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლება-

⁸⁰ სუსგ №ას-1626-2018, 12 თებერვალი, 2021, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019, №ას-866-816-2015, 12.02.2016, №ას-95-90-2013, 14 ივნისი, 2013, №ას-594-562-2015, 6 ნოემბერი, 2015, №ას-797-940-2015, 10 სექტემბერი, 2015.

⁸¹ შენიშვნა: მორალური ზიანის შესახებ დამატებით იხილე ქვემოთ, სამედიცინო დელიქტები გვ. ????

მოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც მთავარია, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ.

✓ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. პირგასამტეხლოს ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა ნონასწორობის აღდგენაზე. საჯარო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება.

✓ სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება.

კანონის მითითებული დანაწესი განპირობებულია იმითაც, რომ ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია, უფრო ძლიერმა ხელშემკვრელმა მხარემ ისარგებლოს მეორე მხარის სურვილით, გააფორმოს ხელშეკრულება და უკარნახოს შეთანხმების არახელსაყრელი პირობები, განსაზღვროს გონივრულზე უფრო მაღალი პირგასამტეხლო. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა დაანესა დაცვის მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე.

✓ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირნონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრე-

ტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს, სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვება.

იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმოშობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულება უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარმოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია (შდრ. Friesecke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn. 5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

- ✓ სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს **უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამორიცხულია.** აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნა ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია.
- ✓ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულია, შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ იგი. სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მონესრიგება არ გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით.
- ✓ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მითითებული იქნეს, როგორც შესაგებელში, ასევე პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დამთავრებამდე მოპასუხის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი, მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს).⁸²

⁸² სუსგ №ას-91-2021, 22 აპრილი, 2021, მრავალთავან ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-448-2020, 20 ივლისი, 2022, №ას-641-2021, 8 ივნისი, 2022, №ას-1160-2021, 9 თებერვალი, 2022, №ას-1288-2019, 4 მარტი, 2021, №ას-575-2019, 12 მარტი, 2021, №ას-354-2021, 25 ივნისი, 2021, №ას-1195-2020, 10 ივნისი, 2021, №ას-736-2021, 10 დეკემბერი, 2021, №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020, №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019, №ას-435-2019, 31 მაისი, 2019.

პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში, ასევე განმარტა, რომ:

- ✓ „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება.“
- ✓ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან.
- ✓ პირგასამტეხლო მხარეს იმ დროიდან ეკისრება, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.
- ✓ პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.
- ✓ ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვე-

ვაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად. **აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა.**

✓ ვალდებულების ნაწილის შესრულების ვადის გადაცილებისთვის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დაანგარიშება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან პირგასამტეხლოს ასეთი ოდენობით დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.⁸³

3.1.12. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით, ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმებას პროდუქციის მიწოდების ვადებზე. ვალდებულების შესასრულებლად საჭირო იყო კრედიტორის (მყიდველის) მოქმედება და ნაყიდი ქონების მისაღებად სწორედ მას უნდა მიემართა გამყიდველისათვის და მიეთითებინა, რა რაოდენობის საქონლის მიწოდება განეხორციელებინა. **სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ კრედიტორს/მყიდველს დადგენილ ვადაში გამყიდველისთვის ნასყიდობის საგნის გადაცემის მოთხოვნით არ მიუმართავს, რომლის ვალდებულებაც მას დაკისრებული ჰქონდა ხელშეკრულებით.**

საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ ვინაიდან კრედიტორმა არ განახორციელა მასზე დაკისრებული მოქმედება, მან გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას. კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილება ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავს. ორმხრივ ხელშეკრულებაში (ნასყიდობა) ერთი და იგივე პირი მოვალეცაა და კრედიტორიც. თუ ეს პირი დროულად არ ასრულებს ვალდებულებას, იგი არის მოვალე, ხოლო თუ იგი დროულად არ იღებს შესრულებას – მაშინ კრედიტორი, რომელიც შესრულების მიღების ვადას აცილებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ორივე შემთხვევას უწოდებს ვადის გადაცილებას, აუცილებელია მათი დიფერენცირება. სს-ის 390-ე, 392-393-ე მუხლები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუკი შესრულების მიღება უფლებაა, ამ უფლებით არსარგებლობა კი შესრულების მიღების დაყოვნებაა. ხოლო თუ შესრულების მიღება ვალდებულებაა, შესრულების დროულად მიუღებლობა ვადის გადაცილებას წარმოადგენს და მასზე სსკ-ის 391-ე და სხვა ზოგადი მოთხოვნის სა-

⁸³ სუსგ №ას-576-2022, 7 ივლისი, 2022, მრავალთავან იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-83-2022, 20 მაისი, 2022, №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020, №ას-971-2019, 28.10.2019, №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019, №ას-164-160-2016, 28.07.2016.

ფუძვლები ვრცელდება (სკ-ის 394-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში კრედიტორი მოვალის პოზიციაზე ინაცვლებს. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მიმართ გამოიყენება არა სკ-ის 404-ე, არამედ 391-ე მუხლი.

√ საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ სსკ-ის 390-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ მიიღებს მისთვის შეთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. **თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების გამო, მოვალე არ იძენს ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულების შეწყვეტა გამოიწვევდა მოვალისათვის იმ ქონების დატოვებას, რაც მას კრედიტორისათვის უნდა გადაეცა. სანამ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების გამო, არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მოვალემ ვადა გადააცილა. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, სსკ-ის 392-ე მუხლის მიხედვით (მდრ: ლ. ჭანტურია, ჭანტურია /ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2001, გვ. 357).

კრედიტორმა (მყიდველი) ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ განახორციელა ისეთი ქმედება, რაც ვალდებულების შესასრულებლად იყო საჭირო, კერძოდ, ნაყიდი ქონების მისაღებად არ მიმართა გამყიდველს. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამყიდველს ბრალად არ შეეარა ცხება იმ ზიანზე პასუხისმგებლობა, რომელიც ზიანიც მოსარჩელის მოსაზრებით, წარმოშობილია ფასთა შორის სხვაობით, კერძოდ, მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან მოპასუხემ არ მიანოდა საქონელი, მოსარჩელე იძულებული შეიქნა მესამე პირთან დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება და გაცილებით მაღალ ფასში ეყიდა ხელშეკრულების საგანი.⁸⁴

ერთ საქმეში, მსესხებელი უშედეგოდ ცდილობდა სასესხო ვალდებულების სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით შესრულებას და დაგირავებული ძვირფასეულობის დაბრუნებას, რაზეც გამსესხებელი არ იყო თანახმა და მსესხებელმა თანხა საბოლოოდ განათავსა ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე. ამდენად, დადგენილია ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება გამსესხებლის და არა მსესხებლის ბრალეულობით, რის გამოც არ არსებობს მსესხებლისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

√ დეპონირების საფუძველია: ა) შესრულების მიღების დაყოვნება ან ბ) კრედიტორის ადგილსამყოფელის არცოდნა. დეპონირებისათვის შესრულების მიღების დაყოვნება უნდა იყოს რეალური (იხ.: ლადო ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 434, გვ. 533). ასეთ შემთხვევებზე უნდა გავრცელდეს სსკ-ის 390-ე

⁸⁴ სუსგ №ას-464-2021, 14 ივლისი, 2021.

393-ე მუხლების დანაწესები. რეალურია შესრულების მიღების დაყოვნება, თუ კრედიტორის მიერ შესრულების მიღება თავად კრედიტორის მხრიდან ბრალეული გაჭიანურებით ფერხდება (იხ.: გიორგი სვანაძე, სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2019 მუხ.434, ველი 8). კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების პერიოდში მოვალე არ არის ვალდებული, გადაიხადოს რაიმე სახის პროცენტი ფულადი ვალდებულებიდან, ანუ იმ თანხას, რომელიც მას უნდა გადაეხადა კრედიტორისათვის, თუმცა კრედიტორის მიზეზით ვერ გადაიხადა, აღარ ერიცხება სარგებელი, იქნება ეს კანონისმიერი თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი (იხ.: გიორგი ვაშაკიძე, სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2019 მუხ.393, ველი 7). იმ შემთხვევაში კი, თუ კრედიტორი ითხოვს მოვალისაგან იმ სარგებელს, რომელიც ამ უკანასკნელმა ვადის გადაცილების პერიოდში ფულადი თანხის გამოყენებით მიიღო (სსკ-ის 393 ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს ამ სარგებლის არსებობა (იხ.: გიორგი ვაშაკიძე, სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2019 მუხ.393, ველი 11).⁸⁵

3.1.13. 429-ე მუხლი

- √ საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 429-ე მუხლის შინაარსზე მსჯელობისას, ფულადი ვალდებულების შესრულების მიღების წესთან დაკავშირებით, **განმარტა**, რომ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნა, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, ეკისრება ამგვარი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება. ამ შემთხვევაში, კანონმდებლის პრინციპული დამოკიდებულება იმითაა განპირობებული, რომ მაქსიმალურად აღმოიფხვრას ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა არაკეთილსინდისიერება. თუმცა, კანონი ასეთივე მომთხოვნა არ არის მოვალის მიმართ, კერძოდ, რაიმე ვალდებულება მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით მოვალეს ამგვარი საბუთის გამოთხოვაზე არ ეკისრება. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება კი, განპირობებულია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება. შესაბამისად, სადავობის შემთხვევაში, მოვალემ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე, რომელსაც არანაირი საჭიროება არ აქვს ფლობდეს ამ დოკუმენტს, არც პროცესუალური და არც მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით.

სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით, მოვალე აღჭურვილია მთელი რიგი უფლებე-

⁸⁵ სუსგ №ას-567-2019, 13 აპრილი, 2021

ბით, რომ შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შესაძლოა აისახოს ზემოთ მითითებული გარემოების დაუდასტურებლობაში.

✓ ვალდებულების შესრულების სადავოობის პირობებში, კანონით უზრუნველყოფილია მოვალის შესაძლებლობა, ამტკიცოს ვალდებულების შესრულება. ამავდროულად, აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთის მატარებელი მხოლოდ მოვალე შეიძლება იყოს. **ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტში ყოველთვის იგულისხმება წერილობითი საბუთი, შესაბამისად, მარტოოდენ მონმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით თანხის გადახდის ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება შეუძლებელია.**⁸⁶

3.1.14. 442-ე მუხლი

✓ სსკ-ის 442-ე მუხლის დანაწესის შესახებ საკასაციო სასამართლომ **განმარტა**, რომ საქართველოს კანონმდებლობა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს ანიჭებს უფლებას, ერთმანეთის მიმართ არსებული მოთხოვნები გაქვითონ და ვალდებულება ისე შეწყვიტონ, კერძოდ, სსკ-ის 442.1-ე მუხლის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, გაქვითვა მიმართულია მსგავსი მოთხოვნების გამარტივებულ შესრულებაზე. გაქვითვა ითვალისწინებს დამოუკიდებელი მოთხოვნების არსებობას. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის აუცილებელია განსაზღვრული წინაპირობების არსებობა: 1) საპასუხო მოთხოვნების არსებობა; გაქვითვის პირველი სავალდებულო წინაპირობაა, რომ ორ პირს ერთმანეთის მიმართ ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება, ე.ი. თითოეული მათგანი ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც. მოთხოვნის მოვალე უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის კრედიტორი, ხოლო მოთხოვნის კრედიტორი კი უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის მოვალე. ამგვარად, უნდა არსებობდეს საპასუხო მოთხოვნები (ურთიერთმოთხოვნები). ასევე აუცილებელია, რომ ორივე ეს მოთხოვნა არსებობდეს გაქვითვის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტში. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის დამდგარი უნდა იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა, თუმცა სსკ-ის 442.2-ე მუხლი გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ვალდებულებათა გაქვითვას იმ შემთხვევაშიც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა არ დამდგარა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მოთხოვნის მქონე მხარს უჭერს გაქვითვას; 2) ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ვალდებულების შეწყვეტის აუცილებელი წინაპირობაა მსგავსი საპასუხო მოთხოვნების არსებობა; 3) იმისათვის, რომ მოხდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს ნამდვილობის პირობებს, კერძოდ:

⁸⁶ სუსგ №ას-543 -2021, 7 ოქტომბერი, 2021.

ა) საპასუხო მოთხოვნა რეალურად უნდა არსებობდეს; ბ) ეს მოთხოვნა უნდა იყოს უდავო; გ) როგორც წესი, დამდგარი უნდა იყოს საპასუხო მოთხოვნის შესრულების ვადა.

კონკრეტულ დავაში, სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის მითითებაზე, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე, იმ საფუძველით, რომ ამ უკანასკნელს შეეგებებოდა სარჩელი არ აღუძრავს.⁸⁷

3.1.15. სსკ-ის 454-ე მუხლი

კომპანიის რეგისტრაციის გაუქმების მიუხედავად, ძალაში რჩება მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული პიროვნული და სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები.

იპოთეკითა და თავდებობით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონკრეტულ დავაში სასამართლომ იმსჯელა და **განმარტა** საკითხი იმის თაობაზე, რეგისტრაციის გაუქმებამ გამოწვევა თუ არა კომპანიის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული პირადი (თავდებობა) და სანივთო (იპოთეკა) უზრუნველყოფის საშუალებების გაქარწყლება.

✓ სსკ-ის 454-ე მუხლი სისტემურად ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძველებშია მოთავსებული და არსებითად განსხვავდება ისეთი საფუძველებისაგან, როგორცაა სსკ-ის 452-ე მუხლი – ე.წ. კონფუზია, როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება; სსკ-ის 453-ე მუხლი, რომელიც მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევებისათვის ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობებს განსაზღვრავს. სსკ-ის 454-ე მუხლის კომენტარებისას მითითებულია, რომ „ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი შეიძლება ქონების გარეშე დარჩეს ან იგი გადახდისუუნარო აღმოჩნდეს, თავისთავად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას“ (იხ.: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 566).

✓ სსკ-ის 454-ე მუხლი კონკრეტულად იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო ვალდებულების შეწყვეტის საგამონაკლისო წესს განსაზღვრავს. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში გამოყენებული პირადი (პიროვნული) თუ სანივთო უზრუნველყოფის სახეების აქცესორულობა სამართლებრივად სწორედ იმის მაუწყებელი და განმსაზღვრელია, რომ მიუხედავად იურიდიული პირის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისა, ეს არ აქარწყლებს ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებს. სსკ-ის 454-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალე სანარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის გამო წარმოიშობა, იმთავითვე აუქმებს კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ საშუალებებს მათი აქცესორულობის გამო და პასუხისმგებლობი-

⁸⁷ სუსგ №ას-1159-2021, 1 აპრილი, 2022, ასევე, სუსგ-ები: №ას-672-2021. 23.09.2021.

საგან ათავისუფლებს უზრუნველყოფ პირებს, მთლიანად გამოაცლის საფუძველს საკრედიტო ურთიერთობებში უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობას, დანიშნულებასა და მიზანს. მოთხოვნის უზრუნველყოფა არის კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარად გამოყენების გზით (იხ.: ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, გვ. 15). კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობა კრედიტორსა და უზრუნველყოფ პირებს შორის წარმოიშობა, ასეთ ხელშეკრულებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და საკუთარ თავში ატარებს კაუზას, რაც იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა; უზრუნველყოფი პირები საკუთარ ვალდებულებას ასრულებენ და არა სხვის ვალდებულებას (იხ.: გ. რუსიაშვილი, აქცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე, შედარებით სამართლის ჟურნალი №3/2019, გვ. 15).

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად კომპანიის რეგისტრაციის გაუქმებისა, ძალაში დარჩა მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული პიროვნული და სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები. შესაბამისად, თავდები პირები – პიროვნულად, მთელი თავისი ქონებით, ხოლო იპოთეკის საგნის მესაკუთრე ასევე, იპოთეკის საგნით, პასუხს აგებენ ბანკის წინაშე ძირითადი მოვალის – კომპანიის ვალდებულებებისათვის.⁸⁸

3.2. კერძო ნაწილი⁸⁹

3.2.1. ნასყიდობა

ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

✓ 477-ე მუხლი ნასყიდობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ცენტრალური მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. ამ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე აღმოცენებულ მოთხოვნას პირველადი მოთხოვნის უფლება ეწოდება. პირველადი მოთხოვნა მეორადი მოთხოვნისაგან იმით განსხვავდება, რომ უშუალოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და ხელშეკრულების მხარის მთავარი ინტერესია. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით აღსანიშნავია მყიდველის შემდეგი მეორადი მოთხოვნის უფლებები (იხ.: დამატებით: ს. ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბი-

⁸⁸ სუსგ №ას-132-2019, 30 ივნისი, 2021, იხ. ასევე, სუსგ-ები: №ას-401-2019, 25 ივნისი, 2020, №ას-647-647-2018, 21 ოქტომბერი, 2019

⁸⁹ სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შესახებ სასამართლო პრაქტიკა დამატებით იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, 58, www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

ლისი, 2010, გვ. 57), რომლებიც მას წარმოეშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველმა დაარღვია სსკ-ის 488-489-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება: 1) ნივთის ნაკლის გამოსწორება; 2) ნაკლიანი გვაროვნული ნივთის შეცვლა; 3) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა; 4) ფასის შემცირება, თუკი მყიდველი არ ითხოვს ნაკლის გამოსწორებას, ან ახლით შეცვლას და არც ხელშეკრულებიდან გასვლას; 5) უარი საქონლის მიღებაზე, თუკი გამყიდველი მიაწვდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობით; 6) მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

- √ მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი თითქმის ყველა სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულ იერარქიასა და ეტაპობრიობას ექვემდებარება, რაც გულისხმობს, რომ ვალდებულების დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული მეორადი მოთხოვნის უფლება იყოს პრიორიტეტული.
- √ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ნაკლის გამოსწორება მეორად მოთხოვნათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა. იგი მოვალისათვის დამატებითი შანსია „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი (იხ.: დამატებით: ჰ. ბოელინგი/ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2004, გვ. 40.). ამ მოთხოვნის გამოყენების უპირატესობა განპირობებულია უშუალოდ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებით. ნივთის ნაკლის გამოსწორება განხილულ უნდა იქნეს იმგვარ მეორად მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. კერძოდ, სანამ საგნის ნაკლის გამო, კრედიტორი ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის გამომრიცხავი საფუძვლები. აღნიშნული მოტივირებულია კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეპტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულებაზე, მონოდებულია გადაარჩინოს შეთანხმება და უზრუნველყოს მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება თვით მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში.
- √ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა გამორიცხავს სხვა მეორად მოთხოვნას. ამ დროს ადგილი აქვს ე. წ. „მოთხოვნათა გამომრიცხავ“ კონკურენციას. მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად რამდენიმე მოთხოვნა არსებობს, თუმცა ერთი მოთხოვნის განხორციელება უპირატესია. უპირატესობა ვლინდება ერთი მოთხოვნის განხორციელების ვალდებულებაში სხვა ნებისმიერთან მიმართებით. სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნა, უფლებამოსილი პირი ვერ გამოიყენებს სხვა მოთხოვნებს. ნივთის ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც წესი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა და გამორიცხავს კრედიტორის სხვა მეორად

რად მოთხოვნებს.⁹⁰

- ✓ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემისას, ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის შეცვლის მოთხოვნის უპირატესი გამოყენება, უდავოდ გამომდინარეობს სსკ-ის 490-ე, 491-ე, 492-ე, 494-ე მუხლების დანაწესებიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის შეცვლისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გაივლის, მყიდველს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება თუ ზიანის ანაზღაურება.
- ✓ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნასყიდობასთან მიმართებით, ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის შეცვლის მყიდველის მოთხოვნა გამყიდველის მიმართ ინვესიციური სამართლებრივ შედეგს: მყიდველი ღებულობს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამის შესრულებას. ამ გზით ხელშეკრულების მიზანი, თუმცა მეორადი მოთხოვნის რეალიზების შემდეგ, მაინც მიღწეულია.
- ✓ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ შესრულების შეუძლებლობის პირობებში კონტინენტურ სამართალში უპირატესად გამოსაყენებელი ნაკლის გამოსწორების მეორადი მოთხოვნის უფლება აზრს კარგავს და კრედიტორისათვის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებია პრიორიტეტული. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება ცენტრალურ ადგილს იკავებს, რამდენადაც აღნიშნულ შემთხვევაში ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა (იხ.: დამატებით: Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, p. 386) და მისი გამოყენება ყოველგვარ მიზანს მოკლებულია სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. სსკ-ის 405-ე II „ა“ მუხლი გამოორიცხავს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლების გამოყენებას, კერძოდ, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. სსკ-ის 405-ე II „ა“ მუხლი მოიცავს შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს, რომლის პირობებშიც ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა (იხ.: დამატებით: ნ. ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება, თსუ-ს სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2011, გვ. 151).
- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მყიდველის მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის სახით მხოლოდ სსკ-ის 491-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სსკ-ის 405-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სსკ-ის 352-359-ე მუხლებს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სსკ-ის 491-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, მყიდველის მიერ ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამარ-

⁹⁰ სუსგ №ას-467-2020, 25 ივნისი, 2021.

თლებრივი საფუძველი იქნება სსკ-ის 491-ე მუხლი სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში.⁹¹

- ✓ სასამართლომ სსკ-ის 487-ე და 489-ე მუხლების საფუძველზე განმარტა, რომ შემდგენი მესამე პირთან მიმართებით იმ უფლებრივი ტვირთის მატარებელია, რაც ნივთის შექენამდე არსებობდა და მყიდველის მიერ ნაკვეთის შექენამდე უფლებრივ ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენა მხოლოდ გამყიდველის მიმართ არის შესაძლებელი.⁹²
- ✓ ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი სხვა დავის ფარგლებში, საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ ხელშეკრულების იურიდიული ძალმოსილების პირობებში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს, რომელიც გამყიდველის უფლებადამცავი ნორმაა და ადგენს მყიდველის ვალდებულებას, მიიღოს საქონელი და გადაიხადოს ფასი. მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე საქონლის მიღების დავალდებულებას არ მოითხოვს, არამედ მხოლოდ ფასის ანაზღაურებაა მოთხოვნის საგანი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ამ ფარგლებს ვერ გასცდება, თუმცა, მყიდველს **არ დაუკარგავს უფლება, გამყიდველს მოსთხოვოს ქონების გადაცემა**.⁹³
- ✓ კონკრეტულ დავაში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 487-489-ე მუხლების შესაბამისად, გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამ მოვალეობათა დარღვევა მოსარჩელეს წარმოუშობს შესაბამის მოთხოვნებს, **თუმცა ნაკლიანი შესრულება მიღებული პროდუქციის ანაზღაურებაზე უარის საფუძველი არ არის**. შესაბამისად, მყიდველის შესაგებელი გამყიდველის მოთხოვნას არ გამოირიცხავს.
- ✓ ფასის შემცირება არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც გამყიდველისათვის ფასის შემცირების შეტყობინებით ხორციელდება. შესაბამისად, იგი ნამდვილია მას შემდეგ, რაც სსკ-ის 51-ე მუხლის შესაბამისად, მეორე მხარეს მიუვა. მოცემულ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მოპასუხეს ფასის შემცირების შესახებ მოსარჩელის წინაშე ნება არ გამოუვლენია, მას არც შესაგებელში მიუთითებია ამ მეორადი მოთხოვნის გამოყენების თაობაზე და არც მტკიცება განუხორციელებია, თუ რამდენით შემცირდა ნივთობრივი ნაკლის გამოღირებულება.

მართალია, ფასის შემცირების მოთხოვნის წინაპირობების არსებობისას, გამყიდველის სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფასის გადახდის მოთხოვნა ქარწყლდება და მყიდველი უფლებამოსილია, ფასის გადახდისას შემცირებუ-

⁹¹ სუსგ №ას-222-2021, 4 ივნისი, 2021.

⁹² სუსგ №ას-340-2021, 25 ივნისი, 2021.

⁹³ სუსგ №ას-883-2021, 09 დეკემბერი, 2021, სუსგ-ები: №ას-1449-2020, 23 აპრილი, 2021, №ას-1076-996-2017, 19 აპრილი, 2019.

ლი თანხა აღარ გადაიხადოს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მინოდებული პროდუქტის თანხის გადაუხდელობა საფასურის ნაწილის დაკავებად და ფასის შემცირების შესახებ ნების გამოვლენად მაინც ვერ განიმარტება, რადგან, მყიდველს ამგვარი შესაგებელი არ წარუდგენია და არ მიუთითებია, თუ რა ოდენობით ამცირებდა ნაკლი პროდუქტის ღირებულებას.

- ✓ ნივთობრივი ნაკლის არსებობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წინაპირობას არ წარმოშობს. ფასის შემცირება იწვევს ნასყიდობის შეთანხმებული ფასის ცვლილებას – არა ანაზღაურებაზე სრულად უარს. სსკ-ის 492-ე მუხლის თანახმად, მყიდველი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად, ანუ ფასი უნდა შემცირებულიყო იმ ნაკლის პროპორციულად რამდენითაც ამცირებდა ნაკლი პროდუქტის ღირებულებას.
- ✓ პალატამ განმარტა, რომ ფასი მცირდება იმ ფარგლებით, რამდენითაც გამყიდველმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში, ურთიერთსაპასუხო შესრულებათა გათანაბრება ხდება და არა ანაზღაურებაზე სრულად უარი (შდრ. ს. ჩაჩავა, სსკ-ის კომენტარი, მუხლი 492, www.gccc.ge).⁹⁴
- ✓ სხვა დავაში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 490-ე, 491-ე და 492-ე მუხლები არაჯეროვან შესრულებასთან მიმართებით, რამდენიმე ალტერნატიულ მოთხოვნას განიხილავს. თუ მყიდველი დამატებითი ვადის დანესებით პირველადი მოთხოვნის შესრულების მექანიზმს არ იყენებს, მას შეუძლია გამყიდველისგან მოითხოვოს გვაროვნული ნივთის შეცვლა, ნასყიდობის ფასის შემცირება ან სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლის პირველი ნაწილის და 405-ე მუხლების პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა. ამასთან, 492-ე მუხლის დანაწესი მყიდველს აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება კონტრაქტის მხრიდან არაჯეროვანი შესრულების მიღების პირობებშიც კი (ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, www.gccc.ge, მუხლი 492, ნაწილი 1-ელი, ველი 1 და 2).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შემსყიდველებს, დადგენილი არაჯეროვანი შესრულების გათვალისწინებით, არ წარუდგენიათ მიმწოდებლისთვის მითითებული პირველადი და მეორადი სახელშეკრულებო მოთხოვნები. ამდენად, ისინი ვალდებულნი არიან გადაიხადონ მიღებული პროდუქციის ღირებულება.⁹⁵

- ✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ორმხრივ (სინალაგმატურ) ხელშეკრულებაში თითოეულ მხარეს გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც, ე.ი. თითოეული მხარე კრედიტორიცაა და მოვალეც. ხშირად, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე, რომელიც გადასცემს რაიმე ქონებას კონტრაქტის მისგან სამაგიერო

⁹⁴ სუსგ №ას-239-2021, 20 იანვარი, 2022, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-476-2020, 27.10.2021 წ. №ას-596-2020; 29.10.2020, №ას-174-2020, 17.06.2020, №ას-108-2020, 03.06.2020, №ას-1057-2020, 20 იანვარი, 2022.
⁹⁵ სუსგ №ას-1055-2021, 24 თებერვალი, 2022.

ქონებრივი სიკეთის მიღების სანაცვლოდ, დაინტერესებულია იმით, რომ „გაცვლის“ დრო მინიმალური იყოს.

როგორც წესი, ორივე მხარე ვალდებულია შესრულება განახორციელოს ერთდროულად. ორმხრივ ხელშეკრულებაში შესრულების რიგითობის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის.

- ✓ სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ურთიერთკავშირს გამყიდველის შესრულების ნაწილსა (საქონლის გადაცემა) და მყიდველის შესრულების ნაწილს (ფასის გადახდა) შორის, რომელიც შემდეგნაირი შეიძლება იყოს: ა) საქონლის (ქონების) გადაცემა წინ უსწრებს ფასის გადახდას; ბ) ფასის მთლიანად ან ნაწილობრივ (ბე, ავანსი) გადახდა წინ უსწრებს საქონლის (ქონების) გადაცემას.
- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა საკითხი, კონტრაპენტებიდან რომელმა უნდა შეასრულოს პირველმა ვალდებულება, თუ ხელშეკრულებით თანმიმდევრობა გათვალისწინებული არ არის და აღნიშნა, რომ **ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჯერ გამყიდველმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება (გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მინოდოს საქონელი) და შემდეგ კი, მყიდველმა უნდა გადაიხადოს ფასი როგორც წესი, ქონების გადაცემისთანავე**. ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, თუ რა ინტერესია ჩადებული ქონების სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვაში.
- ✓ ქონება, ფართო გაგებით, ფულისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს გაცვლის საყოველთაო საშუალებას. ქონების რეალიზაციისათვის საჭიროა მყიდველის მოძებნა. გამყიდველი კონკურენციის კანონების ძალით დაინტერესებულია იმით, რომ გაყიდოს თავისი საქონელი, ამიტომაც გამართლებულია, რომ მას დაეკისროს ორმხრივი ვალდებულების შესასრულებლად პირველი ნაბიჯის გადადგმა ანუ მყიდველისათვის ქონების (საქონლის) გადაცემა.
- ✓ სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, მოქმედებს პრეზუმცია, რომ მყიდველის მიერ გამყიდველისათვის შეთანხმებული ფასის გადახდა ხდება ნაყიდი ქონების მიღებისას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁹⁶

კონკრეტულ დავაში, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისაგან გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დაკისრება წარმოადგენს. ნასყიდობის საგანია კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება და მშენებლობასთან დაკავშირებული პროექტი. ნასყიდობის ფასის გარკვეული ნაწილის გადახდა დამოკიდებული იყო შენობის პროექტის კორექტირებაზე და მესამე პირის – ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ნებართვის გაცემაზე, რომლის საფუძველზეც გაიზრდებოდა კომერციული დანიშნულების მქონე ნივთის – სასტუმროს სართულიანობა და მოეწყობოდა ლიფტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრებოდა გადახდილი კონკრეტული თანხით.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქონების ღირებულების გაზრდა/ნასყიდობის ფა-

⁹⁶ სუსგ №ას-345-2020, 22 ივნისი, 2022.

სის სრულად გადახდა დამოკიდებული იყო პირობის დადგომაზე, რაც ნიშნავს, რომ ქონების ფასის განსაზღვრის ნაწილში სახეზეა პირობითი გარიგება.

- ✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასყიდლის ოდენობის გაზრდა და მისი განვადებით გადახდა მხარეებმა დაუკავშირეს მესამე პირის – ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კონკრეტულ ვადაში სამშენებლო დოკუმენტაციის კორექტირებას და შესაბამისი თანხმობის გაცემას, რაც გამყიდველს უნდა წარედგინა მყიდველისათვის, შესაბამისად, ამ უკანასკნელსაც წარმოეშობოდა ფასნამატის გადახდის ვალდებულება.
- ✓ ვინაიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა და გამყიდველმა ვერ უზრუნველყო შეთანხმებული დოკუმენტაციის მყიდველისათვის წარდგენა, **მყიდველს აღარ წარმოეშობა ვალდებულება, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი თანხა.**⁹⁷

3.2.2. ჩუქება

- ✓ „ნაჩუქარი ქონების გამოთხოვის უფლება როგორც არადაამოუკიდებელი აღმჭურველი უფლება, არც გადაცემადია და არც მისი დაგირავებაა შესაძლებელი. მისი პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე იგი ასევე არც მემკვიდრეობით გადაცემადია. დაზარალებულ მჩუქებელს მხოლოდ თვითონ შეიძლება ჰქონდეს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. თუმცა უკვე გაცხადებული გამოთხოვიდან გამომდინარე უფლებები არ გვევლინებიან პერსონალური ხასიათის უფლებებად და შესაბამისად, გადადიან მჩუქებლის მემკვიდრეებზე.“⁹⁸

3.2.3. იჯარა

- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იჯარა ორმხრივმავალდებულებელი, სასყიდლიანი და კონსესუალური ტიპის ხელშეკრულებაა. მეიჯარის ვალდებულებაა, დროებით სარგებლობაში გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი (ქონება) ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისგან **სწორი სამეურნეო გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით ნაყოფის მიღება, ხოლო მოიჯარის ვალდებულება კი, შეთანხმებული საზღაურის გადახდა. შესაბამისად, საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მიზანია არა მხოლოდ იჯარის საგნის სარგებლობა, არამედ იჯარის საგნის სარგებლობის გამო მიღებული შემოსავალი. იჯარა ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის ნაირსახეობაა (საიჯარო ურთიერთობების დარეგულირებისთვის ქირავნობის ნორმები ბლანკეტურია), მაგრამ ქირავნობისგან მას სწორედ იჯარის საგნის სარგებლობით შემოსავლის მიღების აუცილებლობა მიჯნავს. იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერ-**

⁹⁷ სუსგ №ას-661-2020, 26 თებერვალი, 2021.

⁹⁸ სუსგ №ას-1039-2020, 3 თებერვალი, 2022.

თიანებს (სსკ-ის 147-ე მუხლი), ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძლოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). შემოსავლის მიღების შესაძლებლობის აუცილებლობის უზრუნველყოფა კი, მეიჯარის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების გამოკვეთილი პასუხისმგებლობაა, რასაც ეფუძნება საიჯარო ქირის გადახდის შესახებ მოიჯარის ვალდებულება. ამდენად, საიჯარო ქირისა თუ მისი გადაუხდელობით შეთანხმებული პირგასამტეხლოს შესახებ მეიჯარის მოთხოვნის პერსპექტიულობა დამოკიდებულია მეიჯარის მტკიცებაზე, ისეთი საიჯარო ქონების გადაცემის შესახებ, როგორც გარანტირებულია შემოსავლის მიღება.

- ✓ მოიჯარეს ქონება სარგებლობაში უნდა გადაეცეს სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და იჯარის მთელი დროის განმავლობაში მეიჯარემ უნდა შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ნივთის „ვარგისიანობა“ გულისხმობს ნაყოფის მიღების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატის დასკვნით, კეთილსინდისიერი ქცევის, როგორც სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ქვაკუთხედის და მხარეთა მოქმედების ამავე პრინციპისადმი ერთგულების ჭრილში განხილვისას ხაზგასასმელია, რომ მოიჯარემ სადავო საიჯარო მიწის ნაკვეთზე კვების ობიექტი (მსუბუქი კონსტრუქციის კაფე) იმ მიზეზით ვერ განათავსა, რომ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა ეგრეთ ნოდებული სსზ-2-ის სამართლებრივი რეჟიმი; სადაც ცხადია, რომ კაფეს განათავსება შეუძლებელი იყო და მოიჯარისთვის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას იჯარით მიღებული მიწის ნაკვეთი არ იძლეოდა.

ამრიგად, საკასაციო პალატის აზრით, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო, მოიჯარისათვის გადაეცა ისეთი სახით საიჯარო ქონება, რომლის სწორი სამეურნეო გაძლოლის შედეგადაც, მოპასუხე სარგებელს მიიღებდა.

- ✓ ვინაიდან მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა ნაკლიანი ნივთი, რის გამოც მას წართმეული ჰქონდა სარგებლობისა და შესაბამისად, ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, საკასაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნა ხსენებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში საიჯარო ქირის დაკისრების შესახებ სსკ-ის 581-ე, 532-ე, 533-ე და 536-ე მუხლების საფუძველზე ნაწილობრივ უარყო.⁹⁹

- ✓ საკასაციო სასამართლომ **განმარტა**, რომ იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მისი საიჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო არ არის, ვინაიდან იგი შეიძლება როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით დაიდოს. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტილად ცნობისა და მოიჯარის ქირის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის უფლების საიჯარო რეესტრში გაუქმება საკმარისი არ არის, გადამწყვეტია საიჯარო ფართის ფაქტობრივი ფლო-

⁹⁹ სუსგ №ას-1185-2020, 20 მაისი, 2021.

ბის შეწყვეტის თარიღის განსაზღვრა.¹⁰⁰

კონკრეტულ საქმეში, მოიჯარე (მოპასუხე) საიჯარო ქირის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად საიჯარო ქონების ნაკლის, კერძოდ, სარეკლამო აბრის ნებართვის მიღების შეუძლებლობის გამო, მისი გამოყენების შეუძლებლობაზე მიუთითებს.

✓ პალატამ განმარტა, რომ იჯარა სასყიდლიანი ურთიერთობაა, თუმცა საიჯარო ქონების იმგვარი ნაკლის შემთხვევაში, რომელიც ქონებას გამოუსადეგარს ხდის, იჯარის ქირის დაკავების უფლება მოიჯარეს სსკ-ის 536-ე მუხლიდან გამომდინარე აქვს (მდრ. „იმ დრომდე, სანამ ქირავნობის საგანს ახასიათებს ნაკლი, რომელიც ნივთს უსარგებლოს ხდის, დამქირავებელი თავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო გამოყენების პოტენციალის შემცირების შემთხვევაში ქირა შესაბამისად მცირდება.“ გ. რუსიაშვილი, „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,“ მუხ. 536, www.gccc.tsu.ge).

✓ პალატამ აღნიშნა, რომ მოიჯარის მიერ აბრის განთავსებისა და გარე ვიტრაჟის მონყობის შეუძლებლობა ვერც სსკ-ის 581.1 მუხლიდან გამომდინარე მოიჯარის იმგვარი ვალდებულების დარღვევად ვერ მიიჩნევა, რომელიც მას ქონებიდან ნაყოფის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას ავალდებულებს და ვერც სსკ-ის 535-ე მუხლის მიზნებისათვის – ნივთის იმგვარ ნაკლად, რომელიც ნივთს უსარგებლოს ხდის. პირველ ყოვლისა, ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება ქონების გასხვისების შემდგომ იმავე იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში აბრის განთავსებისა და გარე ვიტრაჟის მონყობის გარეშე მოიჯარის მიერ იმ კომერციული საქმიანობის განხორციელების შესახებ, რა მიზნითაც მან იჯარის ხელშეკრულება დადო (მით უფრო, რომ ნაკლის შემთხვევაში მას კანონი (სსკ-ის 541.1 მუხლი) და ხელშეკრულებაც გასვლის უფლებას ნარმოუშობდა). ეს კი, ერთმნიშვნელოვნად აბათილებს იჯარის საგნის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენების შეუძლებლობის შესახებ მოპასუხის პრეტენზიას.

✓ პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 535-ე მუხლის (გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დატყმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დატყმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის) დისპოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ შემთხვევას: ა) როდესაც ნივთის მდგომარეობა ხელშეკრულებითაა შეთანხმებული; ბ) პირობებში, ნივთი გამოსადეგია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამდენად, ნივთობრივი ნაკლის შეფასებისას, უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას, კერძოდ, მეიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობით, ამგვარი დატყმის არარსებობისას, იჯარის საგნის ხარისხის განმსაზღვრელია მისი შესაბამისობა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან.

¹⁰⁰ სუსგ №ას-406-2021, 29 ოქტომბერი, 2021.

პალატის განსჯით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულებით მეიჯარე გარე ვიტრაჟისა და სარეკლამო აბრის მოწყობის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოსაგან შესაბამისი ნებართვის მოპოვების ვალდებულებას აიღებდა, ამგვარი პირობა მაინც ბათილი იქნებოდა.

✓ **პალატამ განმარტა, რომ სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც ნივთის გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს ან მათ საერთოდ გამოუსადეგარს ხდის, ნივთის თვისების ნაკლს განეკუთვნება, თუმცა არა ის შემთხვევა, როდესაც გამჭირავებელი კისრულობს მესამე პირისგან (მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოსგან) თანხმობის მიღების ვალდებულებას, რაც არანამდვილია სსკ-ის 91-ე მუხლის მიხედვით** (შდრ. გ. რუსიაშვილი, „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,“ მუხ. 536, www.gccc.tsu.ge).

პალატამ დაასკვნა, რომ ნივთის ნაკლის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოიჯარეს (სსკ-ის 102.1 მუხლი), რომელიც ვალდებული იყო, დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით დაესაბუთებინა ნივთობრივი ნაკლის საქონლის გადაცემის დროისათვის არსებობის ფაქტი, გასაგებად და დამაჯერებლად ვერ გააქარწყლა ფაქტი, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისი იჯარის საგანი ჩაიბარა და ვერ დაამტკიცა, რომ შესრულება არაფეროვანი – ნაკლიანი იყო.¹⁰¹

3.2.4. სესხი

3.2.4.1. 623-ე მუხლი

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: სესხის ხელშეკრულება არის ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულება, თუმცა იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღემშო რჩენა.

✓ სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პირის ნებაა გამოვლენილი (რამეთუ ხელშეკრულება ზოგადად გულისხმობს ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენას), არამედ იმაზე, თუ როგორაა განაწილებული უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების მხარეებს შორის. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემულის დაბრუნება, ხოლო მსესხებელი კი, ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

✓ სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როცა გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ხელშეკრულების საგანს. მარტოოდენ შეთანხმება სესხის თა-

¹⁰¹ სუსგ №ას-564-2022, 30 ივნისი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1154-1109-2016, 20 აპრილი, 2018, №ას-184-177-2016, 12 დეკემბერი, 2016.

ობაზე, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას.¹⁰²

- ✓ ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სადავო იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების დადების საკითხი, საკასაციო პალატამ განმარტა: „სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება).“
- ✓ საკითხი იმის შესახებ, თუ დავის მონაწილე რომელმაც მხარემ უნდა ადასტუროს თანხის გადაცემის შესახებ გარემოება, არ რეგულირდება მატერიალური სამართლის ნორმით. სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის ზოგადი ნორმა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისთვის (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის თანახმად, თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. ანუ გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით.
- ✓ სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სსკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მონმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, კანონის თანახმად, მხოლოდ ეს უკანასკნელი არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებულ თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი.¹⁰³

¹⁰² მრავალთავან იხ. სუსგ-ები: №ას-896-2019, 2021 წლის 30 ნოემბრის განჩინება; №ას-301-2021, 2021 წლის 25 ივნისის განჩინება, №ას-488-2021, 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინება. მითითებულია №ას-1365-2020, 17 დეკემბერი, 2021.

¹⁰³ სუსგ №ას-895-2021, 23 დეკემბერი, 2021, №ას-1288-2019, 04 მარტი, 2021.

3.2.4.2. 626-ე მუხლი

- √ სსკ-ის 626-ე მუხლი ადგენს, რომ, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. კონკრეტულ ვითარებაში, სესხის დაბრუნების ვადა მხარეებს შორის წინასწარ არ იყო განსაზღვრული, შესაბამისად, ვალი უნდა დაბრუნებულიყო კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ამასთან, კანონმდებელი ხელშეკრულების შეწყვეტის 3-თვიან ვადას ადგენს. სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგაა მოვალე ვალდებული, დააბრუნოს სესხი.
- √ თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული სესხის დაბრუნების ვადაზე, სესხის დაფარვის ვადის დადგომისათვის (3-თვიანი ვადის ათვლისათვის) საკმარისია გამსესხებლის ან მსესხებლის ცალმხრივი ნება ხელშეკრულების შეწყვეტაზე.... მაშასადამე, თუ სესხის ხელშეკრულებაში მითითებული არ არის კონკრეტული თარიღი ან დროის მონაკვეთი (მაგალითად, 30 მაისი, თებერვლის ბოლო და ა.შ.) გამსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მსესხებელს ვალის დაბრუნება, მსესხებელი კი ვალდებულია, მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი (იხ.: თ. ზამბახიძე, სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის კომენტარი, www.gccc.ge).
- √ განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტისას, ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის შემოღებით, კანონმდებელი ფაქტობრივად მოვალეს იცავს ხელშეკრულების უეცრად შეწყვეტის ნეგატიური ეფექტისგან და მას გონივრულ დროს აძლევს სასესხო ვალდებულების კეთილსინდისიერად შესასრულებლად. ამრიგად, **სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე კრედიტორის ნების გამოვლენისას, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებები კიდევ 3 თვის განმავლობაში ინარჩუნებს ძალას და სესხის ხელშეკრულების დარღვევით/ვალდებულების შეუსრულებლობით განპირობებული სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტიც სწორედ ზემოაღნიშნული სამთვიანი პერიოდის უშედეგოდ ამონურვას უკავშირდება.**¹⁰⁴

3.2.5. ნარდობა

კონკრეტულ დავაში, შემკვეთის სარჩელი ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, ნივთობრივად ნაკლიანი პროდუქტის მიწოდებაზე მითითებით, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლით, უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა.

- √ სასამართლომ განმარტა, რომ „ნივთის ნაკლის გამოსწორება ან მისი ახლით შეცვლა განხილული უნდა იქნეს დამატებითი შესრულების მოთხოვნად, რო-

¹⁰⁴ სუსგ №ას-892-2019, 16 აპრილი, 2021.

მელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. კერძოდ, სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძვლები.“ გარდა იმისა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნამდე, შემკვეთმა ჯერ დამატებითი შესრულება (ნაკლის გამოსწორება ან ახალი ნაკეთობის დამზადება) უნდა მოითხოვოს, ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა სხვა დამატებითი წინაპირობებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

✓ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს აკისრია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოთხოვნის უარყოფის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ შემკვეთი ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას ისე, რომ მას არ მოუთხოვია ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი შესრულება, რომელზეც სპეციალური ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება და ეს ვადა სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის დროს გასული იყო, კერძოდ, სსკ-ის 655-ე მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის ათვლის დროს, სამოქალაქო კოდექსის 656-ე მუხლიდან გამომდინარე, „ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ მომენტთან გვაქვს საქმე ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ნაკლთან მიმართებაში. კერძოდ, ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა აითვლება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც შემკვეთმა მიიღო შესრულებული სამუშაო.“ ამასთან, საგულისხმოა, რომ დაცული არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლით განსაზღვრული სხვა აუცილებელი წინაპირობებიც, რომლებიც მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლამდე ხელშეკრულების შესასრულებლად დამატებითი ვადის დაწესებას მოითხოვს.¹⁰⁵

ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სამუშაოს შესრულების ფაქტის დადასტურებელი მტკიცებულების შესახებ საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა რომ:

✓ ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სსკ-ის 629-656-ე მუხლები) არცერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით. მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა, იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.¹⁰⁶

¹⁰⁵ სუსგ №ას-856-2021, 8 ოქტომბერი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-222-2021, 4 ივნისი, 2021, №ას-1324-2019, 12 მარტი, 2021, №ას-58-2020, 11 მარტი, 2021, №ას-346-2021, 14 ივლისი, 2021.

¹⁰⁶ მრავალთავან იხ.: სუსგ-ები: №ას-746-714-2016, 08.05.2017; №ას-770-737-2014, 16.06.2015.

- √ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებსა და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, **კანონის რომელიმე დანაწესი ვალდებულების შესრულებულად მიჩნევას იმპერატიულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას არ უკავშირებს. მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც სხვა მტკიცებულებით უტყუარად დასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა მოსარჩელის მოთხოვნის უარყოფის საფუძველი ვერ გახდება.**
- √ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტების წარუდგენლობა, არ გამოორიცხავს მისი მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ფაქტს. მართალია, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განისაზღვრა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტების წარდგენა, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როცა სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შესრულებული სამუშაოები მოპასუხეს მოსარჩელისათვის ანაზღაურებული აქვს მიღება-ჩაბარების აქტების გარეშე, არ შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.
- √ საკასაციო პალატამ ანგარიშ-ფაქტურებისათვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო დავის განხილვისას, მათ რაიმე უპირატესი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საქონლის მიწოდების ერთ-ერთი და არა ერთადერთი მტკიცებულება შეიძლება იყოს, რომელიც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა შეფასდეს და საქონლის მიწოდების თაობაზე სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა დაედოს საფუძველად.“
- √ საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ ნარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ (სსკ-ის 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი მოვალეა, მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას);
- √ როგორც წესი, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგი შემკვეთს უნდა გადაეცეს მთლიანად და ამის შემდეგ არის შემკვეთი მოვალე, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. თუმცა, ეს არ გამოორიცხავს შესაძლებლობას, რომ ნარდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაო მიღებული იქნება ნაწილ-ნაწილ და საზღაურის გადახდაც მოხდება ნაწილ-ნაწილ. როდესაც სამუშაოს შესრულება ხდება ნაწილ-ნაწილ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, თუკი შემკვეთი უხდის მენარდეს საზღაურს შესრულებული სამუშაოს პროპორციულად. (იხ.: ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულება – თეორია და პრაქტიკა, 2016, გვ. 290).

სსკ-ის 649-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ან შესასრულებელი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური.

- ✓ შესრულებული სამუშაოს მიღებაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ორი ეტაპი: მენარდის მიერ სამუშაოს გადაცემა და შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება. სამუშაოს გადაცემა ერთი მხრივ, წარმოშობს შემკვეთის ვალდებულებას, მიიღოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ხოლო მეორე მხრივ – მენარდის უფლებას, მოითხოვოს შემკვეთისაგან შეთანხმებული საზღაური. სამუშაოს მიღების ვალდებულება იმაშიც გამოიხატება, რომ შემკვეთმა უნდა შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს შედეგის ხარისხი.
- ✓ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოშობს შემდეგ სამართლებრივ შედეგებს: ა) იწყება შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა; ბ) შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს საზღაური; გ) თუ შემკვეთი გადააცილებს საზღაურის გადახდის ვადას, მას შეიძლება დაეკისროს დამატებითი პასუხისმგებლობა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ა.შ.); დ) შემკვეთზე გადადის შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი; ე) თუ შემკვეთი დროულად არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, მენარდეს წარმოეშვება სსკ-ის 633-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება; ვ) თუ შემკვეთი დროულად არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, მენარდეს წარმოეშვება სსკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლება (იხ.: ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულება – თეორია და პრაქტიკა, 2016, გვ. 308).¹⁰⁷

3.2.6. დავალება

3.2.6.1. 709-ე მუხლი

- ✓ დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა. შ. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს.

¹⁰⁷ სუსგ №ას-1374-2021, 15 აპრილი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1252-2020, 29.09.2021, №ას-1013-2019, 17.07.2020, №ას-968-2021, 17 დეკემბერი, 2021, №ას-1768-2019, 29 მაისი, 2020, №ას-1194-2020, 05.03.2021.

√ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთდობას. რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი.

დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება.¹⁰⁸

კონკრეტულ საქმეში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დავალების ხელშეკრულების დადებისას, გასამრჯელოს კონკრეტულ ოდენობაზე ან მისი გამოთვლის წესზე შეუთანხმებლობა არ გულისხმობს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. ამ თავისებურებაზე მიუთითებს სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი – „გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი.“ ამ ნორმით გათვალისწინებული გარემოების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადავო ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა.

√ მოსარჩელის (მარწმუნებლის) მითითება, რომ მხარეებს შორის იმთავითვე არ არსებობდა შეთანხმება რაიმე სახის ფიქსირებული ოდენობის გასამრჯელოზე, სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად. სსკ-ის 710-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო.“ ამდენად, **კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ გასამრჯელოს თაობაზე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის არარსებობის მიუხედავად, მისი ოდენობა დადგინდეს ნიხრების ან ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების მიხედვით, გონივრული ოდენობით.** სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლების ნორმატიული შინაარსი დავალებისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებას ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს უკავშირებს.¹⁰⁹

3.2.6.2. 717-ე მუხლი

√ სასამართლომ საჩივრისათვის დადგენილი ბაჟი ავტომატურად რწმუნებულის მიერ გასანევ „აუცილებელ ხარჯად“ არ ჩათვალა.

¹⁰⁸ სუსგ №ას-996-2021, 24 მაისი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1203-2018, 25.04.2019, №ას-655-611-2017, 11.07.2017, №ას-895-845-2015, 29.01.2016.

¹⁰⁹ სუსგ №ას-894-2021, 23 დეკემბერი, 2021.

პალატამ მიუთითა სსკ-ის 717-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ მარნმუნებელმა უნდა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები. ამრიგად, მითითებულ ნორმაში კანონმდებელი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: რწმუნებულმა უნდა იმოქმედოს მარნმუნებლის დავალებების შესასრულებლად და, ამ მიზნით, განიოს კიდეც დავალების შესრულების პროცესში წარმოშობილი აუცილებელი ხარჯები, რომელიც საბოლოოდ, დაექვემდებარება ანაზღაურებას მარნმუნებლის მიერ.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა დასკვნა, რომ რაკი წარმომადგენელს მინდობილობით მინიჭებული ჰქონდა ბაჟის გადახდის უფლებამოსილება, სსკ-ის 717-ე მუხლიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, თავად გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, რაც შემდგომში მარნმუნებლის მიერ ანაზღაურდებოდა. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სააპელაციო წესით გასაჩივრება (რაც მარნმუნებლის ნებას შეესაბამებოდა), სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილ ბაჟს ავტომატურად „აუცილებელ ხარჯად“ ვერ აქცევს. მარნმუნებლის უგონო მდგომარეობის გამო, რწმუნებულს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიეწოდებინა ინფორმაცია სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო, სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდის ვალდებულების თაობაზე. პალატამ განმარტა, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორი აპელანტის უგონოდ ყოფნა, ნების გამოვლენის შეუძლებლობა იყო.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით, სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს მხარის სასარგებლოდ, კერძოდ, იმგვარად, რომ დაცული იქნეს გასაჩივრების უფლების მქონე მხარის უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სასამართლო ხელმისაწვდომობის პრინციპი ასახულია სსკ-ის მე-2 მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. კანონის აღნიშნული ჩანაწერი არ არის ფორმალური ხასიათის და ემსახურება ამ უფლების რეალიზაციას. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდანაც. შედეგად, გააუქმა განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და დააბრუნა ხელახლა განსახილველად.¹¹⁰

3.2.7. დაზღვევა

3.2.7.1. სსკ-ის 829-ე მუხლი

✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევა, იმგვარად, რომ არ მოხდეს მზღვეველთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების არაკეთილსინდის-

¹¹⁰ სუსგ №ას-731-2020, 8 ოქტომბერი, 2021.

სიერი წახალისება და ამით, საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

✓ **მძლოლის მხრიდან მარტივი გაუფრთხილებლობა არ იქნა მიჩნეული მზღვეველის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.**

დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში,¹¹¹ სასამართლომ მიიჩნია, რომ მძლოლის ბრალეულობა გამოიხატა სწორედ მარტივ გაუფრთხილებლობაში და არა განზრახვასა თუ უხეშ გაუფრთხილებლობაში. მძლოლის საჭესთან ჩაძინება სასამართლომ აუცილებელი ყურადღებიანობის დარღვევად არ შეაფასა, რის გამოც არ გამორიცხა მზღვეველის პასუხისმგებლობა და მას შესაბამისი ანაზღაურება დაეკისრა.

✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში, თუმცა, თითოეული სამართლებრივი სისტემა ბრალის საკითხისადმი კონცეპტუალურად განსხვავებულ მიდგომას ავლენს: საერთო სამართლის სივრცეში ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა არ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას, იგი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს, ხოლო ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება უპირობოდ ბრალზე დამოკიდებული რჩება. ამრიგად, საერთო სამართალი, ვალდებულების დარღვევის საფუძვლად ბრალის არსებობის განსაზღვრით, დასაწყისშივე გამორიცხავს არაბრალეული შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. კონტინენტურ სამართალში ვალდებულების შეუსრულებლობა, მოვალის ბრალეულობის მიუხედავად, აფუძნებს ვალდებულების დარღვევის ობიექტურ კატეგორიას, რაც განაპირობებს მეორადი მოთხოვნის უფლებისადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობას, ხოლო ბრალი, როგორც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის უზოგადესი წინაპირობა, მნიშვნელობას იძენს გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლების განსაზღვრისათვის მას შემდეგ, რაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის დასრულებული შემადგენლობა. კრედიტორის ბრალი გავლენას ახდენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობაზე, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობაზე აისახება. სსკ-ის 395-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფის I აბზაცისა, რომლის თანახმად, მოვალე პასუხს აგებს განზრახვის ან გაუფრთხილებლობისათვის, თუკი უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი ან არ გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან (იხ.: ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ. 375).

¹¹¹ სუსგ №ას-1479-2019, 21 იანვარი, 2020.

✓ სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ჯერ კიდევ, რომის კერძო სამართალი განზრახვად (დოლუს) მიიჩნევდა პირის მიერ შეგნებულად მოქმედების ჩადენას მისი მართლწინააღმდეგობის გათვალისწინებით, ხოლო გაუფრთხილებლობად (culpa) – საჭირო წინდახედულობისა და ყურადღების არგამოჩენას, არასაკმარის სწრაფვას არამართლზომიერი შედეგის თავიდან ასაცილებლად, ოღონდ ბოროტების ჩადენის პირდაპირი სურვილის – განზრახვის გარეშე. გაუფრთხილებლობა რომის სამართალში იყოფოდა უხეშ (culpa lata) და მარტივ (culpa levis) გაუფრთხილებლობად. მიჩნეული იყო, რომ უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა ის, ვინც არ ღებულობდა ისეთ ზომებს, რომელსაც მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე ნებისმიერი ნორმალური, გონიერი ადამიანი, ხოლო მარტივ გაუფრთხილებლობად ითვლებოდა ისეთი ზომების მიუღებლობა, რომელსაც მიიღებდა წინდახედული მესაკუთრე. განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის ფორმებს, ასევე იცნობდა ძველი ქართული სამართალიც, კერძოდ, „მცირე სჯულის კანონი,“ ასევე მასზე დაფუძნებული ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ჩამოყალიბებული ბრალის კონცეფცია, ხოლო მოგვიანებით, დავით ბატონიშვილის სამართლებრივი მოძღვრება (იხ.: გარიშვილი, დავით გიორგის-ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 2004, გვ. 145).

განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. შესაძლებელია, ხელშეკრულების მხარეს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ნამდვილ ვითარებაზე – ცდებოდეს როგორც კონკრეტულ ფაქტებში, ასევე სამართლის ნორმის შინაარსში, არ ცნობდეს თავს ვალდებულად. ამ შემთხვევაში განზრახი ბრალის არსებობა გამოირიცხება, სანაცვლოდ მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, რადგან ვალდებულების დარღვევა განიხილება როგორც მისი დაუდევარი მოქმედების შედეგი. განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“ (იხ.: Palandt/Heinrichs, §276. Rn.6. Staudinger/Löwisch, §276. Rn.15.). ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების ცოდნას და გაცნობიერებას იურიდიული

დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ დატვირთვას ანიჭებს (იხ.: Principles of European Contract Law. Part I and II – Revised 1998, Part III, 2003. www.lexmercatoria.org). განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორცაა ნებლობითობა – გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახვი ბრალის სახეობად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს (იხ.: ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 383).

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულვებლყოფას. კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგიისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას,“ რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა (იხ.: ცვაიგერტი/კიოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 2001, გვ. 290).

გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფის II აბზაცის თანახმად, გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ყურადღებიანობას (Staudinger/Lowisch, §276. Rn. 26. Bamberger/Roth (Hrsg) Gruneberg §276. Bd. 1. Rn.17).

√ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მოვალე სუბიექტურად რამდენად უნარიანია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. მას მოეთხოვება წინდახედულობის ის ხარისხი, რაც ჩვეულებრივ მიღებულია სამოქალაქო ბრუნვაში და მოსალოდნელია მისი პროფესიის საშუალო დონის წარმომადგენლისაგან (იხ.: ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2009, გვ. 150). გაუფრთხილებლობისას გამორიცხება სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობა და კეთილგონიერება, რასაც ვალდებულება, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით, აკისრებს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტს. ხშირად გაუფრთხილებლობა გულისხმობს გონივრული მოქმედების განუხორციელებლობას მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად ან ზიანის შესამცირებლად, თუმცა განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობა ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის გარეშე (იხ.: ჭანტურია/ზოიძე/ნინი-

ძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2001, გვ. 386). გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და (culpa lata) და მარტივი გაუფრთხილებლობა (culpa levis). უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი, გონივრული წინდახედულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონი. ევროპული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში განზრახვი ქმედება მოიცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად მიიჩნევა დოლუს ევენტუალის-ად (არაპირდაპირ განზრახვად) (Lando/ Beale, Principles of European Contract Law. Part I and II. Kluwer Law International. The Hague/London/Boston, 2000, 125). მაგალითად, ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებულად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე, უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც, პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას პირი არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად. ამრიგად, ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და მარტივ გაუფრთხილებლობას. ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების მიერ განზრახვის კატეგორიაში უხეში გაუფრთხილებლობის გაერთიანებას განსაზღვრული საფუძველი აქვს. ამის მიზეზი უნდა იყოს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნის არსებობა – ორივე შემთხვევაში პირის მიერ საკუთარი ქმედების სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებისა და მისი შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც არ ახასიათებს მარტივ გაუფრთხილებლობას. ამრიგად, ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპებში განვითარებული პოზიციის მიხედვით, განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებლად გულისხმობს მხარის გაცნობიერებულ ქმედებას.

დაზღვევის სახელმეკრულებო-სამართლებრივ ერთ-ერთ საქმეში,¹¹² საკასაციო სამართალმ ავტოსაგზაო შემთხვევის შინაარსის გათვალისწინებით, **მძლოლის ქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად მიიჩნია და განმარტა, რომ:**

✓ „ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ დადგენილია

¹¹² სუსგ №ას-462-2022, 24 ივნისი, 2022, იხ. ასევე სუსგ №ას-ას-654-2019, 26.06.2020.

მთელი რიგი რეგულაციები ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მიმართ და მათ ევალუატი იცოდნენ თავიანთი ვალდებულებები, დაიცვან ისინი ზედმინევენით და ავტოსატრანსპორტო საშუალება მართონ გონივრული და სათანადო წინდახედულობის ფარგლებში. შესაბამისად, თუ დადგინდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ არ ჰქონდა ადგილი კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევას და იგი ავტომანქანას მართავდა სათანადო წინდახედულობის ფარგლებში, მისი ქმედება არ შეიძლება შეფასდეს განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობად. ამასთან, მოძრაობის წესებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დადგენილი სიჩქარის ფარგლებში დანესებულ ზოლებში მოძრაობა, რისი დარღვევაც უპირატესად იწვევს მძიმე შედეგს. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლს ევალუება განსაკუთრებული გულისხმიერებითა და ზედმინევენით დაიცვას აღნიშნული წესები.“

- √ რაც შეეხება თავად უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობას, როგორც სამართლებრივად სანქცირებულ ქმედებებს, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ: „სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით.“
- √ სხვა საქმეში, სასამართლომ განმარტა, რომ **„მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, დაუდევრად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არდათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა. შ.“**

მძღოლი მოძრაობდა 60 კმ/სთ სიჩქარით და ავტოსაგზაო შემთხვევა გამომწვეულ იქნა არა სიჩქარის გადაჭარბებით, არამედ სადავო საგზაო მონაკვეთის რელიეფიდან (გრუნტიანი) გამომდინარე. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მოქმედებდა მარტივი გაუფრთხილებლობით, რაც სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლად ვერ იქნება განხილული. ამდენად, არსებობდა მოპასუხისთვის თანხის დაკისრების წინაპირობა.¹¹³

- √ კონკრეტულ დავაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ **დამზღვევის მხრიდან**

¹¹³ სუსგ №ას-225-2022, 28 ივნისი, 2022, ასევე იხ. სუსგ-ები: №ას-1479-2019, 21 იანვარი, 2020, №ას-1107-2021, 28 დეკემბერი, 2021.

არ გამოვლენილა უხეში გაუფრთხილებლობა და არამართლზომიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე, კერძოდ, დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა დასაშვები იყო არაუმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით. მოსარჩელე კი მოძრაობდა დაახლოებით, 70 80 კმ/სთ სიჩქარით, რაც ფაქტობრივად არ არის სიჩქარის იმ ხარისხით გადაჭარბება, რომ მძღოლის მხრიდან აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევად შეფასდეს.

√ საკასაციო სასამართლოს არაერთი განმარტების მიხედვით, გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80 100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანხვედნილი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე, სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არდათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე, ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა. შ.

პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში მითითებული და დადასტურებული ფაქტების ერთობლიობა არ იძლევა მძღოლის მოქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას და არ დასტურდება მის მიერ დასაშვები მაქსიმალური სიჩქარის მნიშვნელოვნად გადაჭარბების ფაქტი, რაც აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევად შეფასდებოდა, აღნიშნული კი, დაუსაბუთებელს ხდის მოპასუხის მითითებას მძღოლის მხრიდან აუცილებელი ყურადღებანიობის (წინდახედულობის) მოთხოვნების დარღვევის უჩვეულოდ მაღალ ხარისხთან დაკავშირებით, რისი გათვალისწინებითაც, არამართლზომიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე.¹¹⁴

√ სსკ-ის 829-ე მუხლიდან გამომდინარე, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია **განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით**. ამასთანავე, შესაძლებელია, რომ თავად ხელშეკრულება შეიცავდეს **საგამონაკლისო დათქმებს**, ასეთ დროს, „**ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი, დამზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადანყდეს**. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ რა, ხელშეკრულებას, თავადვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ ნესებს,

¹¹⁴ სუსგ №ას-124-2022, 20 მაისი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1268-2021, 21 აპრილი, 2022, №ას-1121-2020, 24 დეკემბერი, 2021.

რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს.

- √ საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს.¹¹⁵

3.2.7.2. 832-ე მუხლი

- √ კონკრეტულ დავაში, სსკ-ის 832-ე მუხლის შინაარსთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის დანაწესი ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის ე. ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ასეთ შემთხვევაში ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით). სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან.
- √ სსკ-ის 832-ე მუხლით მინიჭებული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობაზე, კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე. ნორმა ითვალისწინებს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რომელიც დგება ზიანის მიყენების შედეგად. თავისთავად დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, რომლის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზშედეგობრივი კავშირი და ბრალი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მიზეზშედეგობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმე-

¹¹⁵ სუსგ №ას-1260-2021, 21 აპრილი, 2022, იხ.: ასევე №ას-1147-1067-2017, 29 დეკემბერი, 2017.

დებასა და დამდგარ შედეგს შორის.

მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი ოდენობით ზიანის მიყენებისა და მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი მზლვეველს მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოპასუხე მიყენებული ზიანის ოდენობას სადავოდ ხდის.¹¹⁶

- ✓ სსკ-ის 829-ე მუხლიდან გამომდინარე, მზლვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზლვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია **განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით**. ამასთანავე, შესაძლებელია, რომ თავად ხელშეკრულება შეიცავდეს **საგამონაკლისო დათქმებს**, ასეთ დროს, „**ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზლვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი დამზლვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს**. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ რა ხელშეკრულებას, თავადვე განსაზღვრვენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ ნესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს.
- ✓ **საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს.**¹¹⁷

3.2.7.3. ქირაჰმობა

თუ პირს ბინა საცხოვრებლად არ სჭირდება, მისი გაქირავება წარმოადგენს უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას.¹¹⁸

3.2.8. საბანკო კრედიტი

3.2.8.1. 873-ე მუხლი

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 873-ე მუხლის მიხედვით, კრედიტის გაცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ

¹¹⁶ სუსგ №ას-482-2022, 10 ივნისი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1523-2019, 24 იანვარი, 2020, №ას-809-776-2016, 4 აპრილი, 2017.

¹¹⁷ სუსგ №ას-1260-2021, 21 აპრილი, 2022, იხ.: ასევე სუსგ №ას-1147-1067-2017, 29 დეკემბერი, 2017.

¹¹⁸ სუსგ №ას-479-2020, 14 დეკემბერი, 2021, ასევე, სუსგ-ები: №ას-449-2021, 29 ოქტომბერი, 2021, №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016.

ცოტა, ორ ვადას და ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც კი, არ მოხდება გადახდა.

- ✓ სასამართლომ **განმარტა**, რომ ნორმის დანაწესი მიუთითებს მსესხებელს, რომ მონოდებული უნდა იყოს ვალდებულების ჯეროვნად შესრულების კენ, ხოლო კრედიტორის დისკრეციული უფლებამოსილება („შეუძლია“), შეწყვიტოს ან არ შეწყვიტოს სამართალურთიერთობა. მითითებული ნორმა ეხება საბანკო-საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტას კრედიტის არა მიმღების, არამედ გამცემის მიერ და ეს შესაძლებელია კანონიერი საფუძვლის არსებობისას. ასეთ საფუძვლად კი, მიჩნეულია კრედიტის ამღების მხრიდან კრედიტის ნაწილის სულ ცოტა, ორი ვადით გადახდის გადაცილება მაშინ, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება განსაზღვრულ დროში.
- ✓ ხელშეკრულების დადება, ისევე, როგორც შეწყვეტის უფლება, თავისუფალი კონტრაქტების ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი თავად წყვეტს, მიუხედავად კონტრაქტის მიერ ვალდებულებების დარღვევისა, დარჩეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში თუ შეწყვიტოს იგი. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება წარმოადგენს კრედიტის გამცემის უფლებას და არა მის ვალდებულებას.
- ✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკრედიტო ურთიერთობებში ხელშეკრულების არსებითი პირობაა შეთანხმება სარგებელსა და პირგასამტეხლობზე, რაც კანონიერია, არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს, საჯარო წესრიგს ან სამართლებრივ ფასეულობებს. ამგვარ გარიგებათა ლეგიტიმაცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგად, ისე სპეციალურ სამართალურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებში, რაც სრულიად გამორიცხავს ვარაუდს მისი არალეგიტიმურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საბანკო კრედიტს უკავშირდება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები (იხ.: „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი – მუხლი 1, „თ“ პუნქტი). ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია: „სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, ყოველთვის სარგებლიან სესხს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს.“ **შესაბამისად, გასაზიარებელი არაა კასატორის შედავება, რომ საკრედიტო დანესებულების მხრიდან ადგილი აქვს გამსესხებლის არაკეთილსინდისიერ ქმედებას საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისა და დაკისრების ნაწილში.**¹¹⁹

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით, ბანკთან შეთანხმებით კლიენტმა გენერალუ-

¹¹⁹ სუსგ №ას-91-2021, 22 აპრილი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-226-2019, 24 აპრილი, 2020, №1351-2019, 8.05.2020; №ას-66-2020, 21.07.2020, №ას-68-2020, 3 ივნისი, 2020, №ას-910-972-2014, 4 მარტი, 2015.

რი საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება, მაგრამ გათვალისწინებულ 1-თვიან ვადაში სესხის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა და არც სესხის თანხა აითვისა; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კლიენტს უმოქმედობისთვის პირგასამტეხლო დაეკისრა.

✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკრედიტო რესურსების (საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება) ხელშეკრულება ბანკის ოფციონალური უფლებიდან გამომდინარე, არ ავალდებულებს კრედიტორს, აუცილებლად გასცეს ამ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, ან მაინცდამაინც მისი ზღვრული მოცულობა, ამასთან, არც იმგვარ ვალდებულებას გულისხმობს, რომ მოვალემ (მსესხებელმა) მისთვის ზღვრული ლიმიტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა სრულად აითვისოს. საკრედიტო რესურსების ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე, ვიდრე ბანკი თავის ოფციონალურ უფლებას გამოიყენებს (მოვალეზე კრედიტს გასცემდეს), მას სჭირდება გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლოა მოხდეს როგორც სანივთო, ისე პიროვნული (პირადი) უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით. სწორედ ამიტომ არის სავალდებულო საბანკო რესურსების ხელშეკრულებაში მოვალისათვის გასაცემი კრედიტის მაქსიმალური ოდენობის წინასწარ განსაზღვრა, რადგან საკრედიტო პოლიტიკისა და სტრატეგიის საწინააღმდეგო იქნებოდა, საბანკო რესურსების ხელშეკრულების გაფორმება მომავალში გასაცემი კრედიტის წინასწარ უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების გარეშე. უზრუნველყოფის საშუალებების გამოსაყენებლად კი საჭიროა, განისაზღვროს კრედიტორის მიერ გასაცემი კრედიტის მაქსიმალური (ზღვრული) ოდენობა, რაც „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით კრედიტის ცნების განმარტებისათვის განსაზღვრული დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა.¹²⁰

3.2.8.2. საპროცენტო სარგებელი

✓ საკასაციო სასამართლომ, წლიური სარგებლის ოდენობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მხარეებს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, სარგებლის შეთანხმებული ოდენობა წლიური 10%-დან 22%-მდე განისაზღვრა, რაც საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისას ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის საშუალო მაჩვენებლისგან შეუსაბამო და მართლსაწინააღმდეგო პირობას არ წარმოადგენს.

✓ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის მე-10, 54-ე და 325-ე, 327-ე მუხლების შესაბამისად, საპროცენტო სარგებლის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების პირობების შინაარსიდან გამომდინარე, შესრულებასა და საპრო-

¹²⁰ სუსგ №ას-558-2021, 26 იანვარი, 2022. იხ.: ასევე სუსგ №ას-647-647-2018, 21 ოქტომბერი, 2019.

რისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობა არ არის, რაც ცხადყოფს, რომ სარგებლის მიმღები, კრედიტორი შესაბამის ნაწილში არ მოქმედებდა არაკეთილ-სინდისიერად. შესაბამისად, სასამართლომ უარყო პრეტენზია პროცენტის ოდენობის არაგონივრულობასთან დაკავშირებით.¹²¹

3.2.9. თავდებობის ხელშეკრულებისა და სოლიდარული ვალდებულების ურთიერთმიმართება

თავდებობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

- √ თავდებობა მიეკუთვნება მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას. იგი გახლავთ აქცესორული ხასიათის და პირდაპირ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების არსებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილენი არიან, ძირითადი ვალდებულების კრედიტორი და თავდები. თავდებობა შეიძლება იყოს: სუბსიდიური და სოლიდარული. სუბსიდიური თავდებობის შემთხვევაში, კრედიტორი არ არის უფლებამოსილი, ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართოს თავდებს, თუ მან ძირითადი მოვალის მიმართ არ სცადა იძულებითი აღსრულება. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ძირითადი მოვალის მიმართ სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები უშედეგო აღმოჩნდება, მას უფლება აქვს მიმართოს თავდებს ძირითადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სუბსიდიური თავდებობა, თანამედროვე საქმიან ურთიერთობებში არაპრაქტიკულად მიიჩნევა და შესაბამისად, ნაკლები დაინტერესებით გამოირჩევა.
- √ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, განსაკუთრებით საფინანსო ინსტიტუტები, ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ თავდებობის ისეთი ფორმა, რომელიც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველად იქცევა. აღნიშნული განპირობებულება იმით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მისთვის ყველაზე ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენს. ამ დროს კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნით მიმართოს როგორც ძირითად მოვალეს, ასევე თავდებსაც ან/და რამდენიმე თავდებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- √ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სოლიდარული თავდებობა და თანათავდებობა. სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში, შესაძლებელია თავდებს მოთხოვნა წაეყენოს ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულების მცდელობის გარეშე. რაც შეეხება ე.წ. თანათავდებობას, ის ხასიათდება მხოლოდ ძირითად მოვალესა და რამდენიმე თავდებს (სოლიდარული მოვალეები) შორის წარმოშობილი ურთიერთობით. ეს ის შემთხვევაა, როცა რამდენიმე თავდები ერთიანდება ერთი და იმავე ვალდებულების უზრუნველყოფის გარეშე. ასეთ დროს მნიშვნე-

¹²¹ სუსგ №ას-386-2019, 2 აპრილი, 2021, იხ.: ასევე სუსგ №ას-647-647-2018, 21 ოქტომბერი, 2019.

ლობა არ აქვს ისინი ამ ურთიერთობაში ერთობლივად ჩაებნენ თუ დამოუკიდებლად. სახეზე მაინც სოლიდარული ვალდებულება იქნება და კრედიტორი უფლებამოსილი იქნება, შესრულება თითოეული მათგანისგან მოითხოვოს.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები წინასწარ იქნება განსაზღვრული და ის ძირითად ვალდებულებაზე ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ საქმე გვაქვს არა სოლიდარულ, არამედ წილად ვალდებულებასთან. შესაძლებელია, რამოდენიმე სოლიდარულმა თავდებმა იკისროს ძირითადი ვალდებულების ნაწილის უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს უფლება ექნება, ნებისმიერი თავდებისგან მოითხოვოს იმ ოდენობის შესრულება, რაც მათ თანათავდებობით იკისრეს. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულების სრულ ღირებულებასთან მიმართებაში საქმე გვაქვს წილობრივ პასუხისმგებლობასთან, თანათავდებების მიერ ვალდებულების ნაკისრი წილის ფარგლებში, საქმე გვაქვს სოლიდარულ ვალდებულებასთან.
- ✓ სსკ-ის 895-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებს ძირითადი მოვალის გაფრთხილებაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევასა და ძირითადი მოვალის აშკარა გადახდის უუნარობაზე. აღნიშნული ნორმის დანაწესი განხილული უნდა იქნეს, როგორც თავდების ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, რათა მისი უფლებები უსაფუძვლოდ არ შეილახოს. ერთ-ერთი თავდების მიერ კრედიტორის სრულად დაკმაყოფილება ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ თავდებებსაც. თუ ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს დარჩენილი ნაწილის და არა მთლიანი ვალდებულების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმები.
- ✓ როდესაც თავდებობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ სოლიდარულ ვალდებულებაზე საუბარი, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულებების გარდა, წარმოეშობათ რიგი უფლებები, რომლითაც ისინი კრედიტორის წინაშე იცავენ თავს. სსკ-ის 899-ე მუხლის დანაწესი თავდებს ანიჭებს უფლებას, რომ კრედიტორს წაუყენოს ის შესაგებლები, რომელიც ძირითად მოვალეს ეკუთვნის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავდები არ კარგავს შესაგებელზე უფლებას, თუ მასზე ძირითადმა მოვალემ უარი განაცხადა. მოვალე ფიზიკური პირის გარდაცვალება, არ გამორიცხავს თავდების მიერ ზემოაღნიშნული შესაგებლით სარგებლობის უფლებას. განსხვავებულად რეგულირდება მემკვიდრისა და თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები. ძირითადი მოვალის მემკვიდრე პასუხს აგებს მხოლოდ სამკვიდროს აქტივის ფარგლებში, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო. ანუ გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრის მიმართ მოქმედებს შეზღუდული პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე და ის მაინც იმ ფარგლებშია პასუხისმგებელი, რასაც თავდებობის ხელშეკრულება ითვალისწინებს.¹²²

¹²² სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

✓ **სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდების პრეტენზია მის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, მოვალის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით და მიიჩნია, რომ იგი მოვალესთან ერთად წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს სსკ-ის 463-ე მუხლის საფუძველზე და მის მიმართ სარჩელის აღძვრა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევს.**

საქმის ფაბულის მიხედვით, თავდებმა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტორის მოთხოვნას დაუპირისპირა მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი. თავდების განცხადებით, სარჩელი არ იყო ძირითადი მოვალის მიმართ აღძრული, რის გამოც სარჩელის ხანდაზმულობის ვადა არ შეწყვეტილა, რომლის გასვლის შემდეგაც თავდებს კანონი უფლებას ანიჭებს, ძირითადი მოვალის ნაცვლად, ამ საფუძვლით წარადგინოს შესაგებელი.

საკასაციო სასამართლომ კრედიტორის სარჩელი თავდების წინააღმდეგ დააკმაყოფილა და **განმარტა:**

✓ სსკ-ის 895-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – სოლიდარული თავდებობა, ჩვეულებრივი თავდებობისაგან იმით განსხვავდება, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოსთხოვოს სოლიდარულ თავდებს ვალდებულების შესრულება, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდის უუნარობა აშკარაა, ამდენად, ამ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 895-ე მუხლი წარმოადგენს, იმავდროულად, სსკ-ის 463-ე მუხლების თანახმად, მოპასუხე სოლიდარული მოვალეა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს შეუძლია საკუთარი არჩევით შესრულება მოითხოვოს, როგორც ერთ-ერთი, ისე ყველა თავდებისაგან, როგორც მთლიანად, ისე – ნაწილობრივ. მთლიანად შესრულებამდე სოლიდარული მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება (სსკ-ის 465-ე მუხლი). სოლიდარულ თავდებობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ კანონი იცნობს თავდების უფლებადამცავ დანაწესებსაც, რომელთაგან, განსახილველ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები 899-ე მუხლი (თავდების უფლება შესაგებელზე). მოხმობილი ნორმის თანახმად, თავდებს ძირითადი მოვალის ყველა შესაგებლის წარდგენის უფლება გააჩნია მაშინაც კი, თუ ძირითადი მოვალე უარს იტყვის შესაგებლის უფლებაზე, ამასთან, თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.

✓ სოლიდარული თავდებობისას კრედიტორი ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების გარეშეც უფლებამოსილია, უშუალოდ თავდებს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (სსკ-ის 895-ე მუხლი), რა დროსაც თავდები შესრულებაზე ვალდებული პირია. სოლიდარული თავდებობის არსი სწორედ თავდების მიერ ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფისათვის ვალდებულების შესრულების თანაბარმნიშვნელოვნად კისრებაა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდების პრეტენზია და მიიჩნია, რომ იგი მოვალესთან ერთად წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს სსკ-ის 463-ე მუხლის სა-

ფუძველზე და მის მიმართ სარჩელის აღძვრა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევს.¹²³

3.3. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

3.3.1. საზიარო საკუთრება

- ✓ საკასაციო სასამართლომ, საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით წარმოებულ დავაში, მოპასუხის პრეტენზია, რომ საზიარო ნივთის აუქციონზე გაყიდვის შემთხვევაში მისი წილის შესაბამისი ამონაგები თანხით ვერ შეძლებს სხვა საცხოვრისის შეძენას და დარჩება ღია ცის ქვეშ, სამართლებრივად კვალიფიციურ შედეგებად არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოება დადასტურების შემთხვევაშიც, საზიარო უფლების გაუქმების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის და კმაყოფილების დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ვინაიდან საკანონმდებლო ნორმები ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებენ.
- ✓ სასამართლომ აღნიშნა, რომ საზიარო უფლების გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება მოპასუხის პრეტენზია, რომ იგი მზადაა შეისყიდოს საზიარო საგანი, ვინაიდან აღნიშნული შეთავაზება თავისი შინაარსით მორიგების პირობაა, მხარეთა მორიგების საკითხი კი, თავად მხარეთა თავისუფალი ნებინდან გამომდინარე დავის გადაწყვეტის შესაძლო გზაა, რის თაობაზეც სასამართლო ვერ იმსჯელებს.

მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაცაა შესაძლებელი, მათ შორის იძულებითი აღსრულების დაწყებამდეც და მისი მიმდინარეობისას. დამატებით, მოპასუხეს შეუძლია საზიარო საგნის დანარჩენი ნაწილის აუქციონზე შეძენაც.¹²⁴

- ✓ კონკრეტულ დავაში, საქმეში წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად, მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებას მხოლოდ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ნაგებობები წარმოადგენს, თუმცა **მიწის ნაკვეთის კონკრეტული წილობრივი კუთვნილება, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ასეთ ვითარებაში კი, თანამესაკუთრეთა წილების დასადგენად გამოიყენება სსკ-ის 954-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.** ასეთ შემთხვევაში, საკუთრების უფლებაზე გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ფლობა და უპირატესობა საჯარო რეესტრში ასახულ მონაცემებს უნდა მიენიჭოს (სსკ-ის 311-ე და 312-ე მუხლები).¹²⁵
- ✓ საკასაციო სასამართლომ საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა/

¹²³ სუსგ №ას-844-2019, 5 მარტი, 2021.

¹²⁴ სუსგ №ას-467-2021, 5 ნოემბერი, 2021.

¹²⁵ სუსგ №ას-365-2021, 20 აპრილი, 2022, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-1486-2020, 6 ოქტომბერი, 2021, №ას-37-2020, 16 დეკემბერი, 2020.

შეუძლებლობაზე განმარტა, რომ:

საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა/შეუძლებლობაზე დათქმას შეიცავს სსკ-ის 963-ე მუხლი, რომლის თანახმად, საზიარო უფლების ნატურით გაყოფის წინაპირობა მაშინ იარსებებს, როცა შესაძლებელი იქნება საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა ღირებულების შემცირების გარეშე, ხოლო, თუ ამგვარი გაყოფა შეუძლებელია, მაშინ საზიარო საგნის ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაშია განმარტებული. ასეთი წესით საზიარო ქონების გაყოფისათვის გარკვეული წინაპირობების არსებობაა საჭირო, კერძოდ: საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: **1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე.** ამდენად, სსკ-ის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. **ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიზარება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება,** რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა.

ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ე.ი. დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება.

დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად. მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის იდეალური წილის იმგვარი გამოყოფა, რომლითაც დაცულია ამ უკანასკნელის საზიარო საგნის გაყოფამდე არსებული მდგომარეობა (ღირებულება), საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით, სსკ-ის 963-ე მუხლის კონტექსტით, ლეგიტიმურს არ ხდის, თუ დაცული და შენარჩუნებული არ არის სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის მდგომარეობა (ღირებულება).

√ საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ თანასაკუთრების გაყოფა მის მიერ მოთხოვნილი წესით შესაძლებელია, მოსარჩელეს ეკისრება. ნატურით გამიჯვნის მოთხოვნისას, სადავობის შემთხვევაში, სასამართლო, 963-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამონებს გაყოფის შედეგად მიღებული საგნების ერთგვაროვნებას და ლი-

რებულებას, რაც გაყოფის შედეგად მიღებული საგნების (მინის ნაკვეთების) ფუნქციური დანიშნულების და მისი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას, ასევე ინფრასტრუქტურულ მოწყობასაც ითვალისწინებს.¹²⁶

3.3.2. უსაფუძვლო გამდიდრება¹²⁷

3.3.2.1. 982-ე, 163-ე მუხლები

ხელყოფის კონდიქციასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

- √ ხელყოფის კონდიქციიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობას. მართალია, დოქტრინაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ხელყოფის კონდიქცია დელიქტური სამართლის განვრცობას წარმოადგენს, თუმცა, ხელყოფის კონდიქციას დელიქტისგან არსებითად განასხვავებს ის, რომ მისგან (ხელყოფის კონდიქციისგან) წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელ წინაპირობას ბრალეულობა არ წარმოადგენს.
- √ სსკ-ის 982-ე მუხლის სამართლებრივი ბუნება და მისგან გამომდინარე შედეგები კავშირშია სსკ-ის 164-ე მუხლთან და მასში განმტკიცებულ სანივთო უფლებასთან: ნივთის მფლობელობისას მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მფლობელობა წარმოშობს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენების აუცილებლობას სსკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე. სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ქონებრივი წონასწორობის აღდგენის მიზნით ხელმყოფს ეკისრება, რომ მის მიერ დაზოგილი სიკეთე – მოცემულ შემთხვევაში დაზოგილი ქირა (რომელსაც იგი გადაიხდიდა, თუკი მესაკუთრესთან, ან სხვასთან, სამართალურ-თიერთობაში იქნებოდა) აუნაზღაუროს მესაკუთრეს, რომელმაც ვერ მიიღო შესაბამისი სარგებელი და განიცადა ქონებრივი დანაკლისი.
- √ საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ განცდილი ზიანის ანუ დაზოგილი სიმდიდრის (გამდიდრების) ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს. ზიანის ანაზღაურება, ანუ გამდიდრების გათანაბრება, უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას მოჰყვეს დარღვეული ქონებრივი ბალანსის აღდგენა და არა პირუკუ შედეგი – დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.¹²⁸

¹²⁶ სუსგ №ას-365-2021, 20 აპრილი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1977-2018, 22.03.2019, №ას-1080-1000-2017, 27.10.2017 №ას-39-39-2016, 1.03.2016, №ას-661-628-2014, 30.09.2015, №ას-67-65-2014, 31.07.2014, №ას-1653-1550-2012, 15.04.2013, №ას-1089-1020-2012, 8.10.2012, №ას-932-875-2012, 17.09.2012, №ას-1665-1562-2012, 4.02.2013.

¹²⁷ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალთან დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა დამატებით იხილეთ: მ. ახალაძე, უსაფუძვლო გამდიდრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, (2005-2018 წლის I ნახევარი), თბილისი, 2019, www.supremecourt.ge, უზენაესი სასამართლოს გამოცემები; ასევე, მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ. 166, www.supremecourt.ge, უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

¹²⁸ სუსგ №ას-586-2021, 24 დეკემბერი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-504-2019, 13.03.2020, №ას-638-2020, 28.10.2020, №ას-479-2021, 15.10.2021.

3.3.2.2. 990-ე მუხლი

სასამართლომ არაუფლებამოსილი პირის მიერ ქონების უსასყიდლოდ განკარგვის თაობაზე განმარტა შემდეგი:

√ სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვება, განხორციელებულად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, როცა უფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, სამართლებრივად ნამდვილი იქნებოდა, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობების დაცვას. კომპანიის დირექტორის, როგორც არაუფლებამოსილი პირის, ცალმხრივი ნების გამოვლენა (ცალმხრივი გარიგება) არანამდვილად აქცევს იმ სამართლებრივ შედეგს, რის საფუძველზეც კასატორი სადავო ქონების მესაკუთრე გახდა. შესაბამისად, მიტოვებულ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენა უნდა დაეფუძნოს სსკ-ის 990-ე მუხლს: „თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.“ მითითებული ნორმა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნას ეხება, მისი რეგულირების სფეროც მესამე პირზე ნივთის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევას მოიცავს და **ანესრიგებს მოქმედებას დასაჩუქრებული პირის მიმართ მაშინ, როცა უფლებამოსილი პირის ქონებას არაუფლებამოსილი პირი განკარგავს.** დასაჩუქრებული მესამე პირისაგან (ამ შემთხვევაში სახელმწიფო) ქონების დაბრუნების შესახებ უფლებამოსილი პირის სარჩელის წარმატებულობისათვის უნდა ვლინდებოდეს შემდეგი წინაპირობები: **უფლებამოსილი პირის უფლება მესამე პირისათვის გადაცემულ ქონებაზე და არაუფლებამოსილი პირის მიერ ამ ქონების მესამე პირისათვის უსასყიდლოდ გადაცემა.**

კონკრეტულ შემთხვევაში, კომპანიის დირექტორმა, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, უსასყიდლოდ (ქონებაზე საკუთრების მიტოვების განცხადებით) გადასცა სახელმწიფოს სხვისი ქონება, შესაბამისად, რადგან ქონების გაჩუქების უფლებამოსილება მის მესაკუთრეს გააჩნია, დასაჩუქრებულმა სწორედ მას უნდა დაუბრუნოს მიღებული ქონება. ამ შემთხვევაში ქონების უსასყიდლოდ მიღებს სახელმწიფოს, როგორც „დასაჩუქრებულს“, წარმოეშვა არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის შედეგად მიღებული ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების ვალდებულება, ამასთან სასყიდლიანისაგან განსხვავებით, უსასყიდლო განკარგვა სამართლებრივი დაცვის უფრო ნაკლები ხარისხით გამოირჩევა (იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, ტ. 2; გვ. 375-376);

√ სსკ-ის 990-ე მუხლის მიზანია არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგების სამართლებრივი მონესრიგება, ამდენად, ე.წ. „კეთილსინდისიერი შემძენი“ (ამ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელიც საკუთრების მიტოვების თაობაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ვითომ მესაკუთრის განცხადების საფუძველზე გახდა მესაკუთრე) არ მიიჩნევა განსაკუთრებული დაცვის ღირსად, რადგან მან უსასყიდლოდ მიიღო ქონება, ანუ „ნივთის შესაძე-

ნად არ გაუნწვია არანაირი ქონებრივი მსხვერპლი“ (იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 990, ველი 1, www.gccc.ge).¹²⁹

3.3.3. დელიქტი¹³⁰

3.3.3.1. 992-ე მუხლი

დელიქტური სამართალდარღვევიდან გამომდინარე, კონკრეტულ დავაში სასამართლომ, მოპასუხე-სამშენებლო კომპანიას სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების გამო მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა რა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით, განმარტა დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების, მათ შორის მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წანამძღვრები:

- ✓ საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაშია განმარტებული: „ზიანის დაკისრების მატერიალურ საფუძველს ქმნის სსკ-ის 992-ე მუხლი (დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების მარეგულირებელი ნორმა), რომელიც იმავდროულად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებს და შედეგადად შექმნის კომპონენტების ერთობლიობისაგან: ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირი და ბრალი. იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ, ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მართლწინააღმდეგობა გამონვეული უნდა იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ქმედებას უნდა მოჰყვეს ზიანი, ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამ პირობათა ერთობლიობა სავალდებულოა ზიანის იურიდიული შემადგენლობისათვის, ანუ დელიქტური ვალდებულების წარმოშობისთვის.“
- ✓ კანონმდებელი არ ადგენს ცალკეულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.
- ✓ არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის დროს ეროვნული სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ამ საკითხში უზენაეს სასამართლოს დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამონვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მი-

¹²⁹ სუსგ №ას-682-2021, 28 დეკემბერი, 2021, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-471-471-2018, 28.02.2019, №ას-392-392-2018, 30.07.2018.

¹³⁰ დელიქტის შესახებ სასამართლო პრაქტიკის თაობაზე დამატებით იხილეთ: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ. 171, www.supremecourt.ge უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

ზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული.“

სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.¹³¹

3.3.3.2. 999-ე მუხლი

საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

- √ სამოქალაქო კანონმდებლობა მომეტებული საფრთხის წყაროს იურიდიულ მფლობელთა მიმართ პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტს აწესებს, რაც ნივთის სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარეობს – გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ან გამოუსწორებელი ზიანი (ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ნივთის დაზიანება და ა.შ.). ნორმის მიზანია, ასეთი ნივთის იურიდიული მფლობელები აიძულოს, განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ თავიანთ საკუთრებაში არსებული საფრთხის შემცველი საშუალების გამოყენებიდან გამომდინარე შესაძლო ნეგატიურ შედეგებს.
- √ საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების კერძო შემთხვევაა და, მიუხედავად ბრალისა, მომეტებული საფრთხის წყაროს იურიდიულ მფლობელს (რომელიც შეიძლება მესაკუთრედაც განვიხილოთ) აკისრებს ზიანის ანაზღაურების

¹³¹ სუსგ №ას-1626-2018, 12 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019, №ას-866-816-2015, 12 თებერვალი, 1016, №ას-594-562-2015, 6, ნოემბერი, 2015, №ას-797-940-2015, 10 სექტემბერი, 2015, №ას-95-90-2013, 14 ივნისი, 2013.

ვალდებულებას, კერძოდ: სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. მოხმობილი ნორმა ადგენს სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელის ვალდებულებას, ნორმაში ჩამოთვლილ სიკეთეთა ხელყოფის შემთხვევაში, აგოს პასუხი. თავის მხრივ, ნორმის სუბიექტები არიან ვალდებული და დაზარალებული პირები. ვალდებულ პირად კანონი განიხილავს ნივთის მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრება მართლზომიერად აქვს მოპოვებული, თუმცა, მფლობელი, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი, შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ისე – არაპირდაპირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზე გვყავს კვლავ „მფლობელი“ (არაპირდაპირი) და „მოსარგებლე“ (პირდაპირი მფლობელი).

✓ სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამონკვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია. სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისსაც – ნივთის იურიდიულ მფლობელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები), მათ შორის მაშინაც, როდესაც სატრანსპორტო საშუალებას მართავდა სხვა პირი, თუმცა, ამ შემთხვევაში ვალდებული პირის დადგენა ხდება იმის მიხედვით, თუ რა გზით (იურიდიულად ნამდვილი უფლების საფუძველზე) აღმოჩნდა ნივთი მოსარგებლის ფაქტობრივი ბატონობის არეალში (ნორმის მე-4 ნაწილი). თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი) ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მიაყენებს ზიანს სხვას, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს.¹³²

✓ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლო იმსჯელა იმის თაობაზე, მხოლოდ

¹³² სუსგ №ას-77-2022, 20 მაისი, 2022, ასევე სუსგ-ები: №ას-1245-2020, 1 ივლისი, 2021, №ას-630-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-504-481-2016, 30.09.2016, №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010.

ზიანის მიმყენებელი და მომეტებული საფრთხის წყაროს იურიდიული მფლობელი წარმოადგენენ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირებს, თუ ამავე საგნის რეგისტრირებული მესაკუთრეც. ამ საკითხის შეფასების მიზნით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა მისსავე დადგენილ პრაქტიკაზე: „მესაკუთრემ სამართლებრივი საფუძვლით გადასცა მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთი დამქირავებელს (სსკ-ის 531-ე მუხლი) [განსახილველ შემთხვევაში, ლიზინგის ხელშეკრულებით], ხოლო ამ უკანასკნელმა, მართალია, დაარღვია გაქირავებული ნივთის ქვექირავნობით გადაცემის კანონმდებლობით დადგენილი წესი და გამქირავებლის თანხმობის გარეშე, გააქირავა ავტომანქანა, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია დაზარალებული მძღოლის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე ნივთის მესაკუთრისა და დამქირავებლის მიმართ. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, არც ავტომანქანის მესაკუთრეს და არც დამქირავებელს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ მიუყენებიათ ზიანი დაზარალებული მძღოლისათვის, შესაბამისად, თუკი არ არსებობს წინაპირობა, რომ ნივთის მესაკუთრე და დამქირავებელი მოქმედებდნენ, რათა ზიანი მიეყენებინათ დაზარალებული მძღოლისათვის, არ არსებობს ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის შედეგადაც დგება ზიანი, მაშასადამე, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა იმ პირისაგან, რომელსაც არ განუხორციელებია ქმედება და არ წარმოიშვება ასეთი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, მესაკუთრისა და დამქირავებლის დელიქტური მოქმედება არ არსებობს, შესაბამისად, ისინი ვერ აირიდებდნენ იმ ინციდენტს, რომელსაც მათთან არ აქვს კავშირი, რაც, მათ მიმართ, დაზარალებულის მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს გამოორიცხავს...“ საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პასუხისმგებელ პირთა წრეზე და განმარტა, რომ „საგზაო ინციდენტი გამონვეული იყო მართვის უფლების არმქონე მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით. ამ უკანასკნელის ხელთ ავტომანქანა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აღმოჩნდა მეგობრისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე არამართლზომიერად ჰქონდა მამისგან (მფლობელისაგან) მიღებული დაქირავებული ავტომანქანა. ავტომანქანის მფლობელმა, თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო ზიანის დადგომას, როდესაც დაქირავებული მანქანა, სიტყვიერი შეთანხმებით, გადასცა თავის შვილს, ამ უკანასკნელმა კი მეგობარს – მართვის უფლების არმქონე მძღოლს. შესაბამისად, ნივთის მესაკუთრისა და დამქირავებლის კავშირი დელიქტთან გამოორიცხულია... სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლებელია განხილული იქნეს ავტომანქანის მფლობელის [დამქირავებელი], მისი შვილისა და სამართალდამრღვევი მძღოლის მიმართ; ავტომანქანის მესაკუთრისა და დამქირავებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები უნდა გამოორიცხოს შესაბამისი წინაპირობების არარსებობის გამო.

√ სსკ-ის 999-ე მუხლის სუბიექტები არიან ვალდებულები და დაზარალებული პირები. ვალდებულ პირად კანონი განიხილავს ნივთის მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრება მართლზომიერად აქვს მოპოვებული, თუმცა მფლობელი, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი, შეიძლება

იყოს, როგორც პირდაპირი, ისე – არაპირდაპირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზე გვყავს კვლავ „მფლობელი“ (არაპირდაპირი) და „მოსარგებლე“ (პირდაპირი მფლობელი). სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისსაც, ნივთის იურიდიულ მფლობელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები), მათ შორის მაშინაც, როდესაც სატრანსპორტო საშუალებას მართავდა სხვა პირი, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებული პირის დადგენა ხდება იმის მიხედვით, თუ რა გზით (იურიდიულად ნამდვილი უფლების საფუძველზე) აღმოჩნდა ნივთი მოსარგებლის ფაქტობრივი ბატონობის არეალში (ნორმის მე-4 ნაწილი). თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი) და ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მიაყენებს ზიანს სხვას, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება მას და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ გადაუცია მოსარგებლისათვის იგი, ანდა გადაცემული ტრანსპორტი მოსარგებლემ გამოიყენა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კარები დატოვა ღიად, გასაღები დატოვა მასში). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ დაცვა, რაც გახდა სხვა პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალების დაუფლების საფუძველი. სხვა შემთხვევაა, როდესაც მფლობელის ნების საფუძველზეა მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალება.¹³³

3.3.3.3. სამედიცინო დელიქტები:

✓ ერთ დავაში, სასამართლომ უარყო რა პაციენტის სარჩელი კლინიკის წინააღმდეგ **განმარტა**, რომ ვინაიდან სარჩელის საგანს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს თავად ეს ხელშეკრულება, მის საფუძველზე მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სსკ-ის 629.1, 394-ე, 408.1 მუხლები, ასევე „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი წარმოადგენს, რომელთა ფარგლებში სარჩელი წარმატებულია, თუკი დადგინდა მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყოფნისა და მენარდის მიერ უხარისხო მომსახურების განწვევის ფაქტი.¹³⁴

საკასაციო პალატამ კონკრეტულ დავაში, სტაციონარში პირის იძულებით ყოფ-

¹³³ სუსგ №ას-1361-2018, 28 ივნისი, 2021, იხ. ასევე სუსგ-ები: № ას-1453-1373-2018, 09.03.2018. №ას-465-433-2018, 30.06.2017, №ას 504-481-2016, 30.09.2016, №ას-594-652, 06.11.2015, №ას-906-856-2015, 12 ნოემბერი, 2015, №ას-494-463, 09.11.2010, №ას-39-38-10, 15.07.2010.

¹³⁴ სუსგ №ას-1143-2019, 22 მარტი, 2021.

ნის გამო სამედიცინო დანესებულებას მორალური ზიანის – 5000 ლარის ანაზღაურება დააკისრა, შემდეგი მოტივაციით:

- ✓ სასამართლომ მიიჩნია, რომ სტაციონარში პირის იძულებით ყოფნა მაშინ, როცა ამის სამედიცინო ჩვენება რეალურად არ არსებობს, ვერ უზრუნველყოფს თავისუფლების შეზღუდვის ვერც სოციალურ და ვერც თერაპიულ მიზანს, რაც ინვეს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას და მოსარჩელეს ანიჭებს დაცვის ღირს ინტერესს.
- ✓ პალატამ აღნიშნა, რომ სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მოსარჩელის თანხმობის არარსებობის პირობებში მისი მოთავსება მოპასუხე სამედიცინო დანესებულებაში უნდა შეფასდეს არამართლზომიერ თავისუფლების შეზღუდვად, რომელიც ვერ იქნება გამართლებული, რამდენადაც არ აკმაყოფილებს კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც სავალდებულოა პირისათვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დასადგენად.
- ✓ სასამართლომ მოცემული შემთხვევა **მოსარჩელის პირადი ხელშეუხებლობის შელახვის ფაქტად მიიჩნია**, რასაც საფუძვლად დაედო სამედიცინო დანესებულების ექიმების გაუფრთხილებლობა – ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელება, ანუ საკითხის სრულყოფილი ანალიზის გარეშე დასკვნის შედგენა, რაც მოსარჩელეს ანიჭებს მორალური ზიანის მოთხოვნის უფლებას სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე და მეექვსე ნაწილების საფუძველზე.

მორალურ ზიანთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ ამავე საქმეში განმარტა:

- ✓ სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. აღნიშნული საკანონმდებლო მოწესრიგება მიზნად ისახავს შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება. მოსარჩელე მორალური ზიანის არსებობის ფაქტს უკავშირებს იმ ფსიქო-ემოციურ სტრესს, რაც მან განიცადა მოპასუხე სამედიცინო დანესებულებაში უკანონო მოთავსებით.
- ✓ **მორალური ზიანის მახასიათებელია ადამიანის ფსიქიკურ და სულიერ სფეროზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც გამოიხატება მის ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო, როდესაც მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა. შ. ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ ფსიქიატრიულ დანესებულებაში უკანონო მოთავსებით, მისი ხელშეუხებლობისა და თავისუფლების შეზღუდვით, განიცადა მძიმე სულიერი ტკივილი, ფსიქოლოგი-**

ური და ემოციური სტრესი, რის შესაბამისადაც არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასებით იკვეთება მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

- ✓ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული დამოკიდებულია პირის ფსიქიკურ სფეროზე ნეგატიური ზემოქმედების ხარისხსა და ხასიათზე, რასაც თავის მხრივ, კონკრეტული პირის სუბიექტური თავისებურებები განაპირობებს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები.¹³⁵

ერთ-ერთ დავაში, სასამართლომ პაციენტის მემკვიდრეებს კლინიკის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 100 000 ლარი დააკისრა.

- ✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული ოთხი წინაპირობის არსებობას მოითხოვს: უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ბრალი. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.
- ✓ პაციენტს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურება მისთვის ხელმისაწვდომი იყოს (უფლება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვაზე). პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.
- ✓ პაციენტის უფლება უსაფრთხოებაზე პრაქტიკულად, მოიცავს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვასა და პრევენციულ ღონისძიებებზე უფლებებს. ყველას აქვს უფლება გათავისუფლდეს იმ საფრთხეებისაგან, რომლებიც განპირობებულია ჯანდაცვის სამსახურების ცუდი ფუნქციონირებით, საექიმო გულგრილობით, სამედიცინო შეცდომებით და ხელი მიუწვდებო-

¹³⁵ სუსგ №ას-1129-2020, 16 მარტი, 2021, იხ.: ასევე სუსგ №ას-660-660-2018, 20.07.2018.

დეს სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობაზე, რომელიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს (ნუნუ კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2012, გვ. 94-96).

- ✓ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამონვეულია: პაციენტის უფლებების დარღვევით; მცდარი სამედიცინო ქმედებით.
- ✓ სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამონვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის შემთხვევაში, პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია მოითხოვოს პაციენტისათვის მიყენებული როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
- ✓ სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც.
- ✓ პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ იკვეთება. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერება და ყურადღებიანობა გამოიხატება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმინევენით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულებაში.
- ✓ მკურნალობის შედეგად გამონვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამონვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამონვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ თუ მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.
- ✓ საექიმო შეცდომად მიიჩნევა ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებები, რაც თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუა-

ლო მიზეზი გახდა. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტს მართლზომიერად და უშეცდომოდ უმკურნალეს, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანმდევ უარყოფით შედეგზე. ამდენად, ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა.

√ საექიმო შეცდომით პირისათვის მიყენებული ზიანი შესაძლოა იყოს როგორც ქონებრივი, ისე – არაქონებრივი. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა, გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებით, დამატებითი ხარჯების განხორციელებით და სხვა. ხოლო მორალური (არაქონებრივი) ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებსა და სულიერ ტკივილში, რომელსაც იგი განიცდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე შეაფასა შვილის გარდაცვალებით მშობლისათვის მიყენებული მორალური ზიანი და განმარტა: უდავოა, რომ ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებსა და სტრესულ მდგომარეობასთან... მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის (არაქონებრივი ზიანის) ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.

√ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სარიშვილი ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“, სამედიცინო შეცდომის გამო გარდაცვლილი პირის ცოცხლად დარჩენილი ახლო ნათესავის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიიჩნია სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ ფორმად, მისი განხორციელების მექანიზმის არარსებობა კი შეაფასა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევად სამოქალაქოსამართლებრივ დაცვის საშუალებებთან მიმართებით. მისი განმარტებით, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სამართლიანი დაცვის საშუალებების ერთ-ერთი ფორმა (იხ.: პოლ და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ((Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom), №46477/99, § 97 და 101, ECHR 2002-II; ბაბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bubbins v. the United Kingdom), N 50196/99, § 171, ECHR 2005-II (ამონარიდები); რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. the United Kingdom), №2694/08, §§ 65-68, 13 მარტი 2012 და მოვსესიანი სომხეთის წინააღმდეგ (Movsesyan v. Armenia), №27524/09, § 73, 16 ნოემბერი 2017). შედეგად, უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩივანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება (საქმე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ/CASE OF SARISHVILI-BOLKVADZE v. GEORGIA, საჩივარი №58240/08, 19.07.2018წ. გადანყვეტილება, 96-98; www.supremecourt.ge/files/

სხვა ანალოგიურ დავაში, კლინიკისათვის მკურნალობის ხარჯების დაკისრების თაობაზე მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ ასევე, სსკ-ის 1007-ე, 394-ე, 408-ე, 409-ე მუხლები, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სსკ-ის 413-ე მუხლი მიიჩნია. სასამართლომ პაციენტის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მათ შორის კლინიკას დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კატეგორიის დავებში პაციენტი (მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს) ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა სამკურნალო შეცდომას. თუ პაციენტის (მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის) განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის (მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის) მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა (მისმა ნათესავმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დანესებულების ვალდებულების დარღვევას.

✓ **„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველო კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების განწვევის აუცილებელი წინაპირობაა პაციენტის ინფორმირებული თანხმობის მიღება. ამავ კანონის მე-18 მუხლის თანახმად კი, პაციენტს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტი გულისხმობს კლინიკის ვალდებულებას, მიანოდოს პაციენტს ობიექტური და შინაარსობრივად ამომწურავი ცნობები, რომელიც ჩამოყალიბებულია ალქმადი, გასაგები და მისაღები ფორმით. პაციენტის აღნიშნული უფლება დაცულია არაერთი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტით, როგორცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (მე-8 მუხლი), ასევე, „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (მე-5 მუხლი). პაციენტის ინფორმირებული თანხმობა არ განიხილება, როგორც უბრალო ნების გამოვლენა, არამედ როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის შესაძლებლობას, გააკეთოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული არჩევანი დაგეგმილი სამედიცინო ჩარევის თაობაზე. მტკიცების ტვირთი ინფორმაციის და განმარტების ვალდებულების სრულფასოვან შესრულებაზე ეკისრება მოპასუხე კლინიკას. სწორედ მის ხელთ არის ყველა ის რესურსი და ბერკეტი, რომ შექმნას სარწმუნო მტკიცებულებები ინფორმირების ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად.¹³⁷**

¹³⁶ სუსგ №ას-38-2021, 18 მაისი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1800-2019, 20.02.2020, №ას-1124-1044-2017, 30.07.2018, №ას-1046-966-2017, 20.07.2018, №260-244-11, 27.06.2011, №1268-1526-09, 25.05.2010, №ბს-327-309(2კ-07), 16.05.2019.

¹³⁷ სუსგ №ას-253-2021, 11 ივნისი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-111-111-2018, 11 მაისი, 2018, №ას-645-2019, 26, ივლისი, 2019.

3.3.3.4. მტკიცების ტვირთი დელიქტურ ვალდებულებაში

- ✓ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის განხილვისას, მტკიცების ტვირთის ზოგადი წესიდან გამონაკლისის დადგენას არც პროცესუალური კანონმდებლობა და არც სამოსამართლო სამართალი (პრაქტიკა) არ იცნობს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დელიქტური ვალდებულების სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, მტკიცებულებათა წარდგენა უფრო ლოგიკური და ბუნებრივია, რომ დაეკისროს იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს, რომ მოპასუხე მხარის არამართლზომიერი ქმედების შედეგად ზიანი მიაღწა, ხოლო მოპასუხეს საკუთარი მტკიცების ფარგლებში ევალება, რომ წარადგინოს შედავება, რომელიც სრულად (ან ნაწილობრივ) გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის სავალდებულებლო წინაპირობებს (ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა ერთობლიობას).
- ✓ საკასაციო სასამართლომ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სამართალწარმოებებში მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეში ასევე, განმარტა: „დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრების მიზნებისათვის მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების წრეს განეკუთვნება თავად ზიანის არსებობის ფაქტი, მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და ზიანს შორის.“ მაშასადამე, მოსარჩელემ, სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენის გზით უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელი წინაპირობები, ხოლო საწინააღმდეგო გარემოებების მტკიცება მოპასუხეს ევალება, რისი დამაჯერებლად განხორციელებაც მოსარჩელისათვის არახელსაყრელ სამართლებრივ შედეგს განაპირობებს.
- ✓ დელიქტური მატერიალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის დაცვას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რადროსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმის გამორკვევას, თუ რა შემთხვევაშია მოთხოვნა განხორციელებადი. ამ მიზნის მისაღწევად მოსარჩელემ რამდენიმე სამართლებრივი კომპონენტის (ფაქტობრივი გარემოებების) ერთობლიობა უნდა დაადასტუროს.¹³⁸

3.3.3.5. დასაქმებულის სასარგებლოდ სარჩოს გადახდა

- ✓ დასაქმებულის სასარგებლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკის თანახმად, პრეზუმირებულია, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, დასაქმებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდამდე იქ-

¹³⁸ სუსგ №ას-1626-2018, 12 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე სუსგ №ას-80-80-2018, 20 აპრილი, 2018.

ნებოდა ვალდებული სანარმო ანაზღაურებინა მისთვის ხელფასი, რომ არ დამდგარიყო სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამასთან, საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მართალია, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, დაზარალებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა, თუმცა დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება სანარმოს.

დასაქმებულის სასარგებლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულება სანარმოს ეკისრება დაზარალებულის სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო დაკისრებული სარჩო ხელფასის ზრდის შესაბამისად გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება მას შემდეგ, რაც დაზარალებული საპენსიო ასაკს მიაღწევს.¹³⁹

¹³⁹ №ას-269-2022, 31 მაისი, 2022, ასევე, სუსგ-ები: №1216-1141-2015, 03 ივნისი, 2016, №1220-1145-2015, 03 ივნისი, 2016, №ას-1180-1141-2016, 31 მარტი, 2017, №ას-799-766-2016, 08 მაისი, 2017, №ას-1180-1141-2016, 07 აპრილი, 2017, №ას-57-57-2018, 8 თებერვალი, 2021.

4. საოჯახო სამართალი

4.1. სსკ-ის 1158-ე მუხლი

კონკრეტულ დავაში, სასამართლომ მეუღლეთა თანასაკუთრებად მიიჩნია და გაყო არაოფიციალური ქორწინების განმავლობაში, არამედ ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტამდე შექნილი ქონება.

- √ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლი შეიცავს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექნილი ქონების სამართლებრივ რეგულირებას. პრაქტიკულად, ნორმით განისაზღვრება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ქორწინების განმავლობაში) მეუღლეთა მიერ შექნილი ქონებაზე საკუთრების საკითხი, თუმცა, მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია არ არის განმსაზღვრელი საკუთრებაზე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის უფლებრივი რეჟიმის გასაავრცელებლად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ სადავო ნივთების შექნისას მეუღლეები აღარ აწარმოებდნენ საერთო მეურნეობას და ქორწინება, მიუხედავად რეგისტრაციის არსებობისა, ფაქტობრივად იყო შეწყვეტილი. კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, საერთო ქონება სსკ-ის 1158-ე მუხლის მიზნებისათვის იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძღოლითა და ერთობლივი შრომით.
- √ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტა შეიძლება ასევე, გახდეს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველიც, კერძოდ, სსკ-ის 1341-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება მეუღლეს ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ დავაში, ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის შემდეგ, მოპასუხის მიერ სადავო ქონება შექნილი არ არის ოჯახის საერთო ინტერესებისათვის და სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, რის გამოც სარჩელი ნაწილობრივ უარყო.¹⁴⁰

სსკ-ის 1158.1 მუხლის შინაარსის მიხედვით, ყველა ის ქონება, რომელიც მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს, მათი საერთო ქონებაა, თანასაკუთრებაა, გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა, კერძოდ, როდესაც მათ შორის, საქორწინო ხელშეკრულებით რაიმე განსხვავებული წესია დადგენილი. კანონის მითითებული ნორმის მიზნების მიხედვით, რომ თანასაკუთრებაში ქონების არსებობა, თავისთავად გულისხმობს, თითოეულ ამ ქონებაზე, ორივე მეუღლის (და, არა – ერთი მათგანის) საკუთრების უფლებას, ასეთი ქონება მეუღლეებს თანაბრად ეკუთვნით.

- √ სასამართლომ განმარტა, რომ თუკი მეუღლეთა თანასაკუთრებაში რამდენიმე

¹⁴⁰ სუსგ №ას-1226-2020, 25 მარტი, 2021.

მოძრავი ნივთია, ერთმანეთს შორის მათი გაყოფისას, უმთავრესია, რომ ყველა ამ ნივთზე თანამესაკუთრე მეუღლეთა უფლებები თანაბარნილად განისაზღვროს. ასეთი გზით თანასაკუთრების გაყოფა, მეუღლეთა კანონიერი ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა. სხვაგვარად, მეუღლეთა, როგორც თითოეული ასეთი ქონების თანამესაკუთრეთა უფლებების დაცვის მიზანი ვერ მიიღწევა, რადგან თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთებიდან რამდენიმე ნივთის გამოყოფისა და ერთ-ერთი მეუღლისათვის მიკუთვნების პირობებში, შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა – რამდენად იქნა დაცული წილთა თანაბრობის პრინციპი, რომლის არსიც თითოეულ მოძრავ ნივთზე თითოეული მეუღლის თანასაკუთრების უფლების არსებობაში მდგომარეობს.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მოსარჩელე ცნო, თითოეული მოძრავი ნივთის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.¹⁴¹

4.2. სსკ-ის 1160-ე მუხლი

სსკ-ის 1160-ე მუხლის დანაწესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

- √ სსკ-ის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მხოლოდ მეუღლეთა შეთანხმებითაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ამდენად, მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვა თანხმობა სავალდებულო გარეგებაა, რადგან მეორე მეუღლის თანხმობა გარიგების ნამდვილობის წინაპირობაა. სადავო ქონების გასასხვისებლად მოსარჩელის თანხმობის არარსებობა სადავო არ არის.
- √ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლის უფლება აბსოლუტური არ არის და ქონებაზე მესაკუთრედ დარეგისტრირებული პირის მიერ მეუღლეთა თანასაკუთრების (მათ შორის მეორე მეუღლის წილის) გასხვისებისას, მეორე მეუღლის საკუთრებითი უფლებამოსილების რეალიზაცია განსაზღვრულ გარემოებაზე, კერძოდ, შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადგენაზე დამოკიდებული. სსკ-ის 1160-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების დანაწესთა (3. თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას, დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. 4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებლის გარდა არსე-

¹⁴¹ სუსგ №ას-427-2020, 23 თებერვალი, 2022.

ბოხს სხვა თანამესაკუთრე(ც) საფუძველზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის დროს სადავო ქონებაზე მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლის შედავება, ქონების გასხვისების გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაპირობებს, თუ დადგინდება, შემძენმა არა მხოლოდ იცოდა ნასყიდობის საგანზე სხვა მესაკუთრის არსებობის თაობაზე, არამედ ამავდროულად, ინფორმირებული იყო, რომ ქონების მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლე ქონების გასხვისების წინააღმდეგი იყო. სხვა შემთხვევაში პრეზუმირებულია, რომ რეგისტრირებული მესაკუთრე მოქმედებს მეუღლესთან ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შემძენი შეძენის ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ დავაში, მეუღლეთა კონფლიქტის შესახებ შემძენისათვის ცნობილი იყო. ასეც რომ არ იყოს, როდესაც გარიგება ნათესავებს ან სხვა ოჯახის წევრებს შორის იდება, ისედაც ივარაუდება, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილი იყო ქონების ნაკლის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია, შემძენი გამსხვისებლის ახლო ნათესავი – დეიდაშვილია. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ქონების დასაკუთრების დროს მოპასუხისთვის კარგად იყო ცნობილი, ერთი მხრივ, მეუღლეთა გამწვავებული ურთიერთობის, ხოლო მეორე მხრივ, სადავო ქონებაზე მოსარჩელის თანასაკუთრების უფლების არსებობის შესახებ, გამორიცხავს შემძენის კეთილსინდისიერებას.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა შორის დადებული გარიგებები არ ასახავდა კონტრაჰენტთა ნამდვილ ნებას და ფორმალურად, მხოლოდ იმ მიზნით დაიდო, რათა მოსარჩელეს წართმეოდა ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონებიდან წილის მიღების შესაძლებლობა.¹⁴²

4.3. ალიმენტი

ალიმენტის თაობაზე ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო სასამართლომ მიუთითა:

✓ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, §83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, §59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადაწონოს მშობლების ინტერესი (Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, §66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, §83, 15 April 2014, Scozzar and Giunta v. Italy [GC], no. 39211/98 and 41963/98,

¹⁴² სუსგ №ას-1400-2020, 29 აპრილი, 2022, იხ.: ასევე №ას-571-879-09, 30 აპრილი, 2010, №ას-1432-2019, 22 იანვარი, 2020.

§169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. the United Kingdom. no. 56547/00, §177, ECHR 2002-VI).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში, „ნ. ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,“ მიუთითა, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს.“

✓ **სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა.** აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საკითხი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (იხ.: ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, №25735/94, 31.07.2000, par. 52 და *TK and KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, TK and KM v. UK*, №28945/95, 10.05.2001, პარ. 72).“

სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საქორწინო ხელშეკრულება ესაა გარიგება, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს – მეუღლეებს, ჩამოაყალიბონ თავიანთი მატერიალური და მორალური ვალდებულებები ერთმანეთისა და შვილების მიმართ, განსაზღვრონ მათთვის ხელსაყრელი პირობები, რომელიც შეიძლება ასახავდეს ქორწინების განმავლობაში არსებულ ურთიერთობებსაც და განქორწინების შემთხვევაში დავებისა და სხვა ცალკეული საკითხების მოგვარების წესსაც (სსკ 172-ე-179-ე მუხლები). დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, კანონი ასევე ადგენს შესაძლებლობას სასამართლოს მეშვეობით შეიცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს (სსკ 1181-ე მუხლი). ამასთან, სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებულია მშობლებისა და შვილების საალიმენტო ურთიერთობებიც (სსკ 1212-ე-1222-ე მუხლები), თუმცა კანონმდებელი არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა. სწორედ ამ მიზნით, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, აგრეთვე, მისი შემცირების საკითხის განხილვისას, უპირატესად განსასაზღვრია ალიმენტის გონივრული ოდენობა, რომელიც დგინდება მშობელთა ქონებრივი მდგომარეობისა და ბავშვის საჭიროებების ურთიერთშეჯერებით. გონივრულობის აღნიშნული სტანდარტის განსასაზღვრად კი, სასამართლო ხელმძღვანელობს შესაბამისი ნორმებით (სსკ-ის 1212-ე, 1221-ე, 1234.1-ე, 1198-ე მუხლები).

- ✓ **საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ** თავისთავად, საქორწინო კონტრაქტში კონკრეტული საალიმენტო თანხის ასახვა არ ართმევს უფლებას მეუღლეს/მეუღლეებს გარკვეული პირობებისა თუ გარემოებების შეცვლისას, ახლებურად განსაზღვრონ გადასახდელი (მოთხოვნილი) თანხის ოდენობა, ხოლო სადავოობის შემთხვევაში, მისი განსაზღვრა სასამართლოს მიანდონ.¹⁴³

4.4. 1163-ე მუხლი

ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

- ✓ სსკ-ის 1163-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სადავო ქონების მხოლოდ მიმდინარე რემონტი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის, არ შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შეიძლება ქონების საერთო საკუთრებად აღიარების საფუძველი გახდეს. ქონების რემონტი ან თანხების დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქონების თანასაკუთრებად აღიარების საფუძველი, როცა ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება.
- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1163-ე მუხლის ნორმის მიზნებისათვის, ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა არა მხოლოდ ფასმატების კონტექსტში შეიძლება ვლინდებოდეს, არამედ ნივთის სამეურნეო თუ სხვა ფუნქციური დანიშნულების არსებითი ცვლილებით, რის გამოც, ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე, ქონებრივი სიკეთის ფუნქციური დანიშნულებისა და ოჯახის ინტერესებზე ორიენტირებული ცვლილებების არსებობის შეფასების კონტექსტში.¹⁴⁴

4.5. 1240-ე მუხლი

საკასაციო სასამართლომ **განმარტა** სსკ-ის 1240-ე მუხლის შინაარსი, რომლის თანახმად, აღმზრდელის გარდაცვალებისას, შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლო წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის თაობაზე.

- ✓ სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხი იმის შესახებ, სსკ-ის 1240-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის (შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება) გან-

¹⁴³ სუსგ №ას-767-2021, 18 ნოემბერი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: ას-1141-1061-2017, 17.10.2017, №ას-967-916-2015, 15.12.2015, №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011.

¹⁴⁴ სუსგ №ას-392-2021, 29 სექტემბერი, 2021, იხ.: სუსგ-ები №ას-72-2019, 19 აპრილი, 2019, №ას-7-7-2016, 16 მარტი, 2016, №ას-33-489-06, 16.03.2016, №ას-1078-1345-09, 8.09.2006.

მაპირობებელი ორი გარემოება: 1. აღმზრდელის ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღება; 2. მშვილებლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა, წარმოადგენს კუმულაციურ თუ ალტერნატიულ პირობებს ანუ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისათვის აუცილებელია თუ არა ამ ორი წინაპირობის ერთდროულად არსებობა.

- ✓ კანონის გრამატიკული და ტელეოლოგიური განმარტების შედეგად, საკასაციო პალატამ სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული ზემოაღნიშნული გარემოებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელ (ალტერნატიულ) პირობებად განიხილა და მიიჩნია, რომ თითოეული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოს მიერ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება.
- ✓ საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 1240-ე მუხლში მოცემული წინადადებების სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე აღნიშნა, რომ შედეგის განმაპირობებელი ორი გარემოება (წინადადება): 1. „თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული;“ 2. „თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ“ ერთმანეთს უკავშირდება არა „და“ კავშირით, რაც აღნიშნული პირობების ერთდროულად არსებობაზე მიუთითებდა, არამედ – სიტყვით „აგრეთვე“, რომელიც განსაზღვრავს, რომ სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.
- ✓ აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ სიცოცხლეში გამოხატული ნების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. სიცოცხლეში აღმზრდელის ნება კონკრეტული პირის შვილად აყვანის შესახებ იმით არის გამოხატული, რომ ერთ შემთხვევაში, მან არასრულწლოვანი შვილად მიიღო ოჯახში, ხოლო მეორე შემთხვევაში, მშვილებელმა განცხადება შეიტანა სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. აღმზრდელის ნების გამოხატვის ორივე ფორმის ერთდროულად არსებობა, როდესაც თითოეულ შემთხვევაში ცალცალკე მკაფიოდ ჩანს მისი განზრახვა კონკრეტული პირის შვილებზე, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული მიზნის მიღწევას – შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებას, თითქმის შეუძლებელს ხდის და ზედმეტად ამძიმებს შვილად ასაყვანი პირის მტკიცების ტვირთს.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლოს განჩინებით გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინება შვილად აყვანის ფაქტის აღიარების მოთხოვნით სარჩელის უარყოფის თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.¹⁴⁵

- ✓ სხვა ანალოგიური შინაარსის საქმეში, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით, აღიარა (დაადასტურა) გარდაცვლილი მშვილებლების მიერ მოსარჩელის შვილად აყვანა და განმარტა, რომ სსკ-ის 1240-ე მუხლი არეგულირებს, არა

¹⁴⁵ სუსგ №ას-1264-2018, 27 ოქტომბერი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ №ას-486-486-2018, 28 ოქტომბერი, 2021.

მშვილბლის მიერ ნაშვილების შვილად აყვანას, არამედ – სასამართლოს მიერ ნაშვილების შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებას.

- ✓ სასამართლომ არამართებულად მიიჩნია სარჩელის უარყოფა იმ დასაბუთებით, რომ სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული პირველი წინაპირობის (არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული) შემთხვევაში, შვილად ასაყვანი სუბიექტი სარჩელის შეტანის დროს არასრულწლოვანი უნდა იყოს.
- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1240-ე მუხლის შინაარსიდან **განსხვავებული მიდგომა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების მიმართ, რასაც რაიმე გონივრული და დასაბუთებული საფუძველი გააჩნია, არ გამომდინარეობს. შვილად ასაყვანი პირის სრულწლოვანება არ წარმოადგენს ამ ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებას.** იმ სრულწლოვანი პირებისთვის, რომლებიც არასრულწლოვნების პერიოდში შვილად იყვნენ მიღებული აღმზრდელების ოჯახში, შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმა სრულწლოვანებაზე მითითებით, არ შეესაბამება თავად სსკ-ის 1240-ე მუხლის მიზანს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნორმის მიზანია აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ სიცოცხლეში გამოხატული ნების სამართლებრივი რეგულირება. შესაბამისად, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე არასრულწლოვნების პერიოდში აღმზრდელების ოჯახში შვილად იყო მიღებული, ხოლო ის, თუ როდის განახორციელა მან აღნიშნული უფლების რეალიზება – არასრულწლოვნების პერიოდში თუ სრულწლოვანების მიღწევისას, არ უნდა წარმოადგენდეს აღნიშნული ნორმის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, რომ სსკ-ის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია სრულწლოვანი პირის შვილებაც სწორედ იმ შემთხვევაში, თუ მშვილბელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილბლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.¹⁴⁶

¹⁴⁶ სუს გადაწყვეტილება №ას-486-486-2018, 28 ოქტომბერი, 2021.

5. მემკვიდრეობის სამართალი

5.1. სსკ-ის 1381-ე მუხლი

საკასაციო სასამართლომ სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის საფუძვლებთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი:

- ✓ სსკ-ის 1381-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც ინვევენ საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. სსკ-ის 1310-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეებად მოწვევის ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურვილის სანინააღმდეგოდ.
- ✓ სასამართლო პირს უღირს მემკვიდრედ მხოლოდ სსკ-ის 1310-ე მუხლში მითითებული გარემოებების კუმულაციური თანხვედრისას ცნობს, რაც ნიშნავს, რომ დავაზე უნდა გამოიკვეთოს პირის განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მამკვიდრებლისათვის მისი უკანასკნელი ნების გამოვლენაში ხელშეშლით, ხელი შეუწყოს მისი ან მისი ახლობლების მემკვიდრეებად მოწვევას მამკვიდრებლის გარდაცვალებისას, ასეთი ქმედების მიზანს სამკვიდროში მისი წილის გაზრდა უნდა წარმოადგენდეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ დავაში, სსკ-ის 1310-ე მუხლით გათვალისწინებული, პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის აუცილებელი წინაპირობები არ გამოვლენილა. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება. საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელისათვის რაიმე ფორმით განზრახ ხელის შეშლა მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში თავიანთი ან მათი ახლობელი პირების მემკვიდრეებად მოწვევის ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, შესაბამისად არ არსებობს მოპასუხეთათვის სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის საფუძვლები.¹⁴⁷

5.2. სსკ-ის 1484-ე მუხლი

სსკ-ის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მი-

¹⁴⁷ სუსგ №ას-1205-2021, 16 მარტი 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1070-1029-2016, 15.02.2019, №ას-716-716-2018, 03.09.2018.

ღებულის აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ამავე კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად.

✓ საკასაციო სასამართლომ **განმარტა**, რომ სსკ-ის 1488-ე მუხლში საუბარია არა სასარჩელო ხანდაზმულობის, არამედ პრეტენზიის წარდგენის ვადებზე, რაც განსხვავებული ცნებებია. მოცემული მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენისა და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იქნება. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ „მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც, სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის და კმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. **საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.** საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე.¹⁴⁸

5.3. 1488-ე მუხლი

კრედიტორის მიერ მოვალის მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

✓ მსესხებლის მემკვიდრეებისათვის კრედიტორის სასარგებლოდ სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1484 მუხლი. კრედიტორის მიერ მოვალის მემკვიდრეებისათვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა კანონით დადგენილ ვადაში უნდა განხორციელდეს, რასაც სსკ-ის 1488-ე მუხლი აწესრიგებს.

✓ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488.1 მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა

¹⁴⁸ სუსგ №ას-570-2020, 5 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ №ას-143-136-2010, 7 ოქტომბერი, 2010.

ინყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე ნორმის მიხედვით, მამკვიდრებლის მემკვიდრეებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო.

- √ მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა – საკმარისი არაა, მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა იცოდნენ, ასევე, იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რათა მათ წარუდგინონ მოთხოვნა. კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ – სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით (სსკ-ის 1421-ე მუხლი).
- √ სსკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილ საპრეტენზიო ვადის დაცვასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ იმ მოცემულობაში, როდესაც არ არსებობს საკანონმდებლო შეზღუდვა, თუ რა გზით განახორციელებს კრედიტორი პრეტენზიის წარდგენას, **სასამართლოში სარჩელის წარდგენით ამ უფლების განხორციელება ნიშნავს მემკვიდრეების წინაშე მოთხოვნის (პრეტენზიის) გაცხადებას.**¹⁴⁹

¹⁴⁹ სუსგ №ას-570-2020, 5 თებერვალი, 2021, იხ. ასევე, სუსგ-ები: №ას-461-435-2014, 30.08.2016, №ას-417-395-2012, 06.04.2012.

6. სამენარმეო სამართალი¹⁵⁰

6.1. დერივატიული სარჩელი¹⁵¹

✓ დერივატიული სარჩელის საგანია პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მის ნაცვლად და მის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა

ერთ-ერთ საქმეში, მინორიტარ პარტნიორთა მიერ აღძრულია დერივატიული სარჩელი („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი შპს-ის პარტნიორის სარჩელის უფლებას განსაზღვრავს 46.5. მუხლით, სადაც საუბარია საზოგადოების მიერ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობაზე, თუმცა, სამართლის დოქტრინაში ეს ნორმა ფართოდ განიმარტება და მას კორპორაციული სარჩელის უფლებად მოიხსენიებენ, ამ სარჩელის საგანი არის პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მის ნაცვლად და მის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა და სახეზეა პარტნიორი, რომელიც არა საკუთარი, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად, დერივატიულ სარჩელთა სახეობას მიეკუთვნება მათ შორის დომინანტი პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ საკუთარი დომინანტური მდგომარეობის გამოყენების წინააღმდეგ წარდგენილი მოთხოვნა), რომლის მიზანიც საზოგადოების ქონებრივი ინტერესების დაცვაა.

საზოგადოების მინორიტარი პარტნიორები სადავოდ ხდიან საზოგადოების ქონების გასხვისების თაობაზე ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც ამ გადაწყვეტილების რეალიზებას. დომინანტმა პარტნიორებმა საკუთარი ძალაუფლება გამოიყენეს საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ გაასხვისეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული ქონება, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ახორციელებდა საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობას.

სასამართლომ მიუხედავად, სადავო ქონების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა, ამავე ქონების გასხვისების შემდეგ, შემძენი კომპანია კეთილსინდისიერად მიიჩნია.¹⁵²

6.2. პარტნიორის ბარცხვა

კონკრეტულ დავაში, რომელიც შეეხება შპს-ს პარტნიორობიდან პირის გარიცხ-

¹⁵⁰ სამენარმეო სამართლის შესახებ სასამართლო პრაქტიკის თაობაზე დამატებით იხილეთ: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ. 5, www.supremecourt.ge, უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

¹⁵¹ შენიშვნა: როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ასევე დოქტრინაში აღსანიშნავია ტერმინოლოგიური არათანმიმდევრულობა, კერძოდ, აღნიშნული სარჩელი მოიხსენიება როგორც დერივატიულ, ისე დერივატიულ სარჩელად (ავტ).

¹⁵² სუსგ №ას-335-2020, 24 მარტი, 2021.

ხვის მართლზომიერებას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა არ განახორციელა შენატანი შპს-ს გაზრდილ საწესდებო კაპიტალში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

- √ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა. შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობისას. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა; სახელდობრ, როდესაც მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდის მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი, რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და, მაშასადამე, საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას. ამდენად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობისას, როდესაც სახეზეა კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც არღვევს ნდობას პარტნიორთა შორის და, რის გამოც მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება.
- √ ურთიერთობა, რომელიც გამომდინარეობს არა სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორის მიერ შენატანის განუხორციელებლობიდან, არამედ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შედეგად პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანის შეუტანლობიდან, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს იწვევს პარტნიორისათვის.
- √ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.2¹ მუხლი არეგულირებს საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში შესაბამისი შენატანის შეუტანლობისას წარმოშობილ ურთიერთობას. ასეთ დროს ერთ-ერთი პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანის გადაუხდელობამ შესაძლებელია, გამოიწვიოს კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილების ხელახლა გადანაწილების საჭიროება, სხვა პარტნიორების მიერ განხორციელებული დამატებითი შენატანების წილების პროპორციულად, შედეგად კი, იმ პარტნიორის წილის შემცირება, რომელსაც დამატებითი შენატანი არ შეუტანია.

პარტნიორის გარიცხვის საკითხს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.2¹ მუხლი არ არეგულირებს. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი არეგულირებს თავდაპირველი შეთანხმების შედეგად დადგენილი შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივ შემთხვევას. **საწარმოს რეგისტრაციის შემდგომ კაპიტალის გაზრდა ვერ გახდება პარტნიორის გარიცხვის საფუძველი.** აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კანონის ზემოხსენებული დანაწესის განმარტება ნაახალისებს სამენარმეო საზოგადოებიდან პარტნიორთა არამართლზომიერ-

რად გარიცხვას და ხელს შეუწყობს ამ კუთხით, არასტაბილური სამენარმეო გარემოს შექმნას.¹⁵³

- ✓ სხვა ანალოგიურ საქმეში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველია აღნიშნულის თაობაზე საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. გარიცხვა იწვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას ნილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს. შესაბამისად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შედეგად ნილის ჩამორთმევის ავტომატური სამართლებრივი შედეგი არ დგება და არც საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების საფუძველი არ არის. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმადაც, სწორედ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მიიჩნევა პარტნიორი გარიცხულად საზოგადოებიდან.
- ✓ შენატანის განხორციელება პარტნიორის ძირითადი მოვალეობაა, რომლის შეუსრულებლობა კაპიტალურ საზოგადოებაში შესაძლოა, ნილის დაკარგვითა და საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვით დასრულდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საწარმოში ნილზე საკუთრების უფლება კონვენციით დაცულ საკუთრების უფლების ფარგლებში ექცევა (*Bramelidand Malmstrom v. Sweden*, განაცხადის №. 8588/79, 1982). საკუთრების უფლების შეზღუდვა კი, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი.¹⁵⁴
- ✓ „მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონი (მიღების თარიღი 02.08.2021, ამოქმედების თარიღი 04.08.2021) დამატებით შენატანს სავალდებულო და ნებაყოფლობით შენატანებად ყოფს და პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის წინაპირობად მხოლოდ სავალდებულო დამატებითი შენატანის შეუტანლობას განიხილავს. თავის მხრივ, დამატებითი შენატანი სავალდებულოა, თუ წესდება ითვალისწინებს პარტნიორთა გადაწყვეტილების თანახმად პარტნიორების მიერ დამატებითი შენატანის ფულადი სახით განხორციელების ვალდებულებას და ადგენს, რომელ წილს ეხება დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში წესდება უნდა განსაზღვრავდეს დამატებითი შენატანის მაქსიმალურ ოდენობას (მუხლი 140).

მხარის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.2¹ მუხლით სასამართლოს უნდა დაედგინა პარტნიორთა წილების ახალი თანაფარდობა, **პალატამ განმარტა, რომ ნორმა წილების ახალი თანაფარდობის**

¹⁵³ სუსგ №ას-324-2021, 29 ივნისი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-ას-1203-2018, 25.04.2019, №ას-812-1099-2009, 09.11.2009.

¹⁵⁴ სუსგ №ას-937-2020, 1 დეკემბერი, 2021, ასევე იხ.: სუსგ-ები: №ას-1060-1090-2011, 21 ივლისი, 2011, №ას-556-939-06, 13 მარტი, 2007, №ას-614-951-07, 12 ოქტომბერი, 2007, სუსგ № 3კ/303-01, 9 მარტი, 2001, ასევე, შდრ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები, თბ. 2009.

დადგენის „შესაძლებლობას“ ითვალისწინებს, რაც იმას გულისხმობს, რომ პარტნიორთა წილების ხელახალი პროცენტული გადანაწილება დამატებითი შენატანის შეუტანლობის ავტომატური შედეგი არ არის, ის პარტნიორთა დისკრეციას განეკუთვნება.¹⁵⁵

6.3. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ:

✓ გარიგება, რომელიც დადებულია საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან. კეთილსინდისიერ კონტრაქტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაქტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაქტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, სამენარმეო რეესტრის ამონაწერში მიუთითოს ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მხოლოდ ამონაწერი არ არის საკმარისი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად. მენარმის გადანაცვებით ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზოგადად (მაგალითად, გარიგების საგნის ან მისი მოცულობის მიხედვით) ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამონაწერი არ შეიცავს ინფორმაციას წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება ზოგადად, შეზღუდული იყოს წესდებით ან საწარმოს (პარტნიორების) გადანაცვებით კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. შესაბამისად, უფლებამოსილების ფარგლების შემოწმების მიზნით, კონტრაქტი იძულებული იქნება, გაერკვეს საწარმოს შიდა პროცედურულ საკითხებში და უფლებამოსილებების განაწილებაში, შეისწავლოს საწარმოს წესდება ან საწარმოდან გამოითხოვოს რწმუნება, ცნობა, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილია, დადოს კონკრეტული გარიგება. სამენარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის საშუალებით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაქტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მართალია, კანონმდებ-

¹⁵⁵ სუსგ №ას-93-2021, 29 ნოემბერი, 2021.

ლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახადოს საჯარო (სამენარმეო რეესტრში გაკეთებული ჩანაწერის ან საკუთარი წესდების საჯაროდ გამოქვეყნების გზით), მაგრამ წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ „ცოდნა,“ რომელიც შემდგომ შესაძლოა გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაქტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაქტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაქტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაქტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითისთვის, აქ შესაძლოა მოაზრებული იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონტრაქტს უშუალოდ მენარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. თუ ამგვარი შეტყობინების მიუხედავად, კონტრაქტი მაინც დადებს გარიგებას, ასეთი გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი.¹⁵⁶

საქმეში, რომელშიც საწარმომ სადავო გახადა მისი მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:

✓ **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კორპორაციული სამართლით მონესრიგებულ ურთიერთობებში კანონისმიერი პრეზუმფციაა –** საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი სამენარმეო პირთა რეესტრში რეგისტრირებული პირია და აღნიშნული სადავო პერიოდში მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტის (საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა) და მე-9 მუხლის პირველი (სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), მე-2 (ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში) და მე-3 პუნქტებიდან (ხელმძღვა-

¹⁵⁶ სუსგ №ას-1231-2021, 5 აპრილი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-569-2020, 2 ივნისი, 2021, №ას-197-2020, 16 ოქტომბერი, 2020, №ას-197-2020, 29 ნოემბერი, 2019, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, № 1/1/543, 29 იანვარი, 2014.

ნელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) გამომდინარეობს.

- ✓ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე კომპანიის რომელიმე დირექტორის უფლებამოსილების რაიმე ფორმით შეზღუდვის თაობაზე რაიმე სახის ჩანაწერს/შენიშვნას კომპანიის ამონაწერი არ შეიცავდა, მოსარჩელეს არ ჰქონდა ინფორმაცია შესაბამისი ჩანაწერის არსებობის თაობაზე; ამასთან, მოსარჩელე არ იყო ვალდებული მოეძებნა მოპასუხის სადამფუძნებლო დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია დირექტორის უფლებამოსილების რაიმე ფორმით შეზღუდვის თაობაზე და საპირისპიროს დადასტურებამდე, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაჰენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ.
- ✓ სადავო პერიოდში მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს გარიგების ბათილობის თაობაზე მაშინ შეუძლია განაცხადოს, თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.
- ✓ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი მენარმე სუბიექტისათვის წარმოდგენს სამართლებრივ მექანიზმს, დაიცვას საკუთრება მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვისაგან, თუმცა იგი ხელმძღვანელობის უფლებამოსილებაზე შეზღუდული დირექტორის მიერ გარიგების დადებისას, ყოველთვის არ წარმოუშობს საწინააღმდეგო გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ შეცილების უფლების წარმოშობას ერთი წინაპირობა დაუკავშირა, კერძოდ, მენარმე სუბიექტმა არა მარტო ის უნდა დაამტკიცოს, რომ მისთვის გარიგების შესახებ არ იყო ცნობილი, არამედ ისიც, რომ საწინააღმდეგო საქმიანობაზე სათანადო კონტროლს ახორციელებდა და მიუხედავად ამისა, არ იყო ინფორმირებული – „საწინააღმდეგო უფლებამოსილების არარსებობა ან საწინააღმდეგო საქმიანობაში მენარმის (პარტნიორების) არასათანადო ჩართულობა უნდა გამოორიცხავდეს მესამე პირისათვის პრეტენზიის წაყენების მოთხოვნის უფლებას.“¹⁵⁷
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილებით ასევე, განმარტა, რომ „მენარმე სუბიექტთან გარიგების დადება მუდმივად არ უნდა იყოს დაკავშირებული რისკთან, რომ დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა შეზღუდული აღმოჩნდეს. მესამე პირი, რომელიც შედის საწინააღმდეგო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს საწინააღმდეგო შიდა კორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოთ დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ საწინააღმდეგო დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება საწინააღმდეგო სახელით. შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი სამოქალაქო

¹⁵⁷ სუსგ №ას-1172-2021, 10 ივნისი, 2022, იხ. ასევე №ას-653-620-2014, 24.09.2015.

ბრუნვის არსებობა, თუ ყველა კონტრაქტს მოვთხოვდით გარკვეულიყვნენ კონკრეტული საწარმოს შიდა პროცედურებში და საწარმოს ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგებების მარტივად და ეფექტიანად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრანზაქციულ ხარჯებს.“¹⁵⁸

✓ კონკრეტულ დავაში, რომელშიც სასარჩელო მოთხოვნას კომპანიის დირექტორის სასამართლოს მიერ დანიშნა წარმოადგენდა, საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, სასამართლოში მხარის მიმართვის უფლება ყოველთვის მატერიალური სამართლიდან გამომდინარეობს და იგი სამართლის კონკრეტულ ნორმას უნდა ემყარებოდეს, განსხვავებით ზოგად სამოქალაქო უფლების დარღვევაზე მსჯელობისა, სამენარმეო დავის განხილვისას, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სასამართლოს კომპეტენცია, შეაფასოს სამენარმეო გადაწყვეტილების კანონიერება და თავად საწარმოს ავტონომიური უფლებები.

✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხსენებულ მოთხოვნას არ გააჩნია მატერიალური საფუძველი, რამდენადაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული საკითხი არა სასამართლოს, არამედ – კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მისაღები გადაწყვეტილებაა და იგი ავტონომიურობით ხასიათდება. ამასთანავე, უდავოა, რომ ამავ კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით კომპანიის დაფუძნებისას პარტნიორებმა საკუთარი წილი 50-50%-ით განსაზღვრეს, შესაბამისად, თავადვე გახდნენ გადაწყვეტილების მიღებაუნარიანობის რისკების მატარებელი და მოგვიანებით წარმოშობილი უთანხმოების გამო, საწარმოს ნაცვლად ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით ისინი სასამართლოს ველარ მომართავენ (წილთა თანაბარი ოდენობით განსაზღვრისას ავტონომიური გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ მიღების დაუშვებლობის საკითხზე, მრავალთა შორის იხ.: სუსგ №ას-1141-2018, 30 ნოემბერი, 2018 წელი).¹⁵⁹

6.4. დირექტორის პასუხისმგებლობა, ფილუციური ვალდებულება, ზიანის ანაზღაურება, დერივაციული სარჩელი

✓ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნული ნორმის თანახმად, საწარმოს დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება საზოგადოების სახელით დადოს გარიგე-

¹⁵⁸ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/543 „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 29 იანვარი.

¹⁵⁹ სუსგ №ას-285-2019, 26 თებერვალი, 2021.

ბები. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებულ იქნა გარიგება, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა საზოგადოებას, ამოქმედდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლით დაწესებული ნორმა საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ. გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებში გამგეობა და დირექტორატი შეუზღუდავია და არც შეიძლება შეიზღუდოს თავის წარმომადგენლობით უფლებებში. საზოგადოების შიგნით, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში კი, იგი ვალდებულია მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ე.ი. იმ ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული ხელშეკრულებით. **დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას.**

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის მიხედვით, შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 9.2 მუხლის მიხედვით კი, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხოლო თუ მესამე პირის თანხმობა ხელშეკრულების ან სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ინსტრუმენტის შემთავითაა გათვალისწინებული, ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა კონტრაქტის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, ანუ იმ გარემოებაზე, იცოდა თუ არა მან გარიგების დადებისას მისი ხელშეკრული მხარის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე. იურიდიული პირის შემთხვევაში, ამგვარი შეზღუდვა რეგისტრირებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, ან მესამე პირმა, რომლის თანხმობის გარეშეც დაიდო გარიგება, უნდა დაამტკიცოს, რომ ხელშეკრული მხარეები არა კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და თანხმობის აუცილებლობის თაობაზე მათთვის ცნობილი იყო. ამ ნორმის სწორად განმარტება კი, სამენარმეო სუბიექტებთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან, კონკრეტულ საზოგადოებას თავისი წესდებით შეუძლია დააწესოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ყველა პარტნიორის თანხმობის აუცილებლობა ისეთ საკითხებზეც, რომლებზეც კანონით ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. მესამე პირებისათვის ამგვარ შეზღუდვას ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ იგი სამენარმეო რეესტრში იქნება რეგისტრირებული.

✓ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტში დასახელებულ პირებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საზოგადოების მიმართ გააჩნიათ **ფიდუციური** მოვალეობები, ერთი მხრივ, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორ-

მაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

✓ კანონმდებლობის თანახმად, აქციონერს (ამ უფლებით უმეტესად სწორედ უმცირესობაში მყოფი აქციონერები სარგებლობენ), აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ გააკონტროლონ დირექტორის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ „დერივაციული“ სარჩელი კორპორაციული მართვის ამოცანების განხორციელების მიზნებსაც ემსახურება. კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში ხელმძღვანელი (დირექტორი) სანარმოს და არა მისი აქციონერების/პარტნიორების მინდობილი პირი – მისი ფიდუციარია. აქციონერების/პარტნიორების ურთიერთობა კი განპირობებულია სწორედ „სანარმოს საუკეთესო ინტერესით,“ ვინაიდან სწორედ აქციონერია/პარტნიორია სანარმოს წარმატების მთავარი მოსურნე და მისი მთავარი მოსარგებლე (ბენეფიციარი) (იხ.: გ. ჯუღელი, დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ყურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა;“ აგრეთვე, Emanuel S., Emanuel L., Corporations, Aspen Publishers Online, New York, 2009, 46-78; Modern Company Law for a Competitive Economy Final Report (London: DTI, 2001), პარას. 6.19-6.40, შპარეჰოლდერ გიტეგაციონ: ჩომმონ გან, 212-249). დერივაციულ (არაპირდაპირ) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. კორპორაციული მართვის პრინციპებით სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება წარმოადგენს ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველს და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად, კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა/მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას უზრუნველყოფს და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც აისახება (იხ.: ს. მაჭავარიანი სად. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში,“ თბ., 2015, გვ. 143-144).

✓ **სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება.** გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი სალად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებას. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. დირექტორს გონივრულად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ფიდუციური მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია (იხ.: დამატებით:

ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 202-203, 256, 302, 384-386, 405-407; დ. მაისურაძე, სამენარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ი. ბურდული, თბ., 2011, 113-117. ი. ბურდული, ნ. ზუბიტაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 37, ველი 5-6, თბ., 2017).

თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამენარმეო განსჯის წესს“ ანუ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სანარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია.

✓ დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძვრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივაციული სარჩელის აღძვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case).¹⁶⁰

ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც დავის საგანს კომპანიის მიმართ ფიდუციური მოვალეობის (კონკრეტულად „ზრუნვის მოვალეობის“) დარღვევისათვის ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობა წარმოადგენდა, **საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ:**

✓ კომპანიის წინაშე დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობის დროს მოქმედი) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი [დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ], საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი [მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გა-

¹⁶⁰ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, ასევე, №ას-898-848-2015, 09 მარტი, 2016.

მონვეული ზიანის ანაზღაურება] და 408-ე მუხლის პირველი ნაწილი [იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულ-ბელი გარემოება].

- ✓ **საკასაციო სასამართლომ დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში განმარტა**, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობის დროს მოქმედი) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ფიდუციური მოვალეობები ეწოდება და რომლებიც, სხვათა შორის, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღადმოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორი საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.
- ✓ ზრუნვის მოვალეობის დარღვევის შესახებ სარჩელის განხილვისას დირექტორს **საწარმოსთვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილების გამო პასუხისმგებლობისგან იცავს „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია, რომელიც წარმოადგენს დაშვებას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიის დირექტორი იყო სათანადოდ ინფორმირებული და მოქმედებდა კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ განხორციელებული მოქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებში იყო**. ასეთ საქმეებში მოსარჩელეს ეკისრება ზემოაღნიშნული დაშვების გაბათილების ტვირთი, რადგან სასამართლოს არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს დირექტორის გადაწყვეტილების სისწორეში, თუ ის რაციონალური პროცესის შედეგად იქნა მიღებული და დირექტორი ყველა მნიშვნელოვან და გონივრულად ხელმისაწვდომ ინფორმაციას ფლობდა.
- ✓ საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.
- ✓ პრეზუმფცია დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის შესახებ („სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ ნესი), მოქმედებს მხოლოდ ოთხი კუმულაციური წინაპირობის არსებობისას:

დირექტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (უნდა იმოქმედოს). ისეთ შემთხვევაში, როცა დირექტორმა გამოიჩინა უმოქმედობა და არ მიიღო გადაწყვეტილება, იგი ვერ იქნება დაცული „სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ წესით (აღნიშნულში არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც უმოქმედობა თავისთავად, მიღებული გადაწყვეტილების შედეგია, ანუ მიღებულია გადაწყვეტილება მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ);

გადაწყვეტილების მიღებამდე დირექტორმა უნდა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე ადამიანისათვის საკმარისია არსებულ გარემოებებში კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს კეთილგონივრულობის სტანდარტს;

გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერად. ეს მოთხოვნა არ ითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ სხვა გარემოებებთან ერთად, დირექტორისთვის ცნობილია, რომ იგი იღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას;

დირექტორს არ უნდა ჰქონდეს პირადი დაინტერესება.

თუ დასახელებული ოთხი პირობიდან რომელიმე არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ პრეზუმფცია ვერ ამოქმედდება.

✓ **მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციის არსებობა თავდაპირველი მტკიცების ტვირთის მოსარჩელეს აკისრებს, რომელმაც უნდა მიუთითოს ოთხი კუმულაციური წინაპირობიდან ერთ-ერთის (ან რამდენიმეს) არარსებობაზე. თუ მოსარჩელე აღნიშნულს დაადასტურებს, მაშინ პრეზუმფცია ქარწყლდება, რის შედეგადაც მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხე დირექტორზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მისი მოქმედება/გადაწყვეტილება ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოებისათვის.¹⁶¹**

6.5. პარტნიორის უფლება ინფორმაციაზე

✓ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის პერიოდისთვის მოქმედი რედაქცია) აღიარებს პარტნიორის უფლებას, ინფორმირებული იყოს საზოგადოების საქმიანობის თაობაზე და დაუბრკოლებლად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ საქმიანობის შედეგს უკავშირდება. მენარმე სუბიექტის (ამ შემთხვევაში, საწარმოს პარტნიორის) ამგვარი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა ამ კანონის 3.10 მუხლია (ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუა-

¹⁶¹ სუსგ №ას-1436-2020, 31 მაისი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-370-344-2017, 18 აპრილი, 2019, №ას-766-766-2018, 10 ივნისი, 2019, №ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015, №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015.

ლოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემომწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემომწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით), ხოლო 46.4 მუხლით (დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიანოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს) აღიარებულია დირექტორის, როგორც ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მოვალეობა, ხელი შეუწყოს პარტნიორს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მათ შორის 3.10 მუხლით) გათვალისწინებული უფლების განხორციელებაში.

კონკრეტულ დავაში, სასამართლომ მართებულად დაავალა მოპასუხე კომპანიას მოსარჩელისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის გადაცემა, რადგან საწარმოს პარტნიორი ასეთი დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირია. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა დაადგინა პარტნიორის დაცვის ფარგლების სავალდებულო მინიმუმი, რაც ნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული პარტნიორის უფლებების შეზღუდვა დაუშვებელია.

✓ ვინაიდან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს აქვთ როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი უფლებები. სწორედ არაქონებრივი უფლების რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას კონტროლისა და შემომწმების მიზნით, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება წარმოადგენს.¹⁶²

სასამართლომ შპს-ის კრების ოქმი, რომლითაც დომინანტი პარტნიორის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანების შეტანისა და პარტნიორთა წილების გადანაწილების თაობაზე, ბათილად არცნო, იმ არგუმენტით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო არ იყო ყველა პარტნიორის თანხმობა.

საკასაციო სასამართლომ მისი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით იმსჯელა, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილება საჭიროებდა თუ არა ყველა პარტნიორის (აქციონერის) თანხმობას.

საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ:

✓ შპს-ის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის მრავალმხრივი გარიგება, რომლის თავისებურებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ხმათა უმრავლესობით, თუმცა აღნიშნული წესიდან, დავის დროს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტითა და 9¹ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია გამონაკლისები და, პარტნიორთა (აქციონერთა) ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, დად-

¹⁶² სუსგ №ას-407 -2022, 29 ივნისი, 2022.

გენილია გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა, ხოლო მე-3 მუხლის 5² პუნქტით კი აკრძალულია პარტნიორის/აქციონერის თანხმობის გარეშე ამავე პუნქტით განსაზღვრული ცვლილების შეტანა.

- √ დავის წარმოშობისას მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტის თანახმად, „თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი.“ მე-3 მუხლის 5² პუნქტის თანახმად, „თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.“ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.“
- √ დავის წარმოშობისას მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (მე-3 მუხლის 5¹ და 5² პუნქტები, 9¹ მუხლის მე-6 პუნქტი, 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები) არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ყველა პარტნიორის თანხმობით. კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის განსაზღვრის თავისუფლება მიანიჭა თავად პარტნიორებს, რომელთა მიერ დადგენილი წესები ასახულია წესდებაში.
- √ კანონში პირდაპირი ჩანაწერის არარსებობის მიუხედავად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელია, წესდების ცვლილების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდა, რამდენად არის შემხებლობაში პარტნიორის ხმის უფლებასთან, მოგებაში/ზარალში მის წილთან ან ლიკვიდაციისას მის უფლებებთან („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტი); ხომ არ აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას ხომ აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5² პუნქტი); ამ გადაწყვეტილების შინაარსი ხომ არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის, ანდა ხომ არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის წარმოშობისას, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ არის საზოგადოების მიერ კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა და, ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ არის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის

5¹ და 5² პუნქტებით, აგრეთვე, 9¹ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.¹⁶³

6.6. გამჭოლი პასუხისმგებლობა

- ✓ მენარმეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის ნაწილის დაბრუნების მოთხოვნით წარმოებულ დავაში სასამართლომ ერთ-ერთი მოპასუხის გამჭოლი პასუხისმგებლობა დადგენილად არ ცნო და აღნიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლის წესს პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობისაგან ამ უკანასკნელის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. **შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობა საგამონაკლისო, უკიდურესი ღონისძიებაა.**
- ✓ სასამართლომ განმარტა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ დოქტრინაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები (იხ.: ნონა ზუბიტაშვილი, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს – გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2016), რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების დადასტურება. უნივერსალური ფორმულა არ არსებობს.
- ✓ კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის არ არის საკმარისი ერთი კორპორაციის 100%-იანი მონაწილეობა მეორე კორპორაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მოცემულობაში კონტროლი და საკუთრება შეიძლება ერთი პირის ხელში იყოს მოქცეული. ამისათვის საჭიროა კონტროლის გამოყენება არამართლზომიერი ქმედებისთვის – კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად, რაც უთანაბრდება კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას და მიზეზშედეგობრივი კავშირი კონტროლსა და კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის. აღნიშნული კონტროლი შეიძლება გამოვლინდეს არასათანადო კაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის, ქონებათა აღრევის, დირექტორატის იდენტიფიკაციის ანდა სხვა გარემოებების სახით.
- ✓ კაპიტალის ადეკვატურობა სამენარმეო საქმიანობის სპეციფიკის, მასთან დაკავშირებულ რისკების გათვალისწინებით ფასდება. ამასთან, არასერიოზული კაპიტალით საქმიანობის დაწყება შეიძლება განხილულ იქნეს პარტნიორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებად.
- ✓ სასამართლომ გამიჯნა კომპანიის სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო

¹⁶³ სუსგ №ას-1251-2021, 11 თებერვალი, 2022.

კრედიტორები და განმარტა, რომ: შეზღუდული პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (bargaining power), რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს. თუმცა, ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებს, როგორც არიან დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორები, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ კომპანიასთან, მის დირექტორებთან და პარტნიორებთან წინასწარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მათ მიმართ დელიქტიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებების წარმოშობამდე. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო ვალდებულებების შედეგად წარმოშობილ კრედიტორზე სახელმწიფოს სახით, რომელიც საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არასახელშეკრულებო კრედიტორების რიგს მიეკუთვნება).

- ✓ კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ელემენტია. ამასთან, კორპორაციულ ფორმალობათა ისეთი დაუცველობა, რომელსაც არ მოჰყოლია კრედიტორისთვის უარყოფითი შედეგი, არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობას („კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“ სახეზეა, როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მონვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.
- ✓ კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.¹⁶⁴

6.7. დივიდენდი

- ✓ საკასაციო პალატამ არაერთ საქმეში განმარტა, რომ დივიდენდი წარმოადგენს იურიდიული პირის ფინანსური მოგების ნაწილს, რომელზე უფლებაც მოპოვებულია ამ იურიდიულ პირში წილის ფლობით, შესაბამისად, მასზე „უფლება“ დაკავშირებულია პარტნიორის სტატუსთან. ამასთან, დივიდენდის მიღების უფლება რეალიზდება გარკვეული წინაპირობების დაცვით. „დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსე-

¹⁶⁴ სუსგ №ას-433-2020, 19 ნოემბერი, 2020, ასევე №ას-1307-1245-2014, 6.05.2015., №ას-1158-1104-2014, 6.05.2015.

ბოზა და პარტნიორთა კრების გადანყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ... როდესაც მიიღება გადანყვეტილება დივიდენდების განაწილებაზე, პირი აღიჭურვება კრედიტორული უფლებით, რაც საზოგადოების წინაშე პარტნიორის მოთხოვნის უფლებას განამტკიცებს (იხ: ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, გვ. 368-369).¹⁶⁵

6.8. წილზე უფლების მიტოვება

სასამართლომ შპს-ის პარტნიორის სარჩელი სანარმოში, მისი კუთვნილი წილის მიტოვების ფაქტის დადგენისა და მისი მონაცემების სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამოშლის მოთხოვნით უარყო.

- ✓ სასამართლომ განმარტა, რომ წილზე საკუთრების უფლების მიტოვების შესაძლებლობას, მით უფრო სსკ-ის 184-ე მუხლის საფუძველზე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ხოლო შესაბამისი წესით გაფორმებული გარიგება მოსარჩელეს მარეგისტრირებელი ორგანოსთვის არ წარუდგენია.
- ✓ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ სსკ-ის 184-ე მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზების პროცედურას, ფარგლებსა და შედეგებს. ამასთან, **სსკ-ის 184-ე მუხლი, მისი შინაარსობრივი, ლოგიკური თუ სხვაგვარი განმარტების შესაბამისად, თავისთავში, მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წესს მოიაზრებს.** აღნიშნული სახით, უფლების მიტოვების ჩამოყალიბება წარმოადგენს არა კანონმდებლის შეცდომას/საკანონმდებლო ხარვეზს, სხვა სახის ნივთების რეგულირების გარეშე დატოვების თაობაზე, რა დროსაც, შესაძლებელია უფლების მიტოვების მიზნიდან გამომდინარე დასახელებული ნორმის, უძრავი ნივთების გარდა სხვა სახის ქონებაზე (მოძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) გავრცელება, არამედ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საკითხის მონესრიგების გარეშე შეგნებულ დატოვებას, განსაკუთრებით კი, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით, მათ შორის, კომპანიაში წილზე საკუთრების უფლების თაობაზე.
- ✓ სამოქალაქო კოდექსის დასახელებული ნორმა ე. წ. სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, ვინაიდან მასში მხოლოდ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების საკითხია რეგულირებული, ხოლო ქონების სხვა სახეებთან მიმართებით, კანონმდებელი ე.წ. კვალიფიციურ დუმის იყენებს.¹⁶⁶

¹⁶⁵ სუსგ №ას-1352-2021, 18 მარტი, 2022, ასევე იხ. სუსგ-ები: სუსგ №ას-907-2018, 27 ნოემბერი, 2020, №ას-1063-1018-2014 08.04.2015, №ას-75-408-09, 02.07.2009.

¹⁶⁶ სუსგ №ას-489-2020, 10 თებერვალი, 2021.

7. შრომის სამართალი¹⁶⁷

- ✓ სამართალწარმოების განმავლობაში, დამსაქმებლის მხრიდან იმგვარი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მისთვის არასასურველი კანდიდატის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას გამოიწვევს, არამართლზომიერი ქცევაა.

კონკრეტულ დავაში, საქმის ფაბულის მიხედვით, უდავოა, რომ საქმის განხილვის დროისათვის არსებობდა ვაკანტური ტოლფასი თანამდებობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დამსაქმებლის მხრიდან იმგვარი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მისთვის არასასურველი კანდიდატის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას გამოიწვევს, მიუხედავად სამართლის ფორმალური მიდგომების დაცვისა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრუნვის სუბიექტის მხრიდან სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერ ქცევად.

სასამართლომ განმარტა, რომ:

- ✓ ის გარემოება, როდესაც დამსაქმებლისათვის ცნობილია დავის მის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტის თაობაზე და ეს უკანასკნელი მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით ამართლებს საკუთარ ქმედებას, ვერ იქნება მიჩნეული მართლზომიერ ქცევად.¹⁶⁸
- ✓ დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა დასაქმებულის უპირატესი უფლებაა.
- ✓ დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენის მიზნებისათვის აუცილებელია, კანონით გათავისუფლების საფუძვლის უკანონოდ ცნობა და პირვანდელი სამუშაო ადგილის ვაკანტურად არსებობა.
- ✓ კომპენსაციის დაკისრება პარალელურად იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას გამოიწვევს.
- ✓ კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაა, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს მატერიალურ დანაკარგს და იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა.
- ✓ ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, შრომის კოდექსის როგორც

¹⁶⁷ შრომის სამართლის საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე დამატებით იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), 2020, გვ. 26; www.supremecourt.ge, უზენაესი სასამართლოს გამოცემები.

¹⁶⁸ სუსგ №ას-1116-2019, 31 იანვარი, 2020.

სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით, ისე მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. გათავისუფლების უკანონობის დადასტურების შემთხვევაში „დამსაქმებლის ინიციატივით უკანონოდ გათავისუფლების სამართლებრივ შედეგებს შორის დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა დასაქმებულის უპირატესი უფლებაა, თუმცა მისი დაკმაყოფილება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას უკავშირდება, კერძოდ, **დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენის მიზნებისათვის აუცილებელია, კანონით გათავისუფლების საფუძვლის უკანონოდ ცნობა და პირვანდელი სამუშაო ადგილის ვაკანტურად არსებობა.**“

- ✓ კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო პოზიცია ვაკანტური არ არის, ხოლო ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა მოსარჩელეს არ მოუთხოვია, მისი დარღვეული უფლების აღდგენის ერთადერთ საშუალებად დამსაქმებლისთვის **კომპენსაციის დაკისრება წარმოადგენს, რაც პარალელურად იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას გამორიცხავს.**
- ✓ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „**კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაა, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონოდ დათხოვნით განიცადა და რასაც იგი საშუალოდ შესატყვისი სამსახურის მოძებნამდე განიცდის, ასევე, იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა.** ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტის ასაკი, კომპეტენცია, სამსახურის შოვნის პერსპექტივა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა ასევე, დამსაქმებლის ფინანსური მდგომარეობა და ა. შ. ამდენად, კომპენსაციამ შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის აღდგენა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში. კომპენსაციის განსაზღვრასთან დაკავშირებით, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ეს არის პასუხისმგებლობის ზომა, რაც ეკისრება დამსაქმებელს მუშაკის უკანონოდ დათხოვნისათვის და მანვე (კომპენსაციის ოდენობამ) უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის მინიმალური სოციალური გარანტიის შექმნა“ (იხ.: საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, გვ. 272).¹⁶⁹
- ✓ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის წესს და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს სმკ-ის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილის ნორმატიული დანაწესი არ ადგენს. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემო-

¹⁶⁹ სუსგ №ას-1230-2021, 28 ივნისი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-792-2019, 18 თებერვალი, 2021, №ას-536-2021, 21 სექტემბერი, 2021, №ას-57-2022, 13 აპრილი, 2022, №ას-1540-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-1623-2018, 29 იანვარი, 2019.

ებების შეფასების საფუძველზე, სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, რა დროსაც, სასამართლო ხელმძღვანელობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით; კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ დროს, რა დროის განმავლობაშიც უნდა ემოშავა დასაქმებულს დამსაქმებელთან, რა იყო მისი სახელფასო ანაზღაურება და სხვა. ამასთან, მხოლოდ სახელფასო ანაზღაურება არ არის კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმი. კომპენსირების მიზანია, რომ კომპენსაციის თანხამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის აღდგენა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში.¹⁷⁰

✓ ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ **განმარტა**, რომ **კომპენსაცია შესაძლოა გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში დამსაქმებლისათვის დაკისრებული იძულებითი განაცდური**, რადგან ასეთ ვითარებაში ყოფილი დასაქმებულის ნაწილობრივი უფლებრივი რესტიტუცია ხდება, ამასთან, არა მხოლოდ კონკრეტული დამსაქმებლისათვის, არამედ ზოგადად, შრომით ბაზარზე ერთგვარი „სანქციის“ სახესაც უნდა ატარებდეს დამსაქმებლისათვის დაკისრებული კომპენსაცია იმ კონტექსტში, რომ მომავალში არიდებული იქნეს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის არამართლზომიერად შეწყვეტის შემთხვევები.¹⁷¹

✓ საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში **განმარტა**, რომ: „შრომითსამართლებრივი ურთიერთობა **ეფუძნება მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე** ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას (იხ.: სშკ-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი). თუმცა, შრომითი ურთიერთობებისადმი წმინდა სახელშეკრულებო მიდგომის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან კლასიკურად ასეთი ურთიერთობა მოიცავს მის მონაწილეთა შეთანხმებას თანაბარ სანყისებზე, **მაშინ, როდესაც შრომით ურთიერთობაში ერთი პირი ნებაყოფლობით თანხმდება მეორის დაქვემდებარებაში ყოფნას.**“

შრომითსამართლებრივ დავებში მნიშვნელოვანია გამოირიცხოს დამსაქმებლის მიერ საკუთარი უფლების ბოროტად გამოყენება.

✓ საქართველოში შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა მონესრიგებულია სშკ-ის 47-ე და 48-ე მუხლებით, რომელთაგან პირველი მოიცავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველებს, ხოლო მეორე არეგულირებს შეწყვეტის პროცესულურ მხარეს. აღნიშნული მუხლების კუმულაციური საფუძველით შეიძლება ითქვას, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, დამსაქმებლის პოზიტიური ვალდებულებაა დაასრულოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა მხოლოდ კანონიერი გზებით, ხოლო ნეგატიური ვალდებულება წარმოადგენს იმას, რომ დამსაქმებელს არ უნდა შეეძლოს დასაქმებულის სამსახურიდან გაშვება შესაბა-

¹⁷⁰ სუსგ №ას-634-2021, 04 ნოემბერი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-727-680-2017, 15 სექტემბერი, 2017, №ას-353-338-2016, 03.05.2016.

¹⁷¹ სუსგ №ას-621-2022, 7 ივლისი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1329-2018, 22 თებერვალი, 2019, №ას-291-291-2018, 01 ივნისი, 2018, №ას-140-140-2018, 29 აგვისტო, 2018.

მისი და გამართლებული საფუძვლის გარეშე; ამიტომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის იმ რეგულაციებს, რომლებიც სშკ-ის 47-ე და 48-ე მუხლებშია მოცემული, აქვთ ერთგვარი „შემაკავებელი ეფექტი,“ რომლის საფუძველიც არის წინაპირობა შრომის ურთიერთობათა მხარეების თვითნებური, გაუმართლებელი გადაწყვეტილებების აღკვეთისთვის.

- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რაც უნდა იყოს გათვალისწინებული დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, ესაა პროპორციულობის (თანაზომიერება) და გონივრული საფუძვლის პრინციპი. თანაზომიერება ნიშნავს, რომ კანონის მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული; მეორე Ultima Ratio კი, განიმარტება, როგორც უკანასკნელი საშუალება, რამდენადაც მიჩნეულია, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო მსუბუქი ზომა, თუკი, ამის საშუალებას ჩადენილი დარღვევიდან გამომდინარე, იძლევა დასაქმებულის კანონიერი ინტერესი.
- ✓ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა წარმოადგენს უკიდურეს დისციპლინურ ღონისძიებას, რომელიც შესაძლოა დამსაქმებელმა გამოიყენოს დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.
- ✓ იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებლობა დამსაქმებელს ანიჭებს განსაზღვრული თავისუფლების შესაძლებლობას, აუცილებელია, რომ დამსაქმებელმა გაითვალისწინოს არამართლზომიერი ქცევის – ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, სხვა, უფრო ნაკლებად მკაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.
- ✓ პროპორციულობის პრინციპის დაცვით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დამსაქმებლის მიერ დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუმართლებელია ამ უკანასკნელის უფლების დაცვის სხვა საფუძვლების გამოყენება. მაშასადამე, არასათანადო მოქმედებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დათხოვნის საფუძველი, როცა იგი მიაღწევს მნიშვნელოვან დონეს.
- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში დამსაქმებლის მიერ შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად მოშლა დასაქმებულის მხრიდან მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების მოტივით, უკიდურეს სახეს უნდა წარმოადგენდეს და ჩადენილი გადაცდომის ადეკვატურ სხვა დისციპლინურ პასუხისმგებლობას არ უნდა ადგენდეს შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები.¹⁷²
- ✓ თუ უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტი უფლებრივი რესტიტუციის ფორმად

¹⁷² სუსგ №ას-521-2022, 07 ივლისი, 2022, ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-1208-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-368-2019, 31 ივლისი, 2019, №ას-12-12-2018, 16 მარტი, 2018, №ას-499-499-2018, 08 ივნისი, 2018, №ას-630-630-2018, 6 ივლისი, 2018, №ას-812-779-2016, 19 ოქტომბერი, 2016, №ას-127-123-2016, 13 ივნისი, 2016, №ას-98-94-2016, 26 ივლისი, 2016. №ას-1391-1312-2012, 10 იანვარი, 2014.

პირდაპირ კომპენსაციას არ მოითხოვს, ამ შემთხვევაში, კომპენსაციის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, თუ დადგინდა, რომ პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია. დასაქმებულის უკანონოდ დათხოვნის პირობებში, დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალებისა და წესის დადგენა სასამართლოს დისკრეციამ, კერძოდ, სასამართლო წყვეტს, უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებული პირვანდელ სამუშაოზე აღადგინოს, ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოს თუ კომპენსაცია მისცეს (იხ.: საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები, გვ. 272). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1982 წლის 158 კონვენციის „შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ მე-10 მუხლი ადგენს, რომ „თუ კომპენტენტური ორგანოები დაასკვნიან, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა არაკანონიერად და თუ სამსახურში აღდგენა არ არის შესაძლებელი, ეს ორგანოები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, რომ დააკისრონ დამსაქმებელს ადეკვატური კომპენსაციის გადახდა.“

√ კომპენსაცია შრომითი ურთიერთობის არამართლზომიერი შეწყვეტის შემთხვევაში, სპეციალური ნორმით გათვალისწინებული დამსაქმებლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ზომაა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებულისათვის მინიმალური სოციალური გარანტიის შექმნას, რაც მას სავსებით განასხვავებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისაგან. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სამართლებრივი საკითხი განეკუთვნება სასამართლოს დისკრეციის სფეროს, რადროსაც, გათვალისწინებული უნდა იქნეს, კომპენსირების მიზანი. კომპენსაციამ შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის აღდგენა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში. კომპენსაციის განსაზღვრასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ეს არის პასუხისმგებლობის ზომა, რაც ეკისრება დამსაქმებელს მუშაკის უკანონოდ დათხოვნისათვის და მანვე (კომპენსაციის ოდენობამ) უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის მინიმალური სოციალური გარანტიის შექმნა, რითაც კომპენსაცია განსხვავდება ზიანის ანაზღაურებისას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისგან.¹⁷³

კონკრეტულ დავაში, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით – უარყო, მაგრამ მიყენებული ზიანი აუნაზღაურა შემდეგი მოტივაციით:

√ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართლებრივად ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება დავალების ხელშეკრულებაა და იგი არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად. აღნიშნულ ხელშეკრულებას პირობითად შეიძლება ეწოდოს „სასამსახურო ხელშეკრულება“, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და განსხვავდება შრომის სამართლისთვის დამახასიათებელი დამსაქმებლისა და დასაქმებულის

¹⁷³ სუსგ №ას-1334-2021, 2 მარტი, 2022, №ას-1208-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-727-680-2017, 15 სექტემბერი, 2017, №ას-353-338-2016, 03.05.2016.

სახელშეკრულებო ურთიერთობისგან. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერების შემოწმებისას, „მენარმეთა შესახებ“ კანონის ნორმებთან ერთად გამოიყენება დავალების ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლები), ისევე როგორც თავად ამ ხელშეკრულების პირობები.

- ✓ სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან, ხოლო გამოვლენილი ნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7¹ პუნქტის თანახმად, მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

აღნიშნული არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორის გათავისუფლების საფუძვლები და პროცედურა არ შეიძლება დამატებით განისაზღვროს იურიდიული პირის წესდებით ან/და დირექტორთან დადებული ხელშეკრულებით.

- ✓ საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნებისმიერ დროს ხელშეკრულების შეწყვეტის სსკ-ის 720-ე მუხლით გარანტირებული უფლება არ ზღუდავს „სასამსახურო ხელშეკრულების“ მხარეებს, რომ შეთანხმდნენ დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტაზე, როგორც რაიმე საფუძვლის გარეშე (უსაფუძვლოდ, ე.წ. without cause), ისე კონკრეტული საფუძვლით (ე.წ. with cause, მაგ. წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო) და თითოეულ შემთხვევაში გაითვალისწინონ გათავისუფლების განსხვავებული პროცედურა (მაგ. კომპენსაცია უსაფუძვლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელზე უფლებაც დირექტორს არ წარმოეშობა, თუ მასთან ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის საფუძვლით).

- ✓ **საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად ა(ა)იპ-ის დამფუძნებლის უფლებისა – ნებისმიერ დროს, შესაბამისი საფუძვლის გარეშე შეწყვიტოს „სასამსახურო ხელშეკრულება“ დირექტორთან, თუკი დირექტორის გათავისუფლების საფუძველს წესდებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოება წარმოადგენს, დირექტორს აქვს ამ საფუძვლის კანონიერების შემოწმების ლეგიტიმური ინტერესი, ხოლო შესაბამისი სარჩელის აღძვრისას, მოწინააღმდეგე მხარე ვალდებულია ამტკიცოს გათავისუფლების საფუძვლის ნამდვილობა.**

- ✓ საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დადებული სასამსახურო ხელშეკრულება არ წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას, ხოლო სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ა(ა)იპ-ის დირექტორი შესაძლებელია თანამდებობიდან ნებისმიერ დროს გათავისუფლდეს. შესაბამისად, ამ მოთხოვნასთან მიმართებაში მოსარჩელის მოთხოვნას თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ, ისევე, როგორც მის სასარგებლოდ მოპასუხისთვის კომპენსაციის დაკისრებას შრომის კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად, სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

- √ ვინაიდან კონკრეტულ დავაში, მოსარჩელესთან „სასამსახურო ხელშეკრულებების“ შეწყვეტის კანონიერება არ დადასტურდა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის გამო მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი.
- √ საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 394.1. 408. 411. 412. მუხლების საფუძველზე, მოსარჩელის გათავისუფლებიდან გასული დროის ხანგრძლივობის, მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის, ასევე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ დაუსაბუთებელი იურიდიული დასკვნის საფუძველზე მოსარჩელის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო, გათავისუფლების შემდგომ მოსარჩელე სხვაგან არ დასაქმებულა, მართებულად მიიჩნია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ **ზიანის ანაზღაურების სახით – 48 000 ლარის დაკისრება**.¹⁷⁴
- √ საკასაციო სასამართლოს არაერთი განმარტებით, დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევისას დამსაქმებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორობს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. გადაცდომის (დარღვევის) დროს გამოყენებული უნდა იყოს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის. იმისთვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება, დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, არსებობდეს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშენიონილს ხდის.
- √ როდესაც უკანონოდ დათხოვნილი პირი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობასა და უფლებებში აღდგენას ითხოვს, სასამართლომ თავად უნდა შეაფასოს მოსარჩელის უფლებრივი რესტიტუციის საუკეთესო გზა შემდეგი პრიორიტეტული თანმიმდევრობით, კერძოდ, თუ მოსარჩელის ინტერესი პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენაა, სასამართლომ დასაქმებულისა და დამსაქმებლის ორმხრივი პატივსაღები ინტერესების დაცვით უნდა შეამოწმოს მითითებული მოთხოვნის საფუძველიანობა და დაკმაყოფილების მიზანშენიონილობა. პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის მოთხოვნა საფუძველიანია, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა უკანონოა, თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ იწვევს დასაქმებულის პირვანდელ მდგომარეობის აღდგენას, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია მისი აღსრულების შესაძლებლობასა და მხარეთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, მისი აღსრულების შესაძლებლობასა და ეფექტიანობაზე. შესაბამისად, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ გათავისუფლების ბრძანება უკანონოა, თუმცა

¹⁷⁴ სუსგ გადაწყვეტილება №ას-553-2019, 19 მარტი, 2021, იხ.: სუსგ-ები: №ას-1559-2019, 02 მარტი, 2020, №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019, №ას-379-363-2016, 30 ივნისი, 2016.

უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია, ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ხომ არ არის შესაძლებელი უფლებადარღვეული დასაქმებულის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა. ამ მიზნით, მან უნდა გამოიკვლიოს რა ადამიანურ რესურსს ფლობს დამსაქმებელი, რა ტოლფასი ვაკანტური პოზიციები აქვს მას, რა ფუნქციური მსგავსებაა პირვანდელ და ტოლფას თანამდებობებს შორის. იმავდროულად, სასამართლომ კვლევის შედეგები უნდა შეუსაბამოს უკანონოდ დათხოვნილი პირის ნებას, ინტერესსა და შესაძლებლობას, დაიკავოს კონკრეტული ტოლფასი თანამდებობა (იხ.: საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, გვ. 270-272).¹⁷⁵

7.1. მტკიცების ტვირთი შრომითსამართლებრივ დავებში

- ✓ მოსამართლის ერთ-ერთი ვალდებულებაა მტკიცებით საქმიანობაში მხარეთა შორის საპროცესო ვალდებულებების სწორი გადანაწილება. აღნიშნული ემსახურება პროცესის მონაწილე სუბიექტების უფლებრივი მდგომარეობის დაცვასა და იმავდროულად, უზრუნველყოფს მართლწესრიგის ეფექტურ ფუნქციონირებას. მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურსამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი. **ამის თვალსაჩინო მაგალითია შრომითი დავა, რომლის დროსაც ფაქტებზე მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი პროცესის სხვადასხვა მონაწილეს ეკისრება, კერძოდ, დასაქმებული უთითებს სამუშაოდან მისი გათავისუფლებისათვის აუცილებელი სშკ-ის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული წინაპირობების არარსებობაზე, ხოლო დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძვლის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება (Protection Against Unjustified Dismissal, International Labour Conference, 82-nd session 1995, Report III (part 4B), Geneva, 7).**
- ✓ **შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის (ჩოოდ ღეასონ) არსებობის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება. კანონმდებლის ასეთი მიდგომა განპირობებულია მეტადრე იმით, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში, „სუსტი მხარის“ კონკრეტულ შემთხვევაში, დასაქმებულის პროცესუალური თანადგომა პრიორიტეტულია. ცხადია, ეს არ უნდა მივიჩნიოთ შეჯიბრებითობისა და პროცესუალური თანასწორობის კონსტიტუციური უფლების დარღვევად. ასეთი კატეგორიის საქმეებში სწორედ, უთანასწორო დამოკიდებულებაში მყოფი სუბიექტების ერთგვარი პროცესუალური გა-**

¹⁷⁵ სუსგ №ას-997-2020, 10 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე სუსგ №ას-793-2019, 29 აპრილი, 2021.

თანაბრება ხდება, რამდენადაც, შრომითი ურთიერთობა მოიცავს ისეთ მხარებს, რომლებიც კლასიკურად ჰორიზონტალურ სიბრტყეში ვერ იქნებიან აღქმულნი ერთმანეთის მიმართ. საქმე ის არის, რომ მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლსა და დასაქმებულს არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ. დამსაქმებელი სარგებლობს მტკიცებითი უპირატესობით, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმაზე, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას საამისოდ გათვალისწინებული მართლზომიერი (ე.წ. Good Reason) საფუძველი ჰქონდა“ (იხ.: ილონა გაგუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020 წელი, გვ. 229-231; 258-259. რედ: ზ. ძლიერიშვილი, ნ. კვანტალიანი).

√ მტკიცებითი საქმიანობის სფეროში ეროვნულ დონეზე არსებული მიდგომა შესაბამისობაშია საერთაშორისო გამოცდილებასთან. მიუხედავად იმისა, რომ „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ 1982 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ მიღებულ 158 კონვენციას საქართველოსთვის სავალდებულო ძალა არა აქვს, მისი დებულებები და ამ თვალსაზრისით, განვითარებული პრაქტიკული მიდგომები საქართველოსთვისაც საინტერესოა. 158 კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 (ა) პარაგრაფი სამუშაოდან არამართლზომიერი გათავისუფლებისაგან დაცვის ეფექტიან საშუალებად მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე დაკისრებას ადგენს. კონვენციის ამ დებულების მიხედვით, მუშაკი მარტო ვერ გაუმკლავდება სამსახურიდან მისი გათავისუფლების საფუძვლის არამართლზომიერების მტკიცებით პროცესს; სწორედ ამიტომ, მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს უნდა დაეკისროს. ყოველ შემთხვევაში, კონვენცია ამ საკითხის მოწესრიგებას ეროვნული კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას უტოვებს (Termination of Employment Convention, 1982 (№ 158) (Article 9, p. 1-2.); Protection Against Unjustified Dismissal, International Labour Conference, 82-nd session 1995, Report III (part 4B), Geneva, 80).¹⁷⁶

√ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ის თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც ითხოვს მოსარჩელე, კონკრეტული სამტატო ერთეულის არარსებობის მტკიცება ეკისრება დამსაქმებელს, აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში კი, მოსარჩელე მხარეზე გადადის იმის მტკიცების ტვირთი, რომელია ტოლფასი (ფუნქციის, სამუშაოს აღწერილობისა და ხელფასის მიხედვით) თანამდებობა, რომელზეც მისი დასაქმება არის შესაძლებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სწორედ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რომელია მანამდე არსებული თანამდებობის შესაბამისი. აღნიშნული შესაძლებელია, გაირკვეს მოპასუხე საზოგადოების სამტატო ნუსხისა და შესაბამისი თანამდებობების ფუნქციის გამოკვლევის შედეგად.¹⁷⁷

¹⁷⁶ სუსგ №ას-561-2021, 26 იანვარი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-57-2022, 13 აპრილი, 2022, №ას-182-171-2017, 27 დეკემბერი, 2019, №ას-483-457-2015, წლის 7 ოქტომბერი, 2015, №ას-922-884-2014, 16 აპრილი, 2015.

¹⁷⁷ სუსგ №ას-1239-2021, 27 მაისი, 2022, იხ.: სუსგ-ები: №ას-890-857-2016, 9 ოქტომბერი 2017, №ას-475-456-2016, 24 ივნისი, 2016.

- ✓ კონკრეტულ დავაში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას, გამოყენებული უნდა იქნეს ე. წ. **favor prestatoris** პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტით. ამასთან, დასაქმებულისათვის სასარგებლო წესთა უპირატესობა არ გულისხმობს დამსაქმებლის მიერ დასაბუთებული გათავისუფლების საფუძვლების იმთავითვე უარყოფას. მოსარჩელის მიერ დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და შედეგის გათვალისწინებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია, აუცილებელი და პროპორციული ღონისძიება.¹⁷⁸
- ✓ ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენასთან ერთად, აუცილებელია, დადგინდეს, თუ რა შედეგი გამოიწვია ან/და შეიძლება გამოიწვია ამ გადაცდომას დამსაქმებლისათვის, მხოლოდ სამუშაოს გაცდენის საათებისა თუ დღეთა რაოდენობა არ არის საკმარისი სამართლებრივი დასკვნის გამოსატანად.¹⁷⁹
- ✓ სხვა საქმეში, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დასაქმებულის მიერ 2 დღის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობა, მაშინ როდესაც არ დასტურდება ამ უკანასკნელის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის გამო კომპანიისათვის მიყენებული ზიანი ან სამენარმეო საქმიანობის შეფერხება, რაიმე ისეთი გარემოება, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც რისკ ფაქტორი, ისევე, როგორც – მოსარჩელის მიერ ჩადენილი სხვა რაიმე დისციპლინური გადაცდომა, სახდელის სახით ამ უკანასკნელისათვის პირდაპირ უმკაცრესი ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება არ არის მართებული და პროპორციული ღონისძიება დამსაქმებლის მხრიდან. პალატის მითითებით, როდესაც კანონმდებელმა დამსაქმებელს მიანიჭა განსაზღვრული თავისუფლება, აუცილებელია, რომ დამსაქმებელმა გაითვალისწინოს, არამართლზომიერი ქცევის – ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „შრომითა-მართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 37 ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშაკის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაა, თუმცა, ნიშანდობლივია, დასაქმებულთა შრომის უფ-

¹⁷⁸ სუს განწყვეტილება №ას-557-2021, 24 მარტი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1421-2020, 5 მარტი, 2021, №ას-512-2020, 18 თებერვალი, 2021, №ას-941-891-2015, 29 იანვარი, 2016.

¹⁷⁹ სუსგ №ას-57-2022, 13 აპრილი, 2022, №ას-997-2019, 30 ოქტომბერი, 2019.

ლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა უნდა შეფასდეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და, რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, **შრომის სამართალში Ultima Ratio-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცულობას.** ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იყოს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის. საკასაციო პალატამ არაერთგზის მიუთითა ზომიერი ბალანსის დაცულობის აუცილებლობაზე, დისციპლინური ღონისძიების გამოყენებასა და მუშაკის მიერ განხორციელებულ დარღვევას შორის.¹⁸⁰

✓ **ერთ-ერთ საქმეში, რეორგანიზაციის (შტატების შემცირების) მოტივით დასაქმებულის გათავისუფლების მართლზომიერების შეფასებისას, სასამართლომ იმსჯელა დამსაქმებელმა უფლება ბოროტად ხომ არ გამოიყენა, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, სსკ-ის 115-ე, მე-8 მუხლსა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის უფლებას, ვინაიდან რეორგანიზაცია მუშაკთან ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმალური საფუძველი არ არის და ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები არ უნდა იქცეს უმართებულო გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერ საფუძვლად.**

✓ დამსაქმებელმა რეორგანიზაციის საფუძველით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს კუმულაციურად უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს შემდეგი წინაპირობები: ის აუცილებლობა, რომელიც შესაძლოა, ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდეს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისათვის; შტატების რეალურად და კანონთან შესაბამისად შემცირების ფაქტი – კერძოდ, რეორგანიზაციის ფაქტობრივად განხორციელება კანონის შესაბამისად ისე, რომ პროცესში არ მოხდეს თვალთმაქცურად არასასურველი მუშაკების გათავისუფლება. დამსაქმებელმა უნდა წარმოაჩინოს თანმიმდევრული სურათი, რომელიც გონიერ დამკვირვებელს დაარწმუნებს მთელი ამ პროცესის სისწორესა და კანონიერებაში. შრომითი დავებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებიდან გამომდინარე, დამსაქმებელი, რომელიც რეორგანიზაციის მართლზომიერებაზე მიუთითებს, სწორედ თავადაა ვალდებული, რეორგანიზაციისა და მისი შედეგების მოსარჩელის მიმართ მართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინოს.¹⁸¹

¹⁸⁰ სუსგ №ას-57-2022, 13 აპრილი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-536-2021, 21 სექტემბერი, 2021, №ას-416-399-2016, 29 ივნისი, 2016.

¹⁸¹ სუსგ №ას-1239-2021, 27 მაისი, 2022, იხ.: სუსგ-ები: №ას-379-2020, 21 ოქტომბერი, 2021, №ას-379-2020, 21 ოქტომბერი, 2021, №ას-1329-2018, 22 თებერვალი, 2019, №ას-115-111-2016, 8 აპრილი, 2016.

✓ საკასაციო პალატამ ერთ დავაში **განმარტა**, რომ კომპენსაცია შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანი ბალანსის აღდგენას გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მხარეებს ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობა აკავშირებდათ; შრომითი ხელშეკრულება დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით და ამ კონტექსტით, მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებით მიღებული მორალური წნეხის სიმძიმეს, მის განათლებას, კომპეტენციის, სამუშაო გამოცდილებას.¹⁸²

✓ **საკასაციო სასამართლომ სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტთან მიმართებაში განმარტა**, რომ აღნიშნული საფუძველით შრომითი ხელშეკრულების მოშლისთვის აუცილებელია: ა) შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი იყოს განსხვავებული იმავე მუხლში მითითებული სხვა საფუძველისაგან; ბ) იგი არ იყოს დამოკიდებული დამსაქმებლის სუბიექტურ ნებაზე; გ) იყოს ფაქტობრივი ე. ი. იმგვარი, რომლის დამტკიცება და უარყოფა შესაძლებელია; დ) გარეშე, ნეიტრალური დამკვირვებლის თვალში წარმოადგენდეს საკმარის მიზეზს შრომითი ხელშეკრულების მოშლისათვის. ამასთან, ნების გამოხატვის საფუძველად არსებულ ქმედებასა და ნების გამოვლენას შორის უნდა არსებობდეს შედეგობრივი კავშირი და ე) ხელშეკრულების მოშლით დამდგარ ფაქტობრივ შედეგს ხელშეკრულების შენარჩუნებით დამდგარ ფაქტობრივ შედეგთან უპირატესობა ჰქონდეს.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს შორის, ყველაზე ზოგადი ხასიათის ფორმულირება სწორედ მითითებულ საფუძველს აქვს. შესაბამისად, კანონმდებელი რამდენადაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს დამსაქმებელს, დასახელებული ნორმის ფარგლებში შეწყვეტოს შრომითი ურთიერთობა (იმავე მუხლში ჩამოთვლილ შრომის ხელშეკრულების სხვა, უფრო კონკრეტულ და ამომწურავი ხასიათის საფუძველთან შედარებით), ამდენადვე, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაქსიმალურად კონკრეტული, გასაგები და არაორაზროვანი იყოს ინდივიდუალურ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასახელებული საფუძველით. საკასაციო სასამართლოს არაერთი განმარტებით დამსაქმებლისთვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონით მინიჭებული უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად (სსკ-ის 115-ე მუხლი).¹⁸³

✓ ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატამ **განმარტა**, რომ იმგვარ კერძოსამართლებრივ ხასიათის დავებში, როდესაც საქმე ეხება დასაქმებულის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის საკითხს მაშინ, როცა ეს ადგილი ვაკანტური აღარაა, ყურადღება უნდა მიექცეს დამსაქმებლის ქცევის კეთილსინდისიერების ფაქტს. კერძოდ, **დამსაქმებლის ქცევა კეთილსინდისიერების სტანდარტს აკმაყოფი-**

¹⁸² სუსგ №ას-1239-2021, 27 მაისი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-235-2021, 18 ივნისი, 2021, №ას-379-2020, 21 ოქტომბერი, 2021, №ას-188-2021, 8 აპრილი, 2021, №ას-1540-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-115-111-2016, 8 აპრილი, 2016.

¹⁸³ სუსგ №ას-1129-2021, 02 მარტი 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1001-2018, 05 მარტი, 2021, №ას-188-2021, 08 აპრილი, 2021, №ას-1155-1086-2015, 02 თებერვალი, 2016, №ას-545-513-2012, 05 ოქტომბერი, 2012.

ლებს იმ შემთხვევაში, როდესაც ასაქმებს სხვა პირს იმიტომ, რომ სჭირდება, და არა იმიტომ, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა შეუძლებელი გახადოს. ამდენად, დამსაქმებლის კეთილსინდისიერი ქცევა ვაკანტურ თანამდებობაზე მესამე პირის დასაქმების თაობაზე, უკანონოდ გათავისუფლებულის იმავე სამუშაო ადგილას აღდგენას გამოირიცხავს. **დამსაქმებლის ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტი დამსაქმებლისვე სამტკიცებელია.** ამ მიმართებით დამსაქმებლის ქმედებათა ერთობლიობა გარკვეულ პრეზუმფციას ქმნის. როგორც წესი, ეჭვს იწვევს ხოლმე ვაკანტურ თანამდებობაზე სუბიექტის დასაქმება მას შემდეგ, როდესაც დამსაქმებელს სარჩელი ჩაბარდება (იხ.: ავტ. კოლექტივი, „საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები“, 2017, გვ. 267-268).¹⁸⁴

¹⁸⁴ სუსგ №ას-561-2021, 26 იანვარი, 2022.

8. რეაბილიტაცია

8.1. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“

- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის დანაწესი, რომელიც კრედიტორს უფლებას ანიჭებს შეეცილოს მისთვის ზიანის მომტან ქმედებას, წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის სპეციალურ სახეს.

სამართალწარმოების პროცესში მოსარჩელემ საცილოდ გახადა მოვალე საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ქმედება, რასაც მოსარჩელის მტკიცებით, შედეგად მოჰყვა ვალაუვალი საწარმოს სამეურვეო ქონების გაუფასურება. საკასაციო პალატის შეფასებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის დანაწესი, რომელიც კრედიტორს უფლებას ანიჭებს, შეეცილოს მისთვის ზიანის მომტან ქმედებას, წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის სპეციალურ სახეს და ზიანის ანაზღაურების საკითხი სპეციალური კანონით განსაზღვრული ნანამძღვრებისა და სამოქალაქო კოდექსით ზიანის ანაზღაურებისათვის დაწესებული სავალდებულო ზოგადი წინაპირობების არსებობის შემთხვევით უნდა გადაწყდეს.

- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ამ ნორმით კრედიტორმა შესაძლოა, საცილო გახადოს არა მხოლოდ მისთვის ზიანის მომტანი გარიგება, არამედ დელიქტური ქმედებაც, შესაბამისად, სპეციალურ კანონში იმპლემენტირებული ამ ნორმის მიზნისა და ფუნქციის გათვალისწინებით, **ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მონესრიგების სფეროში უნდა მოექცეს არამხოლოდ მოვალესთან დაკავშირებულ პირთან დადებული გარიგება, არამედ ამ პირის მიერ ჩადენილი კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებაც, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება.**

სპეციალური კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია, სადავო გახადოს მოვალის ზიანის მომტანი ქმედება, თუმცა ამავე მუხლის მეორე პუნქტი ავინროებს ქმედების შეცილებით კრედიტორის იურიდიული ინტერესის რეალიზების შესაძლებლობას და მას უკავშირებს შემთხვევას, როდესაც სადავო **ქმედებებმა მოვალე გადახდისუუნარობამდე მიიყვანა ან თუ მოვალე უკვე გადახდისუუნარო იყო და სარგებლის მიმღებმა ეს იცოდა ან უნდა სცოდნოდა.** ამდენად, კანონმდებელი კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნის პერსპექტიულობას იმპერატიულად უკავშირებს ქმედების მნიშვნელობას გადახდისუუნარობის კონტექსტში, რაც ნიშნავს, რომ საცილო ქმედება უნდა განხორციელდეს მოვალის ფაქტობრივი გადახდისუუნარობის პირობებში ან ამ ქმედებებმა განაპირობონ მოვალის ვალაუვალი მდგომარეობა. ამავდროულად, კუმულატიურად უნდა არსებობდეს მეორე პირობაც – სარგებლის მიმღებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოვალის გადახდისუუნარობის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც გამორიცხავს ამ პირის კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტს და, აქედან გამომდინარე, მისი სამართლებრივი დაცვის აუცილებლობასაც. **ამავე მუხლის მესამე პუნქტი კიდევ უფრო შორს მიდის და შეცილების ვადას ერთიდან ორ წლამდე ზრდის იმ შემთხვევა-**

ში, როდესაც 35-ე მუხლით გათვალისწინებული საცილო გარიგების კონტრაქენტი მოვალესთან დაკავშირებული პირია.

- ✓ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის პასუხისმგებლობის დადგომისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:
1. კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედება;
 2. ქმედებამ უნდა განაპირობოს მოვალის გადახდისუუნარობა ან ქმედების განხორციელების მომენტში მოვალე უნდა იყოს გადახდისუუნარო;
 3. სარგებლის მიმღებმა უნდა იცოდეს მოვალის გადახდისუუნარობის/ან შესაძლო გადახდისუუნარობის თაობაზე;
 4. სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე უნდა იყოს მოვალესთან დაკავშირებული პირი – სარგებლის მიმღები კრედიტორის ან შეცილებული გარიგების კონტრაქენტი პირის სტატუსით;
 5. სადავო ქმედება ჩადენილი უნდა იყოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე – 2 წლის განმავლობაში;
 6. მოპასუხე უნდა მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, ხოლო ზიანი ამგვარი ქმედების უშუალო შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

მოსმობილი საკანონმდებლო დანაწესის თანახმად, **კრედიტორისათვის ზიანის მომტანად ჩაითვლება...** ა) მოვალის ქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას და კონკრეტულ კრედიტორს უპირატესობა მიანიჭა იმავე რიგის სხვა კრედიტორებთან შედარებით; ბ) **მოვალის მიერ ისეთი გარიგების დადება ან სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება** (მათ შორის, სამეურვეო ქონების ან მისი ნაწილის გაჩუქება ანდა საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად გასხვისება, ვალის პატიება და სხვა).¹⁸⁵

8.2. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“

- ✓ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კრედიტორის ან მოვალის მიერ მმართველის/ზედამხედველის შედგენილი კრედიტორთა რეესტრის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში გასაჩივრებისას, სასამართლოს მიერ განჩინების ფორმით მიღებული გადაწყვეტილება საჩივრება კერძო საჩივრით.¹⁸⁶

საკასაციო სასამართლომ თავისი განმარტება შემდეგით დაასაბუთა:

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ სა-

¹⁸⁵ სუსგ №ას-251-2020, 10 თებერვალი, 2021.

¹⁸⁶ სუსგ №ას-56-2022, 25 თებერვალი, 2022.

ქართველოს კანონი (სპეციალური კანონი) ითვალისწინებს კრედიტორთა ერთიანი რეესტრის წარმოების წესებს (სპეციალური კანონის 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლები). კრედიტორთა რეესტრში შეიტანება კრედიტორთა მოთხოვნები და იგი წარმოადგენს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის დადგენის ცენტრალურ დოკუმენტს. შესაბამისად, გადახდისუუნარობის წარმოების ზოგადი პრინციპების და სპეციალური კანონის გაცხადებული მიზნიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, კრედიტორთა რეესტრში სრულად და დროულად აისახოს კრედიტორთა მოთხოვნები.

სპეციალური კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმებას ახორციელებს და კრედიტორთა რეესტრს ადგენს მმართველი/ზედამხედველი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობიდან 60 დღის ვადაში, კრედიტორებისა და მოვალისაგან მიღებული ან/და მის მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტით, მმართველი/ზედამხედველი ამ კანონის 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად შედგენილ კრედიტორთა რეესტრს ელექტრონულ სისტემაში აქვეყნებს. ნებისმიერ კრედიტორს ან მოვალეს უფლება აქვს, მმართველის/ზედამხედველის მიერ შედგენილი კრედიტორთა რეესტრი გაასაჩივროს სასამართლოში მისი გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესით, დაჩქარებულად განიხილავს.

ამდენად, კრედიტორთა რეესტრი სამართლებრივ ძალას იძენს ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებით. სასამართლო კრედიტორთა რეესტრის დამტკიცების პროცესში არ მონაწილეობს და მის ძალაში შესვლას საფუძველად არ უდევს სასამართლოს განჩინება. შესაბამისად, თუ პირი არ ეთანხმება რეესტრის მონაცემებს, მას აღარ აქვს უფლება, კერძო საჩივრით განაცხადოს პრეტენზია, როგორც ეს იყო შესაძლებელი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის ფარგლებში (სუსგ №ას-210-2021, 09.03.2021). ის გარემოება, რომ სასამართლო აღარ მონაწილეობს რეესტრის დამტკიცებაში, შესაბამის სამართლებრივ შედეგს იწვევს, საჭიროა კრედიტორთა რეესტრის დამოუკიდებლად გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც ამავე მუხლის სხვა ჩანაწერებთან ერთად განაპირობებს ბუნდოვანებას გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით.

სპეციალური კანონის მე-10 მუხლი (რომელზე მითითებასაც შეიცავს 54-ე მუხლის პირველი პუნქტი) ითვალისწინებს სასამართლოში სამი ინსტანციით საქმის განხილვის კანონისმიერ შესაძლებლობას (სწორედ ამ წესით იქნა წარმოდგენილი წინამდებარე საქმეზე საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საჩივარი). ასეთი რეგულაციის პირობებში ჩნდება იმ დაშვების საფუძველი, რომ კრედიტორთა რეესტრის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხი განხილულ იქნეს სამი ინსტანციით, მაშინ, როდესაც ახალი ნორმატიული რეგულაციის მიზანი ამ პროცედურების გამარტივება და სწრაფი განხილვაა.

არ არის სავარაუდო, რომ კანონმდებელს სურდა მოკლე და ორეტაპიანი კერძო საჩივრის განხილვის პროცედურა სასარჩელო წარმოებით ჩაენაცვლებინა (ბათლიძე გ., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძველები „რეაბილიტაციისა და კრე-

დიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., თბილისი, 2021, გვ. 90). გადახდისუუნარობის წარმოება ჩვეულებრივ, მოითხოვს, რომ რთული ეკონომიკური გადაწყვეტილებები სწრაფად იქნეს მიღებული. რეკომენდებულია, შეიზღუდოს ის სიტუაციები, როდესაც სასამართლომ ასეთი საკითხები უნდა გადაწყვიტოს (შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, გამომც. სიესტა, 2011, გვ. 14).

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სპეციალური კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც ლოგიკურად აგრძელებს პირველი პუნქტით განსაზღვრულ მმართველის/ზედამხედველის მიერ დამტკიცებულ კრედიტორთა რეესტრზე პრეტენზიის განხილვის რეგულაციას და არაორაზროვნად ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით, რომლის შესაბამისად, მმართველს/ზედამხედველს ცვლილება შეაქვს კრედიტორთა რეესტრში და აქვეყნებს მას ამ კანონით დადგენილი წესით. თავის მხრივ, სპეციალური კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი განჩინების ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებებზე მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანის წესს ადგენს.

საბოლოოდ, მითითებულ ნორმათა სისტემური განმარტების ასევე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პრინციპებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ კრედიტორის ან მოვალის მიერ მმართველის/ზედამხედველის შედგენილი კრედიტორთა რეესტრის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში გასაჩივრებისას, სასამართლოს მიერ განჩინების ფორმით მიღებული გადაწყვეტილება საჩივრება კერძო საჩივრით.

სამართლებრივი დასკვნა

წინამდებარე დასკვნაში თემატური თანმიმდევრობით ასახულია ნაშრომში მითითებული განმარტებების ნაწილი, რომელიც ავტორმა შედარებით უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია. ვფიქრობთ, დასკვნა გაუმარტივებს დაინტერესებულ პირებს მათთვის საინტერესო საკითხის მოძიებასა და გაცნობას.

იძულებით დაღებული ბარიერა

- ✓ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში ამკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. „...შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 408 ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა.¹⁸⁷

ხანდაზმულობა

- ✓ ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პ.51) (Stubbings and Others vs. The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).¹⁸⁸
- ✓ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოოდ, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახემეცვლილი იყოს,

¹⁸⁷ სუსგ №ას-679-2021, 18 იანვარი, 2022.

¹⁸⁸ სუსგ №ას-1352-2021, 18 მარტი, 2022.

ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადანწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან.¹⁸⁹

- ✓ სესხისა და იპოთეკის რეალიზაციის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე გამოყენებული უნდა იქნეს ის ვადა, რომელიც სესხის ხელშეკრულების მოთხოვნაზე ვრცელდება.¹⁹⁰
- ✓ პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას.¹⁹¹
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლაზე, როგორც აღმჭურველ უფლებაზე, არ ვრცელდება ხანდაზმულობა, მისი თანმდევი შედეგი – რესტიტუცია ექვემდებარება ხანდაზმულობას. ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოშობილ ვალდებულებაზე სსკ-ის 128.3 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა ვრცელდება, რომელიც იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან.¹⁹²

170-172-ე მუხლები

- ✓ **ევროსასამართლომ რეგისტრირებული საკუთრების უფლების არარსებობის მიუხედავად, მფლობელობა კეთილსინდისიერად, ხოლო მართლზომიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის №1 მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია.**¹⁹³
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკუთრების უფლება ფართოდაა განმარტებული და იგი მოიცავს მთელ რიგ ქონებრივ/ფულად უფლებებს, რომელიც საკუთრებიდან გამომდინარეობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში RYSOVSKYY v. UKRAINE განმარტა, რომ როდესაც სასწორზე დევს საზოგადოებრივი ინტერესი, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა მაგალითად, საკუთრების უფლება, საჯარო ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების ფარგლებში, სათანადოდ და, რაც მთავრია, შესაბამისად (RYSOVSKYY v. UKRAINE, 2012).
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – მარქსი ბელგის ნი-

¹⁸⁹ სუსგ №ას-345 -2020, 22 ივნისი, 2022.

¹⁹⁰ სუსგ №ას-1345-2018, 15.03.2019, №ას-1191-2019 04.12.2019.

¹⁹¹ სუსგ №ას-513 -2021, 24 იანვარი, 2022.

¹⁹² სუსგ №ას-1361-2020, 11 მარტი, 2021, იხ.: ასევე სუსგ №ას-1209-1169-2016, 12 ივლისი, 2017.

¹⁹³ სუსგ №ას-1467-2019, 26 თებერვალი, 2021.

ნაღმდეგ განმარტა: „იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, პირველი მუხლი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები „საკუთრება“ და „საკუთრების გამოყენება.“ (მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხ. №6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი).

- ✓ „საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. ამავე დროს სახელმწიფო პოზიტიურადაა ვალდებული, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების წევრებს შორის. სახელმწიფოს გააჩნია დაცვის ვალდებულება, რომელიც მას გარკვეული ქმედების შესრულებას ავალდებულებს.“ (იხ.: ფირცხალაიშვილი ა., სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1/12 თბ., 2012, 49).¹⁹⁴
- ✓ **საჯარო რეესტრის ამონაწერის „ვალდებულების“ ველში არსებული ჩანაწერი მოსარჩელის სამომავლო უფლების თაობაზე, ავტომატურად არ აქცევს მას უძრავი ნივთის მესაკუთრედ, არამედ ანიჭებს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას.**¹⁹⁵
- ✓ სასამართლომ პაპის (მესაკუთრის) ვინდიკაციური სარჩელის უარყოფისას **განმარტა:** მცირეწლოვანი ბავშვების გამოსახლება თანხვედრაშია დედის გამოსახლებასთან და მხარეებს შორის, არ არის მხოლოდ მესაკუთრესა და უკანონო მფლობელს შორის ურთიერთობა, არამედ იგი მოიცავს ასევე პაპისა და შვილიშვილების ურთიერთობასაც (ურთიერთრჩენის თვალსაზრისით) და სწორედ ამიტომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები „წინ უსწრებს“ საკუთრების უფლებას.¹⁹⁶

185-ე მუხლი

- ✓ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმციას: სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი.
- ✓ უძრავი ქონების შემძენს თავისი უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები. ამ მდგომარეობას არარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რე-

¹⁹⁴ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, იხ.: ასევე, სუსგ №ას-1720-2019, 9 იანვარი, 2020.

¹⁹⁵ სუს გადაწყვეტილება №ას-900-2018, 08 თებერვალი, 2022.

¹⁹⁶ სუს გადაწყვეტილება №ას-1375-2021, 16 ივნისი, 2022.

ესტრის ჩანაწერის უსწორობაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციას და, შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა.¹⁹⁷

სარპიტუტი

- ✓ გარიგების (ხელშეკრულების) საფუძველზე წარმოშობილი სერვიტუტის შეწყვეტისათვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით – გაუქმების ხელშეკრულების დადება, სერვიტუტის დადგენისათვის გათვალისწინებული ფორმით ან დერელიქცია, სსკ-ის 184-ე მუხლის მიხედვით.¹⁹⁸

180-ე მუხლი

- ✓ სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომპენსაციას ექვემდებარება არა მხოლოდ აუცილებელი გზის ფარგლებში არსებული თმენის ვალდებულება, ასევე ის შეზღუდვა, დანაკარგი, დანაკლისი, თუ ზემოქმედება, რისი თმენის ვალდებულებაც მესაკუთრეს აუცილებელი გზის დაწესებიდან გამომდინარე წარმოეშობა.
- ✓ კომპენსაციის ოდენობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები და ის ინტერესი, რაც მესაკუთრეს ან მფლობელს ექნებოდა შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. ამასთან, შეზღუდვის კანონიერება, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მოწმდება ე. წ. პროპორციულობის ტესტით: იგი უნდა ემყარებოდეს ლეგიტიმურ საფუძველს, გამართლებული უნდა იყოს საზოგადოების აუცილებელი საჭიროებით და მიზნის მიღწევა ნაკლებად მზლუდავი საშუალებით არ უნდა იყოს შესაძლებელი.¹⁹⁹

206-ე მუხლი

- ✓ კრედიტორს უარი ეთქვა იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციაზე, იმ საფუძველით, რომ მოვალის ცვლილებისას მესაკუთრის ნებართვა არ არსებობდა.
- ✓ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი არ წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ (ე. წ. „საგამონაკლისო ნორმა“) ნორმას და მისი ანალოგიით გამოყენება იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართაც, დასაშვებია.

¹⁹⁷ სუსგ №ას-950-2020, 5 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-837-2019, 14.09.2020, №ას-931-2020, 22.01.2021.

¹⁹⁸ სუსგ №ას-1058-2020, 9 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1549-2018 25 იანვარი, 2019, №ას-1108-1312-05, 18 ივლისი, 2006, №1416-1548-04 21 აპრილი, 2005.

¹⁹⁹ სუსგ №ას-568-2021, 26 ნოემბერი, 2021.

- ✓ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი უნდა შეფასდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა აყალიბებს საზოგადოების ლეგიტიმურ მოლოდინს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, **გირავნობის საგნის მესაკუთრის (დამგირავებელი) უფლების დაცვის უფრო მეტი გარანტიების დაწესება, ვიდრე ანალოგიურ ვითარებაში მყოფი იპოთეკის საგნის მესაკუთრისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანაბარი მოპყრობისა და სამართლიანობის პრინციპებთან.**
- ✓ საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლომ** არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სასამართლომ ყოველ განსახილველ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, თუ რა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას ემსახურება სადავო რეგულაცია და რამდენად შეესაბამება იგი თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს“ (იხ: 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746) და, რომ „მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესებს წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარება (მონესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა).“ (იხ.: 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531).²⁰⁰

იპოთეკა

- ✓ იპოთეკის საგნის შემძენზე (ახალ მესაკუთრეზე) გადადის ის შესაგებლებიც, რომლებიც იპოთეკის საგნის წინა (ძველ) მესაკუთრეს ჰქონდა.
- ✓ რადგან არსებობს იპოთეკის უფლება (აქცესორული უფლება), არსებობს პრეზუმფციაც, რომ სახეზეა ის მთავარი უფლებაც, რომლის უზრუნველყოფადაც იქნა გამოყენებული იპოთეკა.
- ✓ 206-ე მუხლის კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელია არ იყოს გათვალისწინებული იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებები, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც უძრავი ქონების დაცვის უფრო მაღალ გარანტიებს აწესებს სახელმწიფო, თუნდაც საჯარო რეესტრის არსებობით და კეთილსინდისიერი შემძენის ცნებებით.
- ✓ სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ იმგვარად, რომ სიტყვა „სხვა მოთხოვნა“ გულისხმობს მხოლოდ ახალი საფუძვლით თუ ახალი გარიგებით წარმოშობილ სხვა მოთხოვნას. აქ იგულისხმება ის შემთხვევაც, როდესაც იცვლება მოვალე პირი, ანუ მოთხოვნა წარდგენილია არა თავდაპირველი, არამედ ახალი მოვალის მიმართ.²⁰¹

²⁰⁰ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

²⁰¹ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, იხ.: ასევე №ას-504-2021, 6 ოქტომბერი, 2021.

- ✓ მესაკუთრისთვის მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ შესაგებლის წარდგენის უფლების მინიჭება გამორიცხავს მისი ნების გამოვლენის გარეშე, მხოლოდ პირადი მოვალის მიერ ვალის აღიარებით, იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის ხანდაზმულობის შეწყვეტას.²⁰²

360-ე მუხლი

- ✓ **360 I მუხლი წარმოადგენს 398 II მუხლის შესაბამისად, გარიგების საფუძვლის დარღვევის სპეციალურ შემთხვევას.**

ნასყიდობა

- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით აღსანიშნავია მყიდველის შემდეგი მეორადი მოთხოვნის უფლებები, რომლებიც მას წარმოეშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველმა დაარღვია სსკ-ის 488-489-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება: 1) ნივთის ნაკლის გამოსწორება; 2) ნაკლიანი გვაროვნული ნივთის შეცვლა; 3) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა; 4) ფასის შემცირება, თუკი მყიდველი არ ითხოვს ნაკლის გამოსწორებას, ან ახლით შეცვლას და არც ხელშეკრულებიდან გასვლას; 5) უარი საქონლის მიღებაზე, თუკი გამყიდველი მიაწვდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობით; 6) მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ✓ ნივთის ნაკლის გამოსწორება განხილულ უნდა იქნეს იმგვარ მეორად მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენი მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის.
- ✓ **შესრულების შეუძლებლობის პირობებში კონტინენტურ სამართალში უპირატესად გამოსაყენებელია ნაკლის გამოსწორების მეორადი მოთხოვნის უფლება აზრს კარგავს და კრედიტორისათვის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებია პრიორიტეტული.**²⁰³
- ✓ **ნივთობრივი ნაკლის არსებობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წინაპირობას არ წარმოშობს. ფასის შემცირება იწვევს ნასყიდობის შეთანხმებული ფასის ცვლილებას - არა ანაზღაურებაზე სრულად უარს.**²⁰⁴
- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჯერ გამყიდველმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება (გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი) და შემდეგ კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს ფასი, როგორც წესი, ქონების გადაცემისთანავე.²⁰⁵

²⁰² სუსგ №ას-92-2019, 27 ოქტომბერი, 2021.

²⁰³ სუსგ №ას-340-2021, 25 ივნისი, 2021.

²⁰⁴ სუსგ №ას-239-2021, 20 იანვარი, 2022.

²⁰⁵ სუსგ №ას-345 -2020, 22 ივნისი, 2022.

იჯარა

- ✓ ვინაიდან მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა ნაკლიანი ნივთი, რის გამოც მას წართმეული ჰქონდა სარგებლობისა და შესაბამისად ნაცოფის მიღების შესაძლებლობა, საკასაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნა ხსენებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში საიჯარო ქირის დაკისრების შესახებ სსკ-ის 581-ე, 532-ე, 533-ე და 536-ე მუხლების საფუძველზე ნაწილობრივ უარყო.²⁰⁶
- ✓ იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო არ არის, ვინაიდან იგი შეიძლება როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით დაიდოს. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტილად ცნობისა და მოიჯარის ქირის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის უფლების საჯარო რეესტრში გაუქმება საკმარისი არ არის, გადამწყვეტია საიჯარო ფართის ფაქტობრივი ფლობის შეწყვეტის თარიღის განსაზღვრა.²⁰⁷

სესხი

- ✓ სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა.
- ✓ თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. ანუ გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი, შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით.
- ✓ მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი.²⁰⁸
- ✓ სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე კრედიტორის ნების გამოვლენისას, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებები კიდევ 3 თვის განმავლობაში ინარჩუნებს ძალას და სესხის ხელშეკრულების დარღვევით/ვალდებულების შეუსრულებლობით განპირობებული სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტიც სწორედ ზემოაღნიშნული სამთვიანი პერიოდის უშედეგოდ ამოწურვას უკავშირდება.²⁰⁹

²⁰⁶ სუსგ №ას-1185-2020, 20 მაისი, 2021.

²⁰⁷ სუსგ №ას-406-2021, 29 ოქტომბერი, 2021.

²⁰⁸ სუსგ №ას-895-2021, 23 დეკემბერი, 2021, №ას-1288-2019, 04 მარტი, 2021.

²⁰⁹ სუსგ №ას-892-2019, 16 აპრილი, 2021.

ნარღობა

- ✓ „ნივთის ნაკლის გამოსწორება ან მისი ახლით შეცვლა განხილულ უნდა იქნეს დამატებითი შესრულების მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის.
- ✓ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს აკისრია.²¹⁰
- ✓ კანონის რომელიმე დანაწესი ვალდებულების შესრულებულად მიჩნევას იმპერატიულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას არ უკავშირებს. მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც სხვა მტკიცებულებით უტყუარად დასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა მოსარჩელის მოთხოვნის უარყოფის საფუძველი ვერ გახდება.
- ✓ სამოქალაქო დავის განხილვისას, სასაქონლო ზედნადებსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას რაიმე უპირატესი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.²¹¹

დავალების ხელშეკრულება

- ✓ კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ გასამრჯელოს თაობაზე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის არარსებობის მიუხედავად, მისი ოდენობა დადგინდეს ნიხრების ან ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების მიხედვით, გონივრული ოდენობით.

დაზღვევა

სსკ-ის 829-ე მუხლი

- ✓ დაზღვევის ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამოიწვევს, ყველა სხვა შემთხვევა კი, დამზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.
- ✓ საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ ნყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს.²¹²

²¹⁰ სუსგ №ას-856-2021, 8 ოქტომბერი, 2021.

²¹¹ სუსგ №ას-1374-2021, 15 აპრილი, 2022.

²¹² სუსგ №ას-1260-2021, 21 აპრილი, 2022, იხ. ასევე №ას-1147-1067-2017, 29 დეკემბერი, 2017.

- ✓ მძღოლის მხრიდან მარტივი გაუფრთხილებლობა არ არის მზღვეველის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. მზღვეველის პასუხისმგებლობას გამომრიცხავს უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედება.²¹³

832-ე მუხლი

- ✓ „სუბროგაციის“ პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით, დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ასეთ შემთხვევაში ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. **ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით). სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან.**²¹⁴

საბანკო კრედიტი

საპროცენტო სარგებელი

- ✓ მხარეებს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებული სარგებლის ოდენობა წლიური 10%-დან 22%-მდე, ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის საშუალო მაჩვენებლისგან შეუსაბამო და მართლსაწინააღმდეგო პირობას არ წარმოადგენს.²¹⁵

საზიარო საკუთრება

- ✓ როდესაც მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებას მხოლოდ მინის ნაკვეთზე განთავსებული ნაგებობები წარმოადგენს, ხოლო **მინის ნაკვეთის კონკრეტული წილობრივი კუთვნილება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, თანამესაკუთრეთა წილების დასადგენად გამოიყენება სსკ-ის 954-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.** ასეთ შემთხვევაში, სა-

²¹³ სუსგ №ას-1479-2019, 21 იანვარი, 2020.

²¹⁴ სუსგ №ას-482-2022, 10 ივნისი, 2022.

²¹⁵ სუსგ №ას-386-2019, 2 აპრილი, 2021.

კუთრების უფლებაზე გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ფლობა და უპირატესობა საჯარო რეესტრში ასახულ მონაცემებს უნდა მიენიჭოს.²¹⁶

უსაფუძვლო გამდიდრება

სსკ-ის 982-ე მუხლი

- ✓ სსკ-ის 982-ე მუხლის სამართლებრივი ბუნება და მისგან გამომდინარე შედეგები კავშირშია სსკ-ის 164-ე მუხლთან და მასში განმტკიცებულ სანივთო უფლებასთან: ნივთის მფლობელობისას მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მფლობელობა წარმოშობს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენების აუცილებლობას სსკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე. სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ქონებრივი წონასწორობის აღდგენის მიზნით ხელმყოფს ეკისრება, რომ მის მიერ დაზოგილი სიკეთე – მოცემულ შემთხვევაში დაზოგილი ქირა (რომელსაც იგი გადაიხდიდა, თუკი მესაკუთრესთან ან სხვასთან, სამართალურთიერთობაში იქნებოდა) აუნაზღაუროს მესაკუთრეს, რომელმაც ვერ მიიღო შესაბამისი სარგებელი და განიცადა ქონებრივი დანაკლისი.²¹⁷

დელიქტი

- ✓ კანონმდებელი არ ადგენს ცალკეულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.
- ✓ არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის დროს, ეროვნული სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზე დამოკიდებული.
- ✓ სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფის

²¹⁶ სუსგ №ას-365-2021, 20 აპრილი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1486-2020, 6 ოქტომბერი, 2021, №ას-37-2020, 16 დეკემბერი, 2020.

²¹⁷ სუსგ №ას-586-2021, 24 დეკემბერი, 2021.

ფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არამ-რომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვე-ული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გა-მომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებ-ლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულ-ფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, რომ დასტურდებოდეს დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედე-გია.²¹⁸

სამედიცინო დელიქტი

- ✓ სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მოსარჩელის თანხმობის არარ-სებობის პირობებში მისი მოთავსება მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში უნ-და შეფასდეს არამართლზომიერ თავისუფლებების შეზღუდვად, რომელიც ვერ იქ-ნება გამართლებული, რამდენადაც არ აკმაყოფილებს კონვენციითა და ეროვ-ნული კანონმდებლობით დადგენილ იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც სავალდე-ბულოა პირისათვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დასად-გენად.
- ✓ სასამართლომ მოცემული შემთხვევა **მოსარჩელის პირადი ხელშეუხებლობის შელახვის ფაქტად მიიჩნია**, რაც მოსარჩელეს ანიჭებს მორალური ზიანის მოთ-ხოვნის უფლებას სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე და მეექვსე ნაწილების საფუძველ-ზე.
- ✓ მორალური ზიანის მახასიათებელია ადამიანის ფსიქიკურ და სულიერ სფეროზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც გამოიხატება მის ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას, გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სუ-ლიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა.შ. ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ სანინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.²¹⁹
- ✓ სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის შემთხვე-ვაში, პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია მოითხო-ვოს პაციენტისათვის მიყენებული როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

²¹⁸ სუსგ №ას-1626-2018, 12 თებერვალი, 2021, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019, №ას-866-816-2015, 12 თებერვალი, 1016, №ას-594-562-2015, 6, ნოემბერი, 2015, №ას-797-940-2015, 10 სექტემბერი, 2015, №ას-95-90-2013, 14 ივნისი, 2013.

²¹⁹ სუსგ №ას-1129-2020, 16 მარტი, 2021.

- ✓ მკურნალობის შედეგად გამონვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამონვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამონვეული უნდა იყოს მკურნალობისა და შედეგობრივი შეცდომებით, ანუ თუ მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.
- ✓ საექიმო შეცდომით პირისათვის მიყენებული ზიანი შესაძლოა, იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა, გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებით, დამატებითი ხარჯების განწევით და სხვა. ხოლო მორალური (არაქონებრივი) ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებსა და სულიერ ტკივილში, რომელსაც იგი განიცდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე შეაფასა შვილის გარდაცვალებით მშობლისათვის მიყენებული მორალური ზიანი და განმარტა: უდავოა, რომ ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებსა და სტრესულ მდგომარეობასთან... მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის (არაქონებრივი ზიანის) ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამონვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.²²⁰

საოჯახო სამართალი

1158-ე მუხლი

- ✓ მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია არ არის განმსაზღვრელი საკუთრებაზე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის უფლებრივი რეჟიმის გასაზრცელებლად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ სადავო ნივთების შექენისას მეუღლეები აღარ აწარმოებდნენ საერთო მეურნეობას და ქორწინება, მიუხედავად რეგისტრაციის არსებობისა, ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო.²²¹

ალიმენტი

- ✓ სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა.

²²⁰ სუსგ №ას-253-2021, 11 ივნისი, 2021.

²²¹ სუსგ №ას-1226-2020, 25 მარტი, 2021.

- ✓ საქორწინო კონტრაქტში კონკრეტული საალიმენტო თანხის ასახვა, არ არ-
თმევს უფლებას მეუღლეს/მეუღლეებს გარკვეული პირობებისა თუ გარე-
მოებების შეცვლისას, ახლებურად განსაზღვრონ გადასახდელი (მოთხოვ-
ნილი) თანხის ოდენობა, ხოლო სადავოობის შემთხვევაში, მისი განსაზღვრა
სასამართლოს მიანდონ.²²²

1160-ე მუხლი

- ✓ მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის დროს, სადავო ქონებაზე მესაკუთ-
რედ დაურეგისტრირებელი მეუღლის შედავება, ქონების გასხვისების გარი-
გების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაპირობებს, თუ დადგინდე-
ბა, შემძენმა არა მხოლოდ იცოდა ნასყიდობის საგანზე სხვა მესაკუთრის არ-
სებობის თაობაზე, არამედ ამავდროულად, ინფორმირებული იყო, რომ ქო-
ნების მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლე ქონების გასხვისების წი-
ნააღმდეგი იყო. სხვა შემთხვევაში პრეზუმირებულია, რომ რეგისტრირებუ-
ლი მესაკუთრე მოქმედებს მეუღლესთან ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შემ-
ძენი შემძენის ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.²²³
- ✓ თუკი მეუღლეთა თანასაკუთრებაში რამდენიმე მოძრავი ნივთია, ერთმანეთს
შორის მათი გაყოფისას, უმთავრესია, რომ ყველა ამ ნივთზე თანამესაკუთ-
რე მეუღლეთა უფლებები თანაბარწილად განისაზღვროს.²²⁴

1240-ე მუხლი

- ✓ სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული ზემოაღნიშნული გარემოებები ერ-
თმანეთისგან დამოუკიდებელ (ალტერნატიულ) პირობებად განიხილა და მი-
იჩნია, რომ თითოეული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებე-
ლია სასამართლოს მიერ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება.²²⁵
- ✓ სსკ-ის 1240-ე მუხლი არეგულირებს, არა მშვილებლის მიერ ნაშვილების შვილად
აყვანას, არამედ სასამართლოს მიერ ნაშვილების შვილად აყვანის ფაქტის და-
დასტურებას.
- ✓ სსკ-ის 1240-ე მუხლის შინაარსიდან განსხვავებული მიდგომა სრულწლოვანი და
არასრულწლოვანი პირების მიმართ, რასაც რაიმე გონივრული და დასაბუთებუ-
ლი საფუძველი გააჩნია, არ გამომდინარეობს. შვილად ასაყვანი პირის სრულ-
წლოვანება არ წარმოადგენს ამ ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზების და-
მაბრკოლებელ გარემოებას.²²⁶

²²² სუსგ №ას-767-2021, 18 ნოემბერი, 2021, იხ. ასევე სუსგ-ები: №ას-1141-1061-2017, 17.10.2017, №ას-967-916-2015, 15.12.2015, №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011.

²²³ სუსგ №ას-1400-2020, 29 აპრილი, 2022.

²²⁴ სუსგ №ას-427-2020, 23 თებერვალი, 2022.

²²⁵ სუსგ №ას-1264-2018, 27 ოქტომბერი, 2021.

²²⁶ სუს გადაწყვეტილება №ას-486-486-2018, 28 ოქტომბერი, 2021.

სამეწარმეო სამართალი

- ✓ დერივატიული სარჩელის საგანია პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მის ნაცვლად და მის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა.²²⁷
- ✓ დერივატიული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივატიული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ.²²⁸
- ✓ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა. შესაბამისად, ასეთი ზომის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობისას. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა; სახელდობრ, როდესაც მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდის მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი, რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და, მაშასადამე, საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას. ამდენად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობისას, როდესაც სახეზეა კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც არღვევს ნდობას პარტნიორთა შორის და, რის გამოც მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება.
- ✓ **საწარმოს რეგისტრაციის შემდგომ კაპიტალის გაზრდა ვერ გახდება პარტნიორის გარიცხვის საფუძველი.**²²⁹
- ✓ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველია აღნიშნულის თაობაზე საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. გარიცხვა იწვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს. შესაბამისად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შედეგად წილის ჩამორთმევის ავტომატური სამართლებრივი შედეგი არ დგება და არც სა-

²²⁷ სუსგ №ას-335-2020, 24 მარტი, 2021.

²²⁸ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, ასევე, №ას-898-848-2015, 09 მარტი, 2016.

²²⁹ სუსგ №ას-324-2021, 29 ივნისი, 2021.

ზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების საფუძველი არ არის. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სწორედ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მიიჩნევა პარტნიორი გარიცხულად საზოგადოებიდან.

- ✓ შენატანის განხორციელება პარტნიორის ძირითადი მოვალეობაა, რომლის შეუსრულებლობა კაპიტალურ საზოგადოებაში შესაძლოა, წილის დაკარგვითა და საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვით დასრულდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საწარმოში წილზე საკუთრების უფლება კონვენციით დაცულ საკუთრების უფლების ფარგლებში ექცევა (Bramelidand Malmström v. Sweden, განაცხადის №. 8588/79, 1982). საკუთრების უფლების შეზღუდვა კი, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი.²³⁰
- ✓ 46.2¹ მუხლი ნილების ახალი თანაფარდობის დადგენის „შესაძლებლობას“ ითვალისწინებს, რაც იმას გულისხმობს, რომ პარტნიორთა წილების ხელახალი პროცენტული გადანაწილება დამატებითი შენატანის შეუტანლობის ავტომატური შედეგი არ არის, ის პარტნიორთა დისკრეციას განეკუთვნება.²³¹
- ✓ გარიგება, რომელიც დადებულია საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან. კეთილსინდისიერ კონტრაქტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაქტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაქტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ.²³²
- ✓ სასარჩელო მოთხოვნას კომპანიის დირექტორის სასამართლოს მიერ დანიშვნის შესახებ არ გააჩნია მატერიალური საფუძველი, რამდენადაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული საკითხი არა სასამართლოს, არამედ კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მისაღები გადაწყვეტილებაა და იგი ავტონომიურობით ხასიათდება.²³³
- ✓ დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას.

²³⁰ სუსგ №ას-937-2020, 1 დეკემბერი, 2021, ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-1060-1090-2011, 21 ივლისი, 2011, №ას-556-939-06, 13 მარტი, 2007, №ას-614-951-07, 12 ოქტომბერი, 2007, სუსგ №3კ/303-01, 9 მარტი, 2001, ასევე, შდრ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები, თბ. 2009.

²³¹ სუსგ №ას-93-2021, 29 ნოემბერი, 2021.

²³² სუსგ №ას-1231-2021, 5 აპრილი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-569-2020, 2 ივნისი, 2021, №ას-197-2020, 16 ოქტომბერი, 2020, №ას-197-2020, 29 ნოემბერი, 2019, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/543, 29 იანვარი, 2014.

²³³ სუსგ №ას-285-2019, 26 თებერვალი, 2021.

- √ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტში დასახელებულ პირებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საზოგადოების მიმართ გააჩნიათ ფილუ-ციური მოვალეობები, ერთი მხრივ, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილ-სინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თა-ნამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყ-რელია საზოგადოებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორ-მაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.
- √ თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სა-მენარმეო განსჯის წესს“ ანუ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადანყვეტილე-ბის მიღებისას სანარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუ-კეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორ-მირებულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დირექტორების წინააღ-მდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გა-დალახოს აღნიშნული პრეზუმფცია.²³⁴
- √ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან, მიიღოს ისეთი გადანყვეტი-ლებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გა-დანყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდი-ნარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმე-ნით, რომ მისი გადანყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტე-რესების დაცვის მიზნით და ამ გადანყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებუ-ლი იყო იმ ზომით, რაც მას მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გა-დანყვეტილების შედეგისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუ-ხისმგებლობისაგან.
- √ მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით, „ბიზნეს გადანყვეტილე-ბის მართებულობის“ პრეზუმფციის არსებობა თავდაპირველი მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებს.²³⁵
- √ გამჭოლი პასუხისმგებლობა საგამონაკლისო, უკიდურესი ღონისძიებაა.
- √ კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბორო-ტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.²³⁶
- √ დივიდენდი წარმოადგენს იურიდიული პირის ფინანსური მოგების ნაწილს, რო-

²³⁴ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, ასევე, №ას-898-848-2015, 09 მარტი, 2016.

²³⁵ სუსგ №ას-1436-2020, 31 მაისი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-370-344-2017, 18 აპრილი, 2019, №ას-766-766-2018, 10 ივნისი, 2019, №ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015, №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015.

²³⁶ სუსგ №ას-433-2020, 19 ნოემბერი, 2020, ასევე, №ას-1307-1245-2014, 6.05.2015., №ას-1158-1104-2014, 6.05.2015.

მელზეც უფლება მოპოვებულია ამ იურიდიულ პირში წილის ფლობით, შესაბამისად, მასზე „უფლება“ დაკავშირებულია პარტნიორის სტატუსთან. ამასთან, დივიდენდის მიღების უფლება რეალიზდება გარკვეული წინაპირობების დაცვით. „დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადანყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ... როდესაც მიიღება გადანყვეტილება დივიდენდების განაწილებაზე, პირი აღიჭურვება კრედიტორული უფლებით, რაც საზოგადოების წინაშე პარტნიორის მოთხოვნის უფლებას განამტკიცებს.²³⁷

- ✓ წილზე საკუთრების უფლების მიტოვების შესაძლებლობას, მით უფრო სსკ-ის 184-ე მუხლის საფუძველზე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სსკ-ის 184-ე მუხლი მისი შინაარსობრივი, ლოგიკური თუ სხვაგვარი განმარტების შესაბამისად, თავისთავში, მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წესს მოიაზრებს.²³⁸

შრომის სამართალი

- ✓ სამართალწარმოების განმავლობაში, დამსაქმებლის მხრიდან იმგვარი გადანყვეტილების მიღება, რომელიც მისთვის არასასურველი კანდიდატის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას გამორიცხავს, არამართლზომიერი ქცევაა.²³⁹
- ✓ დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა დასაქმებულის უპირატესი უფლებაა.
- ✓ დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენის მიზნებისათვის აუცილებელია, კანონით გათვალისწინებულ საფუძვლის უკანონოდ ცნობა და პირვანდელი სამუშაო ადგილის ვაკანტურად არსებობა.
- ✓ კომპენსაციის დაკისრება პარალელურად იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას გამორიცხავს.
- ✓ კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს მატერიალურ დანაკარგს და იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიაღდა.²⁴⁰

²³⁷ სუსგ №ას-1352-2021, 18 მარტი, 2022, ასევე იხ.: სუსგ-ები: სუსგ №ას-907-2018, 27 ნოემბერი, 2020, №ას-1063-1018-2014 08.04.2015, №ას-75-408-09, 02.07.2009.

²³⁸ სუსგ №ას-489-2020, 10 თებერვალი, 2021.

²³⁹ სუსგ №ას-1116-2019, 31 იანვარი, 2020.

²⁴⁰ სუსგ №ას-1230-2021, 28 ივნისი, 2022.

- √ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის წესს და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს სშკ-ის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილის ნორმატიული დანაწესი არ ადგენს. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, რა დროსაც, სასამართლო ხელმძღვანელობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით; კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ დროს, რა დროის განმავლობაშიც უნდა ემუშავა დასაქმებულს დამსაქმებელთან, რა იყო მისი სახელფასო ანაზღაურება და სხვა. ამასთან, მხოლოდ სახელფასო ანაზღაურება არ არის კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმი. კომპენსირების მიზანია, რომ კომპენსაციის თანხამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის აღდგენა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში.²⁴¹
- √ უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რაც გასათვალისწინებელია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, ესაა **პროპორციულობის (თანაზომიერება) და გონივრული საფუძვლის პრინციპი**. თანაზომიერება ნიშნავს, რომ კანონის მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული; მეორე Ultimoa Ratio კი, განიმარტება, როგორც უკანასკნელი საშუალება, რამდენადაც მიჩნეულია, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო მსუბუქი ზომა, თუკი ამის საშუალებას, ჩადენილი დარღვევიდან გამომდინარე, იძლევა დასაქმებულის კანონიერი ინტერესი.
- √ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა წარმოადგენს უკიდურეს დისციპლინურ ღონისძიებას, რომელიც შესაძლოა დამსაქმებელმა გამოიყენოს დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.²⁴²
- √ **თუ უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტი უფლებრივი რესტიტუციის ფორმად პირდაპირ კომპენსაციას არ მოითხოვს, ამ შემთხვევაში, კომპენსაციის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, თუ დადგინდა, რომ პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა შეუძლებელი ან მიზანშეწონილი არ არის.**
- √ კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის მინიმალური სოციალური გარანტიის შექმნა, რითაც კომპენსაცია განსხვავდება ზიანის ანაზღაურებისას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისგან.²⁴³
- √ **მიუხედავად ა(ა)იპ-ის დამფუძნებლის უფლებისა – ნებისმიერ დროს, შესაბამისი საფუძვლის გარეშე შეწყვიტოს „სასამსახურო ხელშეკრულება“ დირექტორთან, თუკი დირექტორის გათავისუფლების საფუძველს წესდებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოება წარ-**

²⁴¹ სუსგ №ას-634-2021, 04 ნოემბერი, 2021, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-727-680-2017, 15 სექტემბერი, 2017, №ას-353-338-2016, 03.05.2016.

²⁴² სუსგ №ას-521-2022, 07 ივლისი, 2022.

²⁴³ სუსგ №ას-1334-2021, 2 მარტი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-1208-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-727-680-2017, 15 სექტემბერი, 2017, №ას-353-338-2016, 03.05.2016.

მოადგენს, დირექტორს აქვს ამ საფუძვლის კანონიერების შემოწმების ლეგიტიმური ინტერესი, ხოლო შესაბამისი სარჩელის აღძვრისას, მონინაღმდეგე მხარე ვალდებულია ამტკიცოს გათავისუფლების საფუძვლის ნამდვილობა.

- ✓ (ა) იპ-ის დირექტორთან „სასამსახურო ხელშეკრულების“ უკანონოდ შეწყვეტის შემთხვევაში, არსებობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.²⁴⁴
- ✓ შრომითისამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის (Good Reason) არსებობის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება. კანონმდებლის ასეთი მიდგომა განპირობებულია მეტადრე იმით, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში, „სუსტი მხარის“ კონკრეტულ შემთხვევაში, დასაქმებულის პროცესუალური თანადგომა პრიორიტეტულია.
- ✓ დამსაქმებელი სარგებლობს მტკიცებითი უპირატესობით, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმაზე, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას საამისოდ გათვალისწინებული მართლზომიერი (ე.წ. Good Reason) საფუძველი ჰქონდა.²⁴⁵
- ✓ კონკრეტული საშტატო ერთეულის არარსებობის მტკიცება ეკისრება დამსაქმებელს, აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში კი, მოსარჩელე მხარეზე გადადის იმის მტკიცების ტვირთი, რომელია ტოლფასი (ფუნქციის, სამუშაოს აღწერილობისა და ხელფასის მიხედვით) თანამდებობა, რომელზეც მისი დასაქმება არის შესაძლებელი.²⁴⁶
- ✓ დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს ე. წ. „ფავორ პრესტატორის“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტით. ამასთან, დასაქმებულისათვის სასარგებლო წესთა უპირატესობა არ გულისხმობს დამსაქმებლის მიერ დასაბუთებული გათავისუფლების საფუძვლების იმთავითვე უარყოფას. მოსარჩელის მიერ დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და შედეგის გათვალისწინებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია, აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებაა.²⁴⁷

²⁴⁴ სუსგ განწყვეტილება №ას-553-2019, 19 მარტი, 2021.

²⁴⁵ სუსგ №ას-561-2021, 26 იანვარი, 2022, იხ.: ასევე, სუსგ-ები: №ას-57-2022, 13 აპრილი, 2022, №ას-182-171-2017, 27 დეკემბერი, 2019, №ას-483-457-2015, წლის 7 ოქტომბერი, 2015, №ას-922-884-2014, 16 აპრილი, 2015.

²⁴⁶ სუსგ №ას-1239-2021, 27 მაისი, 2022, იხ.: სუსგ-ები: №ას-890-857-2016, 9 ოქტომბერი 2017, №ას-475-456-2016, 24 ივნისი, 2016.

²⁴⁷ სუსგ №ას-557-2021, 24 მარტი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-1421-2020, 5 მარტი, 2021, №ას-512-2020, 18 თებერვალი, 2021, №ას-941-891-2015, 29 იანვარი, 2016.

√ დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა უნდა შეფასდეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და, რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში **Ultima Ratio-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცულობას.**²⁴⁸

²⁴⁸ სუსგ №ას-57-2022, 13 აპრილი, 2022, იხ.: ასევე სუსგ-ები: №ას-536-2021, 21 სექტემბერი, 2021, №ას-416-399-2016, 29 ივნისი, 2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge

